

წიგნაკრები საქართველო



საქართველოს მხარეთმცოდნეო ინსტიტუტი * LITERATURULI SAQARTVELO * ЛИТЕРАТУРУЛИ САҚАՐՏՎԵԼՈ

20 დეკემბერი, 2013 წ.

№75 (3685)

ბამონდის 77-ე წელი

ფასი 1 ლარი

ბედი და არჩევანი

ჭაბუა ამირეჯიბის ცხოვრება: ეკლიანი გზით – ვარსკვლავებისკენ!

ეს იყო ბედიც და არჩევანიც. ბედი – იმიტომ, რომ დიდი ძნელბედობის ჟამს დაიბადა; არჩევანი – იმიტომ, რომ თავისუფალთა მოდგმისა იყო, ძალადობას ვერ ეგუებოდა!

თითქმის საუკუნოვანი ცხოვრება ისე გამოიარა, წამითაც არ შეჩერებულა. არ შეჩერებულა მაშინაც კი, როდესაც აკავებდნენ. მუდამ გარბოდა!

თვითონ იყო გორა მბორგალი – იაგორ კარგარეთელი – სიცოცხლით დაღდასმული გმირი; თვითონ იყო დათა თუთაშხია – არზნევ მუსკია – კეთილშობილი აბრაგი, მთვარის დღეს დაბადებული სული კრებითი!

სულის „მწვართველი“ კაცი იყო. ამიტომ ყველაზე მეტს საკუთარ თავს ებრძოდა!

წიგნების ბორბალი არ დატრიალებულა მის თავზე, სხვა ყველა ჭირსახდელი მოილია, მაგრამ არ დაცემულა, არ გაბოროტებულა, არ დაუყრია ფარ-ხმალი!

მოგვთა მისანივით შეეძლო გადაედნო უიღბლობა იღბლად, ტანჯვა სიხარულად, მარცხი გამარჯვებად!

ორბის ბუნება ჰქონდა სულში ჩაბუდებული. ბევრჯერ ფერფლიდან აღმდგარა წუთისოფლისგან დაუნდობლად გამეტებული!

სასწაული ნიშანივით დაჰყვებოდა, როგორც რჩეულს, დავლათიანს!

ახლაც მახსოვს „დათა თუთაშხიას“ გამოქვეყნება ჟურნალ „ცისკარში“. თუ სიტყვამ შეიძლება შეცვალოს ქვეყანა, ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვამ შეცვალა საქართველო. მოულოდნელად მოგვევლინა გმირი, რომელმაც თამამად გადმოაბიჯა ლიტერატურის ჩარჩოებიდან და ცხოვრებაში გადმოვიდა, ჩვენ შორის დადგა, გაგვამხნევა, იმედის სხივი აგვინთო. ყველას სათქმელი ლამაზად გამოხატა მურმან ლებანიძემ:

რომანზე დაგთენებია,
ფანჯრებში რიბირაბოა;
რა ზვრები, რა მტევნებია,
ამირეჯიბო ჭაბუა!

მწარე რეალისტი იყო, მაგრამ, ამავე დროს, არ მინახავს სხვა მასზე უფრო ლალი იდეალისტი, დონკიხოტურად მაღალი თავისი შინაგანი თავისუფლებით!

ღირსეულად იდვა თავს და ბოლომდე ატარა ცალკერძ ტვირთი ადამიანობისა, ცალკერძ ტვირთი არისტოკრატობისა!

სიცოცხლის ბოლოს ბერის ხარისხით შეიმოსა და, ალბათ, ეს იყო გამოხატულება იმისა, თუ სადამდე მიჰყავდა წვართვა სულისა!

სრბოლა გრძელდება: ეკლიანი გზით – უკვდავებისკენ!

თამაზ ნივნივაძე



„ჭკუით, ქართველად, ჭკუით...“

ჭაბუა ამირეჯიბის ხსოვნას

ყოველი წინა საუკუნე მომდევნო საუკუნეში მთავრდება, ინერტობა ერთი თაობის ენერგეტიკული დრო და სრულიად ახალი რეალობა დგება...

ყოველი საუკუნის დამდევნი დრამატულია: XX საუკუნეში ჩაქრა XIX საუკუნიდან გადმოსული ქართველ მწერალთა და მამულიშვილთა „მანათობელი ხომლი“ – წუთისოფლის სახლიდან ერთმანეთის მიყოლებით გავიდნენ დიდი ილია, გენიალური ვაჟა-ფშაველა, ბრწყინვალე აკაკი წერეთელი და სხვანი და სხვანი...

XX საუკუნის დასაწყისი – განსაკუთრებით წინამურზე ნასროლი ტყვიით – საბედისწეროდ შებრუნდა ქართველი ერისთვის, ქვეყანა ერთ ხანს წყვდიადმა და სულიერმა უმწეობამ მოიცვა. ამ სატანურმა დრომ და რეჟიმმა ლამის მთლიანად ამოშალა ერის გენეტიკური კოდი და ზნეობრივი დასაბამი...

XXI საუკუნის დამდევნიც ასეთივე ბედისწერული გამოდგა: ისევ და ისევ ეშმაკის ზეობა: ერზე ზნეობრივი ძალადობა, რეპრესია და... არაერთმა ბრწყინვალე მოღვაწემ, მწერალმა და ხელოვანმა გულნატკენმა დატოვა საწუთრო...

ამ აპოკალიფსური დროის ტრამალი (XIX-XX საუკუნის გზაჯვარედინზე) მოულოდნელად გადმოჭრა უცნობმა ქარიზმულმა მგზავრმა, თითქოს საკრალურმა მხედარმა; მან სასწაულად გამოვლო ბედისწერული გზა და იუპიტერივით შემონანათა XX-დან ოცდამეერთე საუკუნეში... ეს „მგზავრი“ აღმოჩნდა „დათა თუთაშხიას“ ავტორი – მაღალი, ხმელი, არისტოკრატი ქართველი საკრალური შარმით, „თუთაშხას“ ტვიფარით ალბეჭდილი „მაგი“ – ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი!

მისი რომანის დრამატუზმი (და მხატვრული ღირსება) იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ერთ მომენტში საზოგადოებამ ვერ გააცნობიერა მისი არსი და მისი ავტორის რეალური (ხორციელი) არსებობა...

ჭაბუა ამირეჯიბმა შექმნა სრულიად ახალი ნიგნი, სტერეოტიპების გარეთ მდგომი, ძველი და ახალი სტილის და აზროვნების სინთეზური მოდელი, იმდენად თვითმყოფადი და ამოვარდნილი „სისტემური პროცესიდან“, რომ საზოგადოებაც და სახელმწიფოც სახტად დარჩა...

დათა თუთაშხიას მისტიკურმა პერსონაჟმა, როგორც უმთავრო ღამის მხედარმა, ისე გაიარა ქართველი ერის სულიერ ყანაზე... დატოვა უცნაური ნათების კვალი და თავისი წილი – მომკილი და მოსამკელი...

დიდი ჭაბუა ამირეჯიბი, ისევე, როგორც XIX საუკუნის ზნეობრივი სივრცის მწერლები, საკუთარი პერსონაჟების ორეულად იქცა – ყოველი გზაჯვარედინზე და „ეშმაკის მოსახვევებში“ ზნეობის საგუშაგო სამანები ჩადგა... და წინ აღუდგა არაერთ მზაკვრობას...

ეროვნული ძალებისთვის, მამულისთვის, ყოველი ჩვენგანისთვის, ვისაც სტიკოდა და აწუხებდა სამშობლოს ბედი, მეტად მკვეთრი და ეფექტური (და ბრძნული) იყო მისი მხარში დგომა: კალმის ერთი მოსმა, ფრაზის ერთი გაელვება...

ჭაბუა ამირეჯიბის დრამატული ცხოვრება მისდამი განუწყვეტელი დევნის და თვალთვალის პროცესი იყო. მითოსურ – ქაჯთა ხელით შექმნილ სისტემაში. მან, როგორც „თუთაშხას ორეულმა“, გააღწია ამ „შავი ტვიფარიდან“ და, შეიძლება ითქვას, რომ მან მოიგო ქაჯებთან დიდი ომის ერთი ფაზა (საკუთარ ერთან ერთად)...

„გორა მბორგალი“ მისი დევნის უწყვეტი პროცესია... რომელიც ახლაც გრძელდება... ხოლო „დათა თუთაშხია“ მისი მარადიული ბრძოლა უზნეობასთან – რომელიც ჯერაც არ დასრულებულა!..

დრო, რომელიც დადგა და რამდენადმე შერბილდა ქართველი ერის საარსებო სივრცეზე, გარკვეულწილად ამ უბადლო ნიგნებმა და მისმა ავტორმაც დააყენეს...

ჭაბუა ამირეჯიბმა სიცოცხლე მიწაზე ბერი დავითის ფალანდრით (ფილონიო) გაასრულა. ამით სულიერი სინმიდის და რწმენის ანდრეზული მაგალითი დაგვიტოვა! იგი სიცოცხლის ბოლო ფამამდე სულიერად სუფთა და უშიშარი დარჩა, „ვითარცა უხორცო“, ამიტომაც მყოვარუჟამს გვექონდა მისი იმედი და მივაშურებდით საშველად!..

ბოლო ხანს ჩვენ არ გვესმოდა მისი ხმა, რომელიც ჩაეხმო (დაეკარგა) „უდაბნოთა შინა“ ძახილით, მაგრამ მას ესმოდა ჩვენი ხმა და მივდევდით მის მიერ დიდ ეტრატზე (დაფაზე) გამოსახულ ქართულ სიტყვათა და ბგერათა (ასო-ნიშანთა) ენერჯიას! ჩვენ ამოვიკითხეთ მისი ერთ-ერთი ბოლო ანდრეზულ-საკრალური ფრაზა – (გზავნილი ქართველი ხალხისადმი):

„ჭკუით, ქართველებო, ჭკუით!“
მართლაც „ჭკუით, ქართველებო“, თორემ მტერი ჩვენი არ არის უჭკუო და ვერ მოვიგებთ ომს მასთან.

ჭკუა ერთია და ცოდნა მეორე: – უჭკუოდ ვერ შევალთ უცნობ დროში და ვერ დავებრუნდებით იქიდან!.. ვერ შევალთ მდინარეში, რომელმაც უნდა ჩამოიაროს!..

დიახ, გლობალურ დროთა უდაბნოში გზააბნეულ ერს ანდერძად დაგვიტოვა ეს ფრაზა ჭკუმარითად ნათელმა გონმა („ჭკუით, ქართველებო, ჭკუით!“)

დიდი ტკივილია ქართველი ერისთვის მისი ვასვლა წუთისოფლიდან.

მარადიული პატივი, ხსოვნა და ნათელი მას.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიისა და მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სახელით:

- თამაზ ნივინივაძე
- გიორგი კვიციანიძე
- რაქო აბაშუკელი
- ავთანდილ არაბული
- პოპა არაბული
- გივი ალხაიციანი
- ალექსო გაბელაია
- ჯუმბარ გომრეძიანი
- რისმავ გომრეძიანი
- ჯემალ დავლიანიძე
- ბათუ დანელია
- ლევან დორაული
- თამარ ერისთავი
- შოთა ზოიძე
- გენო კალანდია
- ზაურ კალანდია
- რენე კალანდია
- დავით კახაბერი
- გურა კვარაცხელია
- ემზარ კვიციანიძე
- ჯუმბარ ლომინაძე
- როინ მამარაშვილი
- თეიმურ ნანეიშვილი
- ავთანდილ სილაგაძე
- გივი სინარულიძე
- რომან შაქარაშვილი
- თეიმურ ჩალაბაშვილი
- ავთო ჩხაიძე
- ვახტანგ ხარჩილაძე
- ელგუჯა ხინთიბიძე
- ელიზბარ ჯაპელიძე
- ჯემალ ჯაყელი
- ოთარ ჯირაკაშვილი



ჭაბუა ამირეჯიბი

სახელი ჭაბუა ამირეჯიბი საქართველოში ერთადერთია! ლიტერატურის კლასიკოსად სიცოცხლეშივე აღიარებული მწერალი საქართველოში ერთადერთია და ეს არის ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი.

მწერალი რომ ბერად აღკვეცილიყო, საქართველოში ერთადერთია და ეს არის ბატონი ჭაბუა ამირეჯიბი.

ბერი წმინდანი რომ ვინმეს ნათლია ყოფილიყო, პირველი შემთხვევაა და ეს იყო ბერი დავითი – ჭაბუა ამირეჯიბი.

ბერობაში დავითი და ერობაში ჭაბუა ამირეჯიბი ჩემი სახელოვანი ნათლია იყო. ის მწერდა: შენისთანა კაცის ნათლიობა ყველა ქრისტიანისთვის სასურველიაო. ნათლობა ჩატარდა იმ მხარეში, სადაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტიანობა იქადაგა: „შევედ ქვეყანასა შინა, რომელსაცა დიდაჭარა ეწოდება“. შემდეგ სწორედ აქედან მოეფინა ქრისტეს ნათელი სრულიად საქართველოს.

ჩემი დიდი ნათლის მიერ ნაჩუქარი ხატი ჩემი ოჯახის რელიკვიაა – ამ ხატთან ვავედრებ მის სულს უფალს..

ქალბატონ თამარს, მის ოჯახს, მთელ საქართველოს ვუცხადებ სამძიმარს.

ჯემალ ჯაყელი

ჭაბუა ამირეჯიბი – ქართული მწერლობის სიამაყე

მთლად საქართველო, მათ შორის ჩვენი კუთხე, სამეგრელო და მისი შემოქმედებითი ინტელიგენცია დიდად დაამწუხრა ჩვენი უდიდესი თანამედროვის, კლასიკოსი შემოქმედისა და სახელოვანი მოღვაწის, ბატონი ჭაბუას გარდაცვალებას.

ის მშვენიერებისა და ნათელი გენიის მეხოტბე იყო. რუსთაველის მზიურ სულზე შეყვარებული, მისი უკვდავების რწმენით გამსჭვალული და შთაგონებული.

ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება მის სიცოცხლეშივე დაფასდა და მარადისობის გვირგვინი ღირსეულად დაიდგა, რადგან მისი განვლილი გზა თავად არის გვირგვინი ცხოვრებისა, შემოქმედებითი ტრიუმფისა, ცხოვრებაზე გამარჯვებისა.

იგი ეძებდა და ჭეშმარიტად პოვა გამოხატვის თავისებური საშუალებები. წარმოაჩინა ქართული სიტყვის სტიქია, მისი პირველქმნილი, განუმეორებელი ხატოვნება, რასაც უსადაგებდა ქართველი ადამიანის მდიდარ ბუნებას და სულიერ სიძლიერეს.

არც ერთ მწერალს ასე ღრმად და სრულფასოვნად არ აუსახავს მეგრული კაცის, როგორც საერთო ქართული ფენომენის, სულიერი სიღრმე, როგორც ეს ბატონმა ჭაბუამ „დათა თუთაშხიაში“ შეძლო.

მოსწავლე ახალგაზრდებთან ერთად 17 დეკემბერს სენაკის იოანე ნათლისმცემლის ტაძარში ავანთებთ სანთლებს და ღმერთს შევავედრებთ ბატონი ჭაბუას სულს.

პორის დავითია

აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი

ჩვენი ინტელიგენცია, მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი, მთელი საქართველო დაამწუხრა დიდი ქართველი მწერლის, სიცოცხლეშივე კლასიკოსად აღიარებული მწერლისა და ჭეშმარიტი ერისკაცის ბატონ ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალებამ.

ეს იყო კაცი, ვის გულსა და მხრებზეც გადაიარა XX საუკუნის საქართველოს ყველა ტკივილი, ვისაც ბედმა არგუნა განსაკუთრებული ერისკაცის და გამორჩეული შემოქმედის ხვედრი. თავს დატყუებდა უბედურებამ არათუ ვერ გატყუა, მუდამ წარბშეუხრელად ებრძოდა საბჭოთა რეჟიმს. არსებულისადმი პროტესტმა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულმა შექმნა მისი უკვდავი „დათა თუთაშხია“ თუ „გორა მბორგალი“.

დღეს ის მარადიულ საქართველოს შეუერთდა, მისი გმირები კი მარადიულად იცხოვრებენ ყველა ჭეშმარიტი ქართველის გულში. ჩვენს ღრმა მწუხარებას ვუერთებთ მთელი საქართველოს ტკივილს დიდი ქართველის გარდაცვალების გამო.

ლანჩხუთის ლიტერატურული გაერთიანება „სამება“

ნახევლი და მკინს ღარი

ქართულ სასიტყვეთს მეფე მოუკვდა – ჭაბუა ამირეჯიბი. იგი მარტო მეფე არ ყოფილა, ჭაბუა ამავე დროს სასიტყვეთის მსახურიც გახლდათ. ამით იგი მაცხოვარს ჰბაძავდა: ღმერთკაცი ხომ ფეხებსა ჰბანს თავის მონაფეხებს!

მეფე ჭაბუა არა მარტო სარდლობდა სიტყვათა ლეგიონს და მისგან ახალ სამყაროს, ახალ სინამდვილეს ქმნიდა. იგი, როგორც გლეხკაცი ვაზს, ისე უფლიდა, პატრონობდა, ფურჩინდა ყოველ ქართულ სიტყვას და სულიერი მტევნებისგან საღვთო ღვინოს გვიწურავდა.

არავინ მეგულება ცოცხალთა შორის, ჭაბუასნაირად რომ ჰგავდეს თავის სამშობლოს...

საქართველოსავით ჯიჯგნა ჭაბუა მტერმა თუ მოყვარემ: რაღა არ მოუგონეს, რა არ დააბრალებს, როგორ არ აწამეს, მაგრამ ის, რაც ჩვენ, ჩვეულებრივ მოკვდავებს, გაგვდრეკს, გაგვტყუებს და დაგვჭმუჭნის, ჭაბუასნაირებს მხოლოდ სწვართავს, აწრთობს და თავის პირად ცხოვრებისეულ სატკივარს მკითხველისათვის მწერლურ ოქროდ გადაადნობინებს.

ჭაბუამ ისე იცხოვრა, ათასჯერ შეიძლება მომკვდარიყო, მაგრამ – არა, უფალმა არ მიიღო მისი სული, სანამ „ღათა თუ-თაშხია“ არ დაანერინა და ამქვეყნიერი ვალი არ მოახდევინა.

ვალმოხდილო მეფე-მსახური, დიდო ჭაბუავ, ბედნიერი ხარ, რომ ნახველი და მაინც დარჩი შენი საქართველოს უპირველეს მეომრად და მეშრომედ.

თამაზ კვაჭანტირაძე
16.12.2013

საქართველო, ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №4, საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია ქალბატონ თამარ ჯავახიშვილ-ამირეჯიბისას

ქალბატონო თამარ, უფლისგან ხელდასხმული დედათუფალო, ვიზიარებ თქვენს უსაზღვრო მწუხარებას შეუდარებელი თანამეცხედრის, იშვიათი მეგობრისა და სულის თანაზიარი ადამიანის დაკარგვის გამო.

ქართველ მწერალთა ვარსკვლავეთის ცის კაბადონს კი მოსწყდა კიდევ ერთი ვარსკვლავი – ჭაბუა ამირეჯიბი და მსწრაფლ მშობელი ხალხის გულეში დანანილდა თხემით ტერფამდე. გვედრი, ზეციერო, შეინდე მსოფლიო სატკივრების დამტვევი ქართველი მწერლის ტანჯული სული სამარადისო სასუფეველისკენ მიმავალ გზაზე. თავის დადრეკითა და მუხლის მოყრით მარად თქვენი

ვახტანგ მიშველია.

პოლიტოლოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ბიზნესმენი. მოსკოვი. 2013 წელი, 16 დეკემბერი.

ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახს, ქალბატონ თამარ ჯავახიშვილს

ქალბატონო თამარ, ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენი ქვეყნისა და პირადად თქვენთვის ამ უმძიმეს დღეებში არ ვართ თქვენს გვერდით. სამშობლოსგან შორს, უცხოეთში ყოფნისას სულისშემძვრელი ტკივილი მოგვყენა დიდი ქართველი მწერლის, დაუდგრომელი საზოგადო მოღვაწის, თქვენი სჯულიერი მეუღლისა და ჩვენი მეგობრის – ჭაბუა ამირეჯიბის (ბერი დავითის) გარდაცვალებამ.

ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჭაბუა ამირეჯიბის სახელი მარადისობაში გადავიდა და უკვდავი იქნება უკუნითი უკუნისამდე.

სამძიმართან ერთად გვინდა მადლობა გითხრათ იმ დიდი ამაგისთვის, რაც თქვენ ჭაბუას მიმართ მიგიძღვიოთ.

შევთხოვთ უფალს, რომ ჭაბუას სული მართალთა შორის, მარადიულ ნათელში ამყოფოს.

თქვენი ლუიზა და როინ მებრეველები
ჩეხეთი, პრაღა
15.12.2013 წელი.

დიდ შემოქმედებას დიდი პიროვნებანი ქმნიან

ქართული შემოქმედებითი სულის ზეობის მთავარი მოქმედი პირნი თანდათან სტოვებენ ამქვეყნიურ საქართველოს. მიდის, თითქმის გაგვეცალა დიდი თაობა, რომელმაც ქართული კულტურა გააცისკროვნა; ეს თაობა იმპერიას ყველაზე დიდი ძალით ებრძოდა და ამარცხებდა. ამარცხებდა იმით, რომ თავისი მაღალი შემოქმედებითი კულტურით ამტკიცებდა: არ არის საქართველო, ქართველი ხალხი ის ერი, ის ქვეყანა, რომელიც შეიძლება დაიმორჩილო.

ჭაბუა ამირეჯიბი ნავიდა იქ, გახდა იმ სამყაროს ბინადარი, სადაც უნდა წასულიყო – მარადისობაში. მაგრამ ჩვენ გვტკივა, რადგან გაგვეცალა. ვიდრე ცოცხალი იყო, ვიდრე ამ ქალაქის ბინადრად გვეგულეობდა, ძალას გვმატებდა, გვაიმედებდა: ყველა დროის დიდი ქართველი მწერალი აქ იყო, ამ ქალაქში. ჩვენ იმავე ჰაერით ვსუნთქავდით, რომლითაც იგი. ეს გვამხნევებდა. ჭაბუა ამირეჯიბის ამქვეყნიური არსებობა გვამდიდრებდა.

ჭაბუა ამირეჯიბმა, მსგავსად სულმნათი წინაპრებისა, დიდი განძი დაუტოვა საქართველოს – ის სულიერი სანყაო, რომლითაც საუკუნეების განმავლობაში ისაზრდობენ თაობები, – მან ქართული ზნეობრიობა ისე წარმოაჩინა, როგორც იყო და როგორც უნდა იყოს დღესაც.

ეს დიდი მწერალი დიდი პიროვნებაც იყო – ნღების განმავლობაში სწორედ მის პიროვნებაში

ვჭვრეტდი ადრინდელი საქართველოს გონითა და სულით მძლავრ კაცთ. ამიტომ ვფიქრობდი: ამ ქალაქში, ჩვენს შორის არა მხოლოდ დიდი ქართველი მწერალი, დიდი კაციც ცხოვრობდა. და რაოდენ დიდ გულუბრყვილობად, ღიმილისმომგვრელადაც არ უნდა ჩამითვალოს ვინმემ, თან მდევდა ფიქრი: „კი, ჰამლეტის გარდაცვილი მამაზე ამბობდა შექსპირი „ის კაცი იყო, ვით შეჭფერის კაცსა კაცობა“, მაგრამ ჩვენს ჭაბუა ამირეჯიბს გულისხმობდა-მეთქი“.

გადასახლების ნღებში ერთ ებრაელ კაცს დაუმეგობრდა – აბრეკ ბათოშვილს, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვზე თავდასხმის მცდელობისთვის დააპატიმრეს. ჭაბუა ამირეჯიბზე საუბრისას ბ-ნი აბრეკი მუდამ დასძენდა: „კაცი!“ არ შემიძლია, დღეს ბატონ ჭაბუას იმის გამოც არ მივადევნო დიდი მადლობა, რომ ქართულ ლიტერატურაში შექმნა ბრძენი ებრაელი კაცის – მორდუხაის – სახე და ამითაც გამოხატა ქართული მწერლობის ჰუმანისტური სულისკვეთება. ხოლო დიდმა აკაკი ვასაძემ, როცა მსახიობის სახლის კიბეზე ქოშინით ამომავალს მორდუხაის სახე შევუქე, სიამაყით მომიგო „მე ბრძენი ებრაელის სახე შევქმენი.“

ჭაბუა ამირეჯიბმა კიდევ ერთხელ დაადასტურა: დიდ შემოქმედებას დიდი პიროვნებანი ქმნიან.

გურამ ბათიაშვილი



აღმართებს მივებროლები

შენ ერს საქართველოს მოუკვდი! ნახვედი და დარჩა სიცარიელე, ჩუმი, ამოუვსები... თან გაიყოლე კეთილშობილება, სილამაზე, რაინდობა... ამ სოფელში ყველაფერ ამას ჩვენ გვაზიარებდი შენი არსებობით, ყოფით, ვაჟკაცობით, დაუდგრომლობით.

უცნაურია, ისე გესაუბრები, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავს... არც შევხებივარ შენი უკვდავების წყაროს, შენს სიტყვაში ჩამოსხმულ ძეგლებს, არა ცივსა და მიუკარებთ, არამედ უკვე ხალხში გასულთ, მის გულში ფესვგამდგართ... შენი გამიერების ერთ ლაპარაკობს ხალხი, მარგალიტებივითაა გაბნეული შენი ფრაზები, უფრო მეტიც, შენი გამიერები – დათა თუთაშხია, ზარანდია, სეგედი მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟები აღარ არიან უკვე, შენგან დამოუკიდებლად განაგრძობენ ცხოვრებას, როგორც რეალურად არსებული ისტორიული პირები. ამის ერთ-ერთი ჩინებული მაგალითია აკა მორჩილადის შესანიშნავი რომანი „გადაფრენა მადათოვზე“.

ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია! უკანასკნელი ათი წელია, სხეული ნელ-ნელა გაგიფიქტდა, აღარ გემორჩილებოდა, მაგრამ გამჩენმა გონი და მარჯვენა დაგიტოვა, რაც ყველაზე მეტად სჭირდებოდა შენს ქვეყანას, შენს ხალხს, რომელსაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე სიღინჯის, სიბრძნის, მოთმინებისა და სამშობლოს სამსახურის საოცარ მაგალითს აძლევდი.

ახლა ვისხენებ ჩვენს შეხვედრებს – პირველს, მეათეს, მეასეს, მეათასეს, უკანასკნელს... და ისევ პირველს.

ახლა რომ სიცარიელეა, პარლამენტის ყოფილი შენობის პირდაპირ, სასტუმრო ინტურისტი იდგა პირველ სართულზე ქათქათა რესტორნით. როგორც ხშირად, იმ დღესაც იქ ვისხედით თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტები და ღვინოს ვსვამდით. მეორე მხარეს ჩემი ახლობელი ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, ედიშერ ყიფიანი და სხვა ბიჭები იმავე საქმიანობით იყვნენ დაკავებული. რესტორანში მაღალი, თხელი, ლამაზი კაცი შემოვიდა, ყველას ყუ-



რადღება მიიპყრო, ჩვენიც... მწერლებთან დაჯდა. ჩვენ ბევრი არაფერი გვეკონდა, მაგრამ ღვინის გაგზავნა მაინც მოვახერხეთ. მაღალი და ლამაზი თანასუფრელებს გამოეყო, ჩვენთან მოვიდა, მაღლობა გადავიხადა და უკან გაბრუნდა. ეს კაცი, ციმბირიდან ახლად გამოქცეული თუ „სროკობდილი“ ჭაბუა ამირეჯიბი აღმოჩნდა.

მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა...

ყველგან ჩანდი – მაღალი, ლამაზი... ომი იყო თუ მშვიდობა, ჭირი თუ ლხინი, ყველგან ტრიალებდი, ბოქრობდი, ინვოდი, იღვწოდი, ერთი მნიშვნელოვანი გვერდი იყავი შენი დროის „ქართლის ცხოვრების წიგნისა“.

ამიტომაც გთხოვე, შენი „ქართლის ცხოვრება“ დაგენერა, შენი თვალთ ნახაბი და გულით განცდილი დროის ისტორია, რათა შენეულ მატინეს შეევეს ისტორიული „ქართლის ცხოვრების“ სრული აუდიოვერსია, რომლის ჩაწერასაც ვაპირებდი.

მასხოვს ამ შემოთავაზებით შენი აფორიაქება, თითქოს სევდანარევი სიხარული, შენეული დინჯი დანაპირები და შემდეგ პირველი ტექსტის თუ სცენარის მონახაზი, რომელიც ასე იწყებოდა:

„ისტორია ადამიანთა ცხოვრებამოღვანეობით, მათი ურთიერთობებით შექმნილ მოვლენათა კრებულია, რა თქმა უნდა, ადგილობრივი და საყოველთაო მოვლენების თანამონაწილეობით. ამდენად, „ჩემი ქართლის ცხოვრებაც“, ჩემი სიცოცხლის მანძილზე ცნობილი ადამიანების, მათი ნამოქმედართ და მათგან ჩემთვის ნაამბობი მოვლენების აღნიშვნით იქნება განხორციელებული.

ერთთავად აღმართებში სიარული მარგუნა მაღალმა ღმერთმა. დავჩაჩანაკდი, მაგრამ დღესაც **აღმართებს მივებროლები** და აგერ, თხემს გადაღმა დაღმართი იწყება, იქით რომ მიემართება, საიდანაც აღარავინ დაბრუნებულა.

მზის ჩასვლა, ჩემს სავალზე დიდი და პატარა უხვფოთლიანი ხეების ჩრდილები გადმოწოლილან, ტანზე მეფინებიან, სხეულში შემოდიან, რომელიც ჩრდილი მახარებს, სხვა კაეშანსა და ცრემლსა მგვრის, ყველა ერთად კი მემუდარება – ცოცხალი ვარ თუ აღარ – გამომესაუბრე,

არ მიმატოვო, დავინყებას ნუ მიმცემო. ვიბნევი, ვერ გადამიწყვეტია, რომელს მივუძღვნა დარჩენილი სიცოცხლის ფიორა ნაწილი მაინც. ყოველ მათგანს ვეთაყვანები, მათაც, ვინც ჩემთან და ჩემში იქნება სიკვდილამდე, მათაც, ვინც ჩემზე ღირსეულად მიიჩნია თავი და აღარ მინდომა.

ვერც ერთი ვერ გაქრა, არ დამიტოვეს სიცარიელე და ბარაქიანი გლეხის ქვევრივით პირთამდე სავსე ვარ დღემდე იმ ხეთა ჩრდილებით.

უნდა დავიცალო, მიქცევა ახლოა და ვალი მადევს აღმართს გარდამო შეყოლებული ჩრდილებისა, არ ეგების, საფლავეში ჩავიტანო მათი სახელები, ნაქმნარი, აღსრულებანი და ვითარებანი მათ რომ ახლდათ, თუ მათგან დამოუკიდებლად რომ ეფინენ ჩემს გზასა და სავალზე.

ღმერთო, მომეც ძალა ვალთა ხდისა და მშვენიერების ღალადისა, წერათ მწერალო, მარწმუნე, რომ ეს ბოლო გამოცდა შემართებისა ბედისწერისეული კვეთებაა.“

მერე გაყურდი, მეც აღარ განუხებდი, ვგრძნობდი, ღონე აღარ მოგდევდა.

ხშირად კი ვუბრუნდებოდი ფიქრებით შენს „ქართლის ცხოვრებას“ და იმავე ფიქრებში ვემშვიდობებოდი, მაგრამ თურმე არა...

შენთან გამოსათხოვრად მოსულმა შენმა უმცროსმა მეგობარმა, რეზო გოგიაძემ მითხრა, „ქართლის ცხოვრება“ თითქმის მზად ჰქონდა ბატონ ჭაბუასო...

შემართების ეს ბოლო გამოცდაც ღირსეულად ჩაგაბარებინა წერათ მწერალმა, დაგცალა მიქცევის წინ, ვალი არ გაგაყოლა შენს აღმართს გარდამო შეყოლებული ჩრდილებისა, მათ გაცოცხლებას შენსავით ვერავინ შეძლებდა და გაგაცოცხლებინა კიდევ...

ბჭობდა თურმე მავანი, სად უნდა დაკრძალულიყო ჭაბუა ამირეჯიბი...

შენ ის კაცი ხარ, აღმართებს რომ მიებროლები, პანთეონის დაგმანულ კარებსაც რომ შეაღებ, ისტორიასაც რომ შეაჯანჯლარებ და კუთვნილ ადგილსაც რომ მოიპოვებ მშობლიურ მიწაში...

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა!

გოგი ხარაბაძე

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს თამაზ ნიჟვიძას

ბატონო თამაზ!

დრომ და ვითარებამ მიკარნახა, ბოდიში მოვუხადო ჩემს პრინციპებს და მხარი დაუჭირო უმრავლესობის გადაწყვეტილებას, უარი ვთქვა მოძველებული თანამშრომლობის ფორმებზე, ვეძებო გზა ნორმალური არსებობისათვის.

მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემია, რომელიც ქუთაისში დაარსდა და რომლის პრეზიდენტად ყრილობამ მე ამირჩია 5 წლის ვადით, ეძებს გზას ახალი ურთიერთობებისათვის. არ აპირებს ვინრო, პროვინციალურ კარჩაკეტილობას, მზადაა მასშტაბები გაზარდოს და შემოგიერთდეთ.

ამის სურვილი გამოთქვეს აკადემიის დამფუძნებლებმა; აკადემიის წევრებმა, ცნობილმა მწერლებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა, მუსიკოსებმა, მეცნიერებმა, არქიტექტორებმა (სულ 100) კაცი.

თქვენი სიმაძავე და პირუთვნელობა იმედს იძლევა, ერთობლივი ძალისხმევით მეტ წარმატებებს მივალწევთ, რაც საერთო საქმეს წინ წასწევს და ქვეყნის ინტერესებს გამოადგება.

პატივისცემით

თიიმურაზ ლანჩავა
მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიისა და საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტი

თამაზ ნიჟვიძა!

ბატონო თამაზ!

დღი და ვისაც შეეძინა ბედნიერება და მისი იმედი უნდა მადისეული იქნას, უახი ვაჭი მოძველებული ფორმებზე, ვეძებო გზა ნორმალური არსებობისათვის.

მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წევრებმა, ცნობილმა მწერლებმა, მხატვრებმა, მსახიობებმა, მუსიკოსებმა, მეცნიერებმა, არქიტექტორებმა (სულ 100) კაცი.

არაქუთაისელი

თიიმურაზ ლანჩავა

მწერალთა, ხელოვანთა და მეცნიერთა ეროვნული აკადემიისა და საზოგადოება „ქუთაისელის“ პრეზიდენტი

ბრძანება

2013 წლის 18 დეკემბრიდან მწერალთა ეროვნული აკადემიის ზემო იმერეთის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ დაინიშნოს პოეტი აზარ წარმთაილი.

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

თამაზ ნიჟვიძაძე



უკრაინაში ხალხის ნაწილი კვლავ ააბორგეს!

ნათელია, ამ ქვეყნის მისაკუთრების პროცესი ჯერაც დაუსრულებელია!

როგორც შემწვარი წინილა, გასაგებედად მზადაა და სუპერსახელმწიფოთა ამოსაყორი მუცლებიც შიმშილით ყურყურებენ!

მთავარია, რომ ახალი არაფერი ხდება!

უკრაინის მსუყე ნაჭრებისთვის ზუსტად ისეთივე, ძველებური ბრძოლაა, როგორც კორეაში, ვიეტნამში, იუგოსლავიაში, საბერძნეთში, აზერბაიჯანში, ლიბანში, ერაყში, სირიაში, ავღანეთში, მოლდავეთში და, თქვენ წარმოიდგინეთ – საქართველოში!

ამ ფარული ომის სამზადისია შუა აზიაში და სამხრეთ ამერიკაში. უფრო შორეულ გეგმაშია თვით რუსეთი, ინდოეთი, ჩინეთი, აფრიკა...

რალაც უცნაური, ვერაც უსახელო ორკესტრია, რომლის დირიჟორი უბერებელია და მარადიული სისხლისღვრის ჰანგებს მიმოაფენს მსოფლიოში!

და აქვე გაგვასხენდება წარინჯისფერიც, რადგან უკრაინას უკავშირდება! მაშინ კი, ძვირფასო მეგობრებო, ვარდ-წარინჯისფერ რევოლუციებს ერთადერთი ქვებუდანი დირიჟორი ჰყავდა და დღესაც ამ ე. წ. „მაიდნის“ რევოლუციასაც ის ხელმძღვანელობს!

ასე და ამრიგად, მსოფლიო კინალამ დააჯერეს იმაში, რომ უკრაინელები სულაც არ არიან სლავური წარმოშობისა, არც კიევის რუსეთი ჭაჭანებდა ოდესმე, არც ფრანგებს, პოლონელებს დაუნვავეთ მოსკოვი, არც სკანდინავიელებს დაულაშქრავთ ჩრდილო რუსეთი, გერმანელები და მონღოლები კი... საერთოდ არასოდეს შეჭრილან ამ ქვეყნის ტერიტორიაზე!

ფაქტია, რომ სააკაშვილ-ბარამიძე, ეს საქართველოს დამპყვევარი ორი რევოლუციონერი სწორედ იმ პატრონმა



უკრაინა, მსოფლიო დირიჟორი და შეწყალული ინდაურები

ჯეშალ დავლიანიძე

ფაფუ, აღარაა! სამაგიეროდ, დღეს ევროკავშირის ერთი პარლამენტი, უსაზღვრო სივრცით, ერთი ვალუტით და ერთი იდეოლოგიით!

რა შეიძლება დავასკვნათ? საბჭოთა კავშირი შედარებით ღარიბი გახლდათ, თუმცა იგი სწორედ მაშინ გააცამტვერეს, როცა ფეხზე წამოდგომა დააპირა. ასე რომ იქნებოდა, ამისი მშვენიერი მაგალითია, კომუნისტური ჩინეთი, მაგრამ... იმ დირიჟორმა, ჩვენ რომ ვიცით და ვიცნობთ, დროზე იაზრა (როგორც ადრე, სტალინის რუსეთი მინაგრ-მოანგრი რევოლუციით!), საბჭოთა კავშირის ექსპერიმენტი გამართლებულად ჩათვალა, სიტყვა „კავშირი“ ევროპაში გადააზიშნა და საბოლოო სახელიც მისცა: ევროკავშირი!

ჩვენ, უბრალო მოკვდავებს, ერთი კითხვის დასმის უფლება გვაქვს (თუ ამის გამო ცხელი ტყვია არ მოგვარტყის შუბლში!): თქვე დალოცვილებო, თუ ერთა კავშირი, ერთა შერწყმა, აუცილებლობად მიგაჩნდათ, მაშინ რატომ დაშალეთ საბჭოეთი და ჩამოქვნიეთ ევროკავშირი?

აი, ბატონებო, პასუხსაც უცბადვე გვაძლევს ის დირიჟორი:

საბჭოთა კავშირში კომუნისტების აჩრდილი და სისხლის მდინარეები მიმოდიოდა!

ევროკავშირში კი უსასრულო დემოკრატია, მშვიდობა და მსოფლიო სავალუტო ფონდის თუ ბაზრის ეკონომიკური ჰარმონიაა!

რომ ავდგეთ და ვკითხოთ: რა მოხდა იუგოსლავიაში და საბერძნეთში, – უკვე საშიშია და კლარნეტი შეიძლება მოგვხვდეს თავისი შალახო-დოლ-გარმონით, შიგ თვალში, ამიტომ „ყოლიფერი“ პოლიტიკურ პაფლეტად არ ჩამითვალეთ, პირიქით, ჩემს უცოდინარობას დააბრალებთ, თუმცა...

საკავშილის და ბარამიდის შესახებ ხომ შეიძლება ვიმსჯელოთ, ბატონო დირიჟორ – უბერებელო, უხსენებელო და ქვებუდანი?

ამ ორ, კარგად მოსუქებულ პოლიტიკურ გვამს რა უნდა უკრაინაში? რაო, საქართველოში რაც ჩაიდინეს, იმის ექსპორტს ახდენენ?

პატივცემულო დირიჟორო, რას გვეტყვი იმ ცოცხების შესახებ, რითაც საქართველოში პატიმრებს აუპატიურებდნენ?

საკავშილ-ბარამიძემ ჩვენს ქვეყანაში სისხლის ნიღვრები და სახელმწიფო ტერორი რომ დაამკვიდრეს, რა ვქნათ ახლა?

ნათელია, უკრაინელმა რევოლუციონერებმა და ოპოზიციამ ან არ იცი-



მაშასადამე – უბერებელია დირიჟორი!

ესე იგი – უსახელოა და... უხსენებელი!

დღეს უკრაინაში არის ნივილ-კივილი, რომ ეს ორმოცდაათმილიონიანი ქვეყანა ევროკავშირის ნათესავია და... ევროპაა!

აქსიომას უსასრულოდ ამტკიცებენ! კიევში, მიტინგზე, დღეს ვინმემ რომ ამოიკნავლოს – რუსეთი ჩვენი შორეული ნათესავიაო, შეიძლება იქვე განწიროს და ჭკუა ასწავლოს: არა და არა! უკრაინა რომანული წარმოშობისაა! ამიტომ იგი უფრო ენათესავება გერმანიას, საფრანგეთს, ესპანეთს, პოლონეთს, რუმინეთს, უნგრეთს, იტალიას, ბალტიისპირეთს, თვით სკანდინავიასაც კი! რუსეთი აღარაფერს ახსენოსო, თორემ!...

რაო, რა „თორემ“? ვინ იმუქრება ასერიგად?

უჰ! შე კაი კაცო, ასე გეთქვა... აგერ არ „ბრძანდებიან“ დუეტში – ნაციონალი გია ბარამიძე და მიშა სააკაშვილი? თანაც, მონინავეთა რიგებში დგანან, ტანსაცმელი მთლად შემოუძარცვავთ და უკრაინის დროშებით აუფარშევენ-გებიათ ქონმოდებული სხეულები!

ისმის კითხვა: რა შავი ქვა უნდათ ამ ვარდისფერ ნიფხვებში გამოწყობილ ეშმაკუნებს უკრაინაში? ვინ გაგზავნა? დღეს საქართველოს კოალიცია „ქართული ოცნება“ მართავს, გამორიცხულია, მათი დავალებით იყვენ წარგზავნილები!

მაშ, ვინ არის მათი „ხაზინი“? ეს ორი „მუზიკანტი“ რა ინსტრუმენტზე უკრავენ ზემოთხსენებულ მსოფლიოს დამპყვევართა ორკესტრში?

სათანადო მსჯელობა აუცილებლად მიგვიყვანს ვარდების რევოლუციამდე

მიავლინა კიევში, ვინც თავის დროზე ვარდ-წარინჯოვანი რევოლუციები დაამღერა არფაზე და ვოლტორნაზე! მერე კი, ანტონიო ვივალდის ჯიბრზე, ისეთი „წელიწადის დრონი“ შეასრულეს, ჩვენი ქვეყანა კინალამ ორად გახლეჩამდე მიიყვანეს!

უნდა ვაღიაროთ, რომ უბერებელი დირიჟორი, ამავე დროს, მართლაც ძლიერი კომპოზიტორიცაა (მას ვერც გაუბედავ ოდესღაც საქართველოში ხუმრობით ნათქვამ „შე იმანო კომპოზიტორო“).

რატომ? აბა, ძმებო, თუ დაფიქრებულხართ ოდესმე, საბჭოთა კავშირი ვისი ჩანაფიქრით შეიქმნა?

აქეთ მეკითხებით – გასაღები ამ ვებერეთელა „ერთა შერწყმისა“ სად ძვესო?

გიაპასუხებთ უმაღვე: გასაღები იმ ქვებუდანი დირიჟორის ჟილეტის ჯიბეშია, ასაკით საუკუნეებს რომ ითვლის და ერთ დროს მსოფლიო რუკაზე ქვეყნები მხოლოდ რამდენიმე ფერად რომ ალაულაჟა!

მოგაგონებთ: თუ არ გცდები – აფრიკა ვარდისფერი, დანარჩენი მსოფლიო კი მწვანე და ყვითელი გახლდათ!

ჰოდა, სწორედ ამ დირიჟორმა შეკრა თავის დროზე საბჭოეთი, სადაც ერთი კონსტიტუცია, ერთი ვალუტა, ერთი უსაზღვრო სივრცე, ერთი დედაქალაქი და ერთი საერთო ფინანსური უზრუნველყოფა არსებობდა!

ახლა უკვე მე გეკითხებით: სადღეისოდ ხომ არაფერს გაგონებთ ეს ამბავი? აბა, აბა, კარგად დაფიქრდით!

მიხვდით, რალა თქმა უნდა! დიხს! ეს გახლავთ დღევანდელი ევროკავშირი!

იყო საბჭოთა კავშირი!

ან, საქართველოში რა ჩაიდინა ამ ორმა „ჯეშალმა“, ანდა ფეხებზე ვკიდევართ!

ბატონ დირიჟორს აუცილებლად უნდა მოვასხნო (უფრო კი – შევასხნო!) ის, რაც მან ჩინებულად იცის, რადგან „ის საქმე“ უიმისოდ არც ჩაფიქრებულა და არც აღსრულებულა!

სწორედ იგი უწყობს ხელს, ქართველი ხალხის მიერ დამნაშავედ ცნობილ სააკაშვილს, ჩავიდეს უკრაინაში, თითქმის უხელმძღვანელოს რევოლუციას და, რაც მთავარია, მთელი მსოფლიოს ავტაცია-პროპაგანდის მანქანა კვირიდან კვირამდე ამუშაოს თავისივე რეაბილიტაციისთვის! საქმე იქამდეა მიყვანილი, ზოგიერთი უკრაინელის ხობტას ვინდა ჩივის – ჩვენ მხოლოდ მიხილ სააკაშვილი გადაგვარჩენსო, – იმ ცხოვრები ქართველებიც კი ხმამაღლა გაჰყვირიან და გვარწმუნებენ – სააკაშვილი ექსპრეზიდენტი არ არის, ისევე პრეზიდენტი (რადიო „მაესტროს“ საინფორმაციო გამოშვება, 2013 წ., 8 დეკემბერი, 10 საათი და 30 წუთი).

ხსენებული „მოვლენა“ დამაფიქრებელია და მეტად სახიფათო, რაც უთუოდ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ. წინააღმდეგ შემთხვევაში, სააკაშვილს, ავადსახსენებელი მსოფლიო დირიჟორი კვლავაც რაიმე „ხერხით“ ჩამოათესლებს საქართველოში და დემოკრატის სახელით უკვე საკონცენტრაციო ბანაკების მშენებლობა დაიწყება!

დირიჟორი ქვებუდანი მუდამ დაუნდობელია იმ ხალხის, იმ ადამიანების მიმართ, ვისაც საკუთარი ქვეყანა უყვარს! ვისაც ტრადიციის, ზნეობრიობის, ეროვნულ ფასეულობათა და მართლმადიდებლობის შენარჩუნება უნდა!

და ბოლოს, ამ საქვეყნოდ ცნობილ დირიჟორს ჩვენი პანია, ულამაზესი ქვეყნის ბედი ისევე აინტერესებს, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მიერ შეწყალებული, საბრალო და თეთრი ინდაურების მომავალი!

P.S. ამ დღეებში უკრაინის პრემიერ-მინისტრმა მთელი მსოფლიოს გასაგონად განუცხადა თანამემამულეებს, რომ ევროკავშირის მთავარი მოთხოვნა უკრაინისადმი ყოფილია: ერთსქესიანთა ქორწინების დაკანონება და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების ფართო აღიარება!

ამასობაში ახლოვდება ახალი წელი და ქვებუდანი დირიჟორი, საშობაო სამზადისშია: ორკესტრში კატებს ამღერებს, ქმრის მიერ ცოლისგან ჩამოწველილი რძისგან დამზადებულ ყველს გეახლებათ, მართლმადიდებელ ეკლესიაში შიშველ დედაკაცებს აცეკვებს და პრეზიდენტის მიერ შეწყალებული ინდაურებისგან დამზადებულ საცივს აგემოვნებს!

დირიჟორი თავის ჩვეულ სტიქიაშია! შემოიღო მსოფლიოს უდიდესი ნაწილი კი... ტაშისკვრამი! ■

პარიასიები თეაზე, „მინა თავისას მოითხოვს“

ვიქტორ რსხილაძე

მართალი მოგახსენოთ, ეს თემა მიკარნახა ახლახანს გამოცემულმა კრებულმა „ქართული კულტურა“ (თბილისი, 2013 წ.), რომელიც ეძღვნება ვახტანგ როდონიას, ყველასთვის აღიარებული და პატივსაცემი პიროვნების ხსოვნას. ამ კრებულში, ერთ-ერთი ლიტერატორი სტატიის „ქართული ფოლკლორი“ წერს: „მშვენიერი და ღრმავარდნილი ზღაპარი – „მინა თავისას მოითხოვს“. უკვდავების მაძიებელი ჭაბუკი მრავალი პერიპეტის შემდეგ მიზანს მიაღწევს, ცაზე დაკიდებულ კოშკში მზეთუნახავთან მოხვედრა და უკვდავებას ეზიარება, მაგრამ ბოლოს მაინც შინ დაბრუნდება და სიკვდილს აძვობინებს, რადგან მინა თავისას მოითხოვს – ადამიანი ვერ გუობს უკვდავებას, მის სხეულს, ბოლოს და ბოლოს, მინად ქცევა სწადია“.

არ ვიცი, ავტორმა ამ ზღაპარში რა დაინახა „მშვენიერი და ღრმავარდნილი“, მაგრამ ჩემთვის ის ტრივიული ათეიზმის გამოხატულებას წარმოადგენს, დაახლოებით იმ დროისას, როდესაც, დავით გურამიშვილის სიტყვით, საქართველოში გამეფდა „სტყეობა, მოკვლა, ტაცება, ქვრივთა, ობოლთა, მწირისა!“ მაგრამ, კაციც არის და კაციც, ბოლოს და ბოლოს, იოან გოტილი ფიხტესი არ იყოს, რა კაციცა ხარ, ისეთ ფილოსოფიას ირჩევ!

აბა, შევადაროთ სხენებულ ზღაპარს გერმანული თქმულება ტანჰოიზერზე, რომელიც შექმნილია არაუგვიანეს მე-14-ე საუკუნისა. მინეზინგერის ისტორიაში, განსაკუთრებით, რიხარდ ვაგნერის მიერ გადამუშავებულ ვარიანტში, ტანჰოიზერიც, მსგავსად ქართული ზღაპრის გმირისა, აღმოჩნდება სილამაზისა და სიყვარულის ქალღმერთ ვენერას გამოქვაბულში. ეზიარება უკვდავებას და უკიდევანო განცხრომას. დაბოლოს, ტანჰოიზერიც მოიხსენს და გამოქვაბულის დატოვებას ლამობს, მაგრამ არა იმიტომ, რომ მინად ქცევა სურს და „ადამიანი ვერ გუობს უკვდავებას, მის სხეულს, ბოლოს და ბოლოს, მინად ქცევა სწადია“... ქართული ზღაპარი და მისი აპოლოგეტი ჩვენი ლიტერატორი მხოლოდ სხეულზე აკეთებენ აქცენტს, თითქოს არ არსებობს სული. ტანჰოიზერს კი, თუ შეიძლება, ასე

ითქვას, სწორედ სულიერი ნაღველი იპყრობს და მის მიერ ღვთისმშობლის მოხმობა - „მარია!“ - ვენერას გამოქვაბულს აუჩინარებს და მონანიების შემდგომ ტანჰოიზერის სული მეორე სამყაროში, უკვდავების სამეფოში გადადის.

სინამდვილის ასეთი ხედვა მორწმუნისთვის ჩვეული რამ არის და ასეთი იყო ჩვენი წინაპრების ხედვაც, საპირისპიროდ ხსენებული ზღაპრისა. მაგალითები ჩვენს ლიტერატურაში რომ არ ვეძებოთ, რითაც იგი მდიდარია, ასეთი ხედვა იყო გამეფებული ჩვენს ისტორიულ სინამდვილეშიც. „ღმერთო, დაიცევ ორსავე ცხოვრებასა დედოფალთა-დედოფალი მარიამ და ძე მისი ოტია“, - გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“. ანდა ავიღოთ ჩვენი წმინდანი მეფის, დემეტრე თავდადებულის მაგალითი. ჟამთააღმწერლის სიტყვით, „მეფემან მოიყვანა სამნი ცოლინი“ და განცხრომით ცხოვრობდა. მაგრამ, სამშობლოსათვის განსაცდელის ჟამი რომ დადგა, მეფემ კარგად უწყობდა „ორსავე ცხოვრების“ არსებობა, რამაც ათქმევინა მას: „რა სარგებელი არს, უკეთუ ყოველი სოფელი შევიძინო და სული წარვიწყნო [და] მერმე წარუპყრა ქედი [ჯალათს]“.

ყოველივე ეს, სინამდვილისადმი ამგვარი დამოკიდებულება ეფუძნება სახარებას. „ნუ სცდებით, ღმერთი არა შეურაცხ-იქმნების, რამეთუ რაიცა-იგი სთესოს კაცმან, იგიცა მოიმკოს. რამეთუ რომელმან სთესოს ხორცთა შინა თვისთა, ხორცთა მიერ თვისთა მოიმკოს ხრწნილებანი; ხოლო რომელმან სთესოს სულთა თვისთა, სულისგან თვისთა მოიმკოს ცხოვრებაი საუკუნოი“ (გალატელთა მიმართ, 6, 7-8).

სამოთხის „ცხოვრებაი საუკუნოი“ სიყვარულის სამეფოა. იქ არ არსებობს მონყენა, რადგან სიყვარული, სიძულვილისგან განსხვავებით, „თვალხილულია“ და მისი შემწეობით შევიმეცნებთ უსასრულო მრავალფეროვნებას. მაინც რომელ ანალოგიაზე დაყრდნობით შეიძლება მივანიშნოთ სამოთხისეული მრავალფეროვნება და მარადიული ცვლილება თვინიერ დასასრულისა? ამის საილუსტრაციოდ მოვიხმობთ მართლაც ღრმავარდნილი რუსი ფილოსოფოსი სერგეი ალექსეევი (ასკოლდოვი, 1871-1945 წწ.),

რომელსაც სამოთხის მარადიულობა და მასში ცვლილება შემდეგნაირად წარმოუდგენია: იგი ხედავს ოთახში დადგმულ თაიგულს, რომელიც ყოველდღიურად იცვლება, მშვენიერდება. რასაკვირველია, რეალური თაიგული საბოლოოდ ჭკნება და ისპობა, მაგრამ ასე არ არის უფლის სამეფოში, იქ მარადიული გაფურჩქვნაა.

აქ ერთმა საინტერესო საკითხმა იჩინა თავი. მე ყოველთვის მიკვირდა, რომ დიდი მწერლების მიერ აღწერილი ცოდვილი ადამიანი, მიუხედავად მისი ცოდვისა, ისეა დახატული, რომ ჩვენში შენდობას თუ არა, შებრალებას მაინც იმსახურებს. და ამ დროს ღმერთი-სიყვარული მას პირდაპირ ჯოჯოხეთში მოაქცევს. საკითხავია, თუკი მწერალი მკითხველში მათ მიმართ სიბრაულს იწვევს, ღმერთი, რომელსაც მწერალთან შედარებით უსასრულოდ ღრმა ხედვა აქვს, რატომ არ ინდობს მათ? კათოლიციზმში საკითხი გარკვეულია სალხინების დოგმის წყალობით. გავისხენოთ თუნდაც ვიზიონერი დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, სადაც ჯოჯოხეთი დახარისხებულია ცოდვითა მიმართ სასტიკი და უსასტიკესი წრეებით. მაგრამ ჩვენში, მართლმადიდებლობაში? ამაზე პასუხი მივიღე, როდესაც წავიკითხე წმ. მაკარი დიდის 38-ე საუბარი „სრულყოფილებაზე“. „ეს საგანი, - ამბობს იგი, - განსჯისათვის ძალზე ფაქიზია, რადგან ზოგიერთნი ამტკიცებენ, რომ სასუფეველი ცისა ერთია და გეგნა ერთია; ჩვენ კი ვამბობთ, რომ არსებობს მრავალი ხარისხი, განსხვავება და ზომა, როგორც ცის სასუფეველში, ასევე გეგნაშიც“.

სიმართლე რომ ვთქვათ, ათეიზმი ჩვენში დასავლეთიდან შემოვიდა. მე-19-ე საუკუნეში მათი ბურჟუაზი იყვნენ დავიდ-ფრიდრიხ შტრაუსი თავისი „იესოს ცხოვრებით“, რომელმაც ათეიზმის ერთგვარი წინამორბედის როლი შეასრულა გერმანიაში; შემდეგ - ლუდვიგ ფოიერბახი, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ნიცშე. მე-20-ე საუკუნეში - ზიგმუნდ ფროიდი, ჟან-პოლ სარტრი, ალბერ კამიუ და სხვა მრავალი. მათი კრიტიკა ამ მცირე მოცულობის წერილში შეუძლებელია (დაინტერესებულ მკითხველს მათი კრიტიკა - ბოლო ორის გამოკლებით

- რომელიც განხორციელდა თანამედროვე თეისტური ფილოსოფოსებისა და თეოლოგების მიერ, შეუძლია მოიძიოს ჩემს წიგნში „ბოროტება, მისი ნიღბები და მისი გამოვლინება საქართველოში“ (თბილისი, 2006 წ.). ჭეშმარიტად სიმბოლური გახდა ჟამთააღმწერლის სიტყვები, რომელთაც იგი იყენებს დასავლეთთან მიმართებაში - „ვიდრე ბნელეთამდე“. ამ სიტყვებს მე მორალურ-აზრობრივ დატვირთვასაც შევძენდი. მართალია, დღეს ქრისტიანობა თავდაცვაზე გადასული ევროპაში, მაგრამ იქ მაინც არსებობს სულიერი „ოაზისები“. ამიტომ მკითხველს მივუთითებ ისევ ჩემს წიგნზე („ახალი კრებულები“, თბილისი, 2008 წ.), სადაც განხილულია მე-20-ე საუკუნის ორი გამოჩენილი გერმანელი მოაზროვნის, რომანო გუარდინისა და კარლ რანერის შეხედულებები სიკვდილსა და გარდაცვლილთა სიცოცხლეზე.


რაკი გერმანულ სამყაროს შევხებ, მსურს, ეს წერილი გერმანელი კლასიკოსი მწერლის ფრიდრიხ შტრაუსის „რეკვიემით“ დავასრულო, რომელიც კარგა ხნის წინათ ვთარგმნე:

„სულო, ნუ დაივიწყებ, ნუ დაივიწყებ გარდაცვალებულთ! ო, ვით გელტვიან ისინი, ათრთოლებულნი, მიტოვებულნი; წმიდათაწმიდა მზურგანებში, რომელსაც ზედმავთ სიყვარული ალუვლენს, თბებიან ისინი და იშვებენ და განიცდიან უკანასკნელად სიტკობს მიმქრალი ცხოვრებისას.“

სულო, ნუ დაივიწყებ, ნუ დაივიწყებ გარდაცვალებულთ! ო, ვით გელტვიან ისინი, ათრთოლებულნი, მიტოვებულნი, და თუ შენ გულის გამყინვარებით, მიუკარები, მათ ზურგს შეაქცევ, ძრწოლა აიტანს მათ ზარდამცემი და წარითაცებს გრიგალი ღამის უსიყვარულოდ მთენილ-განწირულით, და გააქროლებს უსასტიკეს თავდავიწყებით მათ უსასრულო უდაბნოსაკენ, სად აღარ სუფევს სიცოცხლე და ოდენ ბრძოლა აწყვეტილ ძალთა განახლებული არსობისათვის...“

სულო, ნუ დაივიწყებ! გარდაცვალებულთ ნუ დაივიწყებ!“

პოლიტიკური იუმორესკა



ამ ბოლო დროს ელჩად ნამყოფმა ორმა ელჩად ნამყოფმა „ნაციონალმა“ ისეთი განცხადებები გააკეთა, ღიმილი მომგვარა. ერთმა, რომლის საყვარელი ფრაზაა: „როდესაც პარიზიდან დაბრუნდი“, ტელეკრანიდან, არც აცივა, არც აცხელა, პირდაპირ განაცხადა: ავღანეთში ჩვენი ჯარისკაცები იმყოფებიან გიორგი მეთერთმეტის და მისი ჯარის მსგავსადო. „პარიზელმა“ ექს-ელჩმა, თავისი ჭკუით, დიდი კომპლიმენტი გაუკეთა ნატოსაც და „ნაციონალის“ პოლიტიკასაც, როდესაც ეს შედარება მოახდინა. საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა ბევრად არ გაუმჯობესებულა მე-17 საუკუნესთან

შედარებით, როდესაც სამხედრო ხარკს მოძალადე სეფიანთა სპარსეთს ვუხდით, ახლა კი „დემოკრატიულ დასავლეთს“ ვუხდით! მაგრამ, რაიმე განსხვავება ამ ორ მოვლენას შორის თუკი მაინც არსებობს, დაე, ავღანეთში ნატოს მისიის აპოლოგეტი ნაცები თავად გაუსწორდნენ ბედოვლათ ნაულჩარს.

მეორე ელჩად ნამყოფმა ნაციონალმა, რომელიც რომიდან დაგვიბრუნდა, გაზეთის ფურცლებიდან შემდეგი განაცხადა: „სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტი ჩვენ უდიდეს მანსს მოგვცემს რუსეთზე ზენოლისთვის“-ო. როგორც ჩანს, იტალიაში დიპლომატიური სიმალეების დამპყრობი

ნაცის ლოგიკით, ჩვენი ბოიკოტის გამო მსოფლიოში სკანდალი ატყდება და კიდევ ერთხელ „ყველას დავანახებთ რუსეთის ნამდვილ სახეს“. და, რაც მთავარია, ნაცების მიერ განადგურებული ერთიანი საქართველოს ნამსხვრევების ქვეშ მოყოლილი ასე ქვემოდან მოვახდენთ რუსეთზე „ზენოლას“...

თუმცა უსამართლობა იქნება, „ნაციურ სიბრძნეს“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთი ნევრის „ღრმავარდნილი განსჯა“ არ დაუპირისპიროთ. ცნობილმა კონსტიტუციონალისტმა დეპუტატმა, რომელმაც თავის დროზე გენერალი დავით თევზაძე გააკრიტიკა იმის გამო,

რომ მან თბილისზე წამოსული ელიავას ბანდები თავდაცვის სამინისტროს ძალებით გაფანტა (ამაზე ჯერ პარლამენტში უნდა გვემსჯელო! - ალფოთიდან მაშინ პატ. კონსტიტუციონალისტი), ახლა შემდეგი განაცხადა: საქართველოში მონარქია ვერ აღსდგება, რადგან დროში დიდი წყვეტილობაა! ვერაფერს იტყვი კაცი, მონარქიას „წყვეტილობა“ აქვს, პარლამენტარში კი საქართველოში, ალბათ, მისი წარმოშობის დღიდან არსებობს და ასე უწყვეტად ვცხოვრობდით და ვცხოვრობთ „საპარლამენტო“ ცხოვრებით... აქ მე-12 საუკუნეში ყუთლუ-არსლანის დასის უდღეური გამოსვლა გავისხენოთ თუ დამოუკიდებელი რესპუბლიკის ის სამი წელი, რომელიც მაშინდელი, ასევე „ბრძენი“ პარლამენტის გადანყვეტილებებით კრახით დასრულდა, არ ვიცი... (სხვათა შორის, „პირველი პარლამენტის“ შემხედვარე, ქართველი სამხედროები გერმანელთა დახმარებით სწორედ მაშინ აპირებდნენ საქართველოში მონარქიის აღდგენას, მაგრამ არ დასცალდათ - იხ. შალვა მალაქელიძის „მოგონებები“).

მოკლედ, პოლიტიკოსების გადამკიდე, გამუდმებით უნდა ვიმეოროთ: „ღმერთო, ისხენ საქართველო!“

ვიქტორ რსხილაძე

მერაბ ჯიბლაძე

ამ შეკითხვით მიმართა საზოგადოებას ბრწყინვალე რუსმა ფიზიკოსმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ალექსანდრე პროხოროვმა გაზეთ „იზვესტიამ“ 1994 წელს გამოქვეყნებულ ინტერვიუში.

ეს შეკითხვა ყველა ჩვენი მეცნიერისთვის აქტუალურია, რადგან სწორედ მეცნიერებამ (და მასთან ერთად განათლებამ) ყველაზე დიდი დარტყმა მიიღო საქართველოში.

ვჭირდებით კი ჩვენ ამ ქვეყანას?

ეკონომიკის განადგურებას ყველა კარგად ხედავს, მაგრამ გონების დაჩაღვება შედარებით ძნელი შესამჩნევია აღმოჩნდა.

მიუხედავად ამისა, განათლების სისტემის კატასტროფა უკვე ყველასთვის ნათელია: ჩვენ აღარც უნივერსიტეტი გვაქვს და აღარც საშუალო სკოლა. შეგვჩნა ამერიკული „პაბლიკ სკულები“ მსგავსი „საჯარო სკოლები“ და უზადრუკი კოლეჯების დონის სასწავლებლები, რომლებმაც სახელად „უნივერსიტეტი“ დაირქვეს.

უნივერსიტეტი, თავისი განმარტებით არის სამეცნიერო სასწავლო დაწესებულება, სადაც მაღალი დონის სასწავლო პროგრამებთან ერთად მიმდინარეობს უმაღლესი დონის ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები. ასეთი უნივერსიტეტი საქართველოში გვექნა ერთი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგრამ მას შემდეგ, რაც მეცნიერება ჩაკედა მძიმე ფინანსური წინეხის გამო, ხოლო სასწავლო პროცესის ლიბერალიზაციამ სწავლების დონე უაღრესად დაადაბლა, ჩვენმა საამაყო „ცოდნის ტაძარმა“ არსებობა შეწყვიტა – მისი ძირითადი საქმიანობა სტუდენტების განათლების ამოღება და იურისტების, ბიზნესმენებისა და ბანკირების მასობრივად გამოშვებაა.

როგორია მათი დონე? ეს ჩვენს ბიზნესსაც ეტყობა და ბანკებსაც. ორივე ეს სფერო მხოლოდ ხალხის მასობრივ გადატყვევას ემსახურება. სხვა გზით მილიონების დაგროვება თურმე შეუძლებელი აღმოჩნდა და ამაში მათ სამართალდამცავებზეც ხელს უწყობენ.

თურმე ხალხს უსამართლოდ წართმეულ ქონებას ვერ დაუბრუნებენ, რადგან ბიუჯეტი დაზარალებულია. ათეულ ათასობით ადამიანი რომ დაზარალებულია, ეს არაფერია, რადგან უსამართლობა ჯერ კიდევ ბოგინობს?

როდესაც განათლება ასეთ დღეშია, რატომ უნდა გვიკვირდეს ის, რაც ხდება?

ერთი ჩემი მეგობრის ფირმა მილიონი ლარით დააჯარიმა წინა ხელისუფლების საგადასახადო უწყებამ. როდესაც ფირმის ხელმძღვანელმა პოინტა: „რატომ მაჯარიმებთ, მე ხომ მართალი ვარ?“ საგადასახადოს ჩინოვნიკმა უპასუხა: „რა მოხდა, ილია მართალიც მართალი იყო, მაგრამ მოკვლეს“-ო“.

მილიარდერ ბორის ბერეზოვსკის პოინტა: „როგორ გახდა მულტიმილიარდერი რომან აბრამოვიჩი, მას ხომ მხოლოდ საშუალო სკოლის ატესტატი აქვს?“

ბერეზოვსკი პასუხობს: „მილიარდერი რომ გახდეს, განათლება არ არის საჭირო; ამისთვის სხვა თვისებები უნდა გქონდეს, განათლებული კი ფულის დახარჯვას სჭირდება“.

ეტყობა, ასეც არის, თორემ რატომ არ დებენ აქტიურად თავიანთ მილიონებს ჩვენი მილიარდერები საქართველოს ეკონომიკაში და უცხოელი ინვესტორების მილიონებს შეჰყურებენ? მაინც რატომ უნდა ჩადონ ინდოელებმა ასეულობით მილიონი დოლარი ხუდონჰესის დანაშაულებრივი პროექტის მშენებლობაში, როდესაც თავიანთ ქვეყანაში აქვთ უარავე საქმე?

ამ ინვესტიციის მთავარი მიზანი სვანეთში ინდოელი მუშახელის ჩამოსახლება უნდა იყოს ისევე, როგორც ენგურჰესის მშენებლობას რუსების ჩამოსახლება მოჰყვა.

საქართველოს მეცნიერებს არაფერს ეკითხებიან და მხოლოდ უცხოელ ექსპერტებს მიჩნეობენ ქვეყნის ხელმძღვანელობა. თითქოს მხოლოდ მათ იციან, თუ რა როგორ უნდა ვაკეთოთ. ერთი კი ყველამ

უნდა იცოდეს: მაღალი დონის უცხოელი სპეციალისტი იმდენად დაკავებულია თავისი საქმით, რომ სულაც არ შენუხდება იმისთვის, რომელიმე განვითარებად ქვეყანაში ექსპერტის როლი ითამაშოს.

მახსენდება, 1980 წელს კაიროს უნივერსიტეტის რექტორმა ჩვენს რექტორს თხოვა, ერთი წლით მე რომ ლექციების წასაკითხად კაიროს უნივერსიტეტში გავეშვი. მე იმდენად ვიყავი ჩემი სამეცნიერო პროგრამებით დაკავებული, რომ იქ ჩასვლა არაფრით შემეძლო. ასევე უარი შევეთვალე 2003 წელს ირანის ატომურ ცენტრს იქ ლაზერების სემინარებისა და ლექციების ჩატარებაზე. ასეთ მინგვეზე ისეთები თანხმდებიან, ვისაც საკუთარ ქვეყანაში საქმე არა აქვთ. თუმცა, იმავე წელს ერთი კვირით ჩავედი სამხრეთ კო-

ვჭირდებით კი მე ჩემს ქვეყანას?

რის ატომურ ცენტრში კონსულტაციის გასაწევად. სხვადასხვა დროს სიაშოვნებით დავთანხმდი ლექციების კურსის წაკითხვას კიევში, ბოსტონში, ამსტერდამში, იენაში, პალერმოში, რადგან იქ ლაზერული ფიზიკა განვითარებული იყო და ლექციების გარდა ერთობლივი სამეცნიერო სამუშაოების ჩატარებაც შეიძლებოდა და კონტაქტების გადრმავევასაც აზრი ჰქონდა. ცხადია, ამ მხრივ ეგვიპტე და ირანიც ჩემთვის სრულიად მიუღებელი იყო.

რაც შეეხება მაღალი დონის ექსპერტისას, მას დიდი გამოცდილება და შრომა სჭირდება და ის მხოლოდ მაღალი კლასის პროფესიონალი უნდა ჩაატაროს, რომელიც თავის ძირითად სამუშაოს უნდა მოწყდეს (რაზეც მაღალი დონის სპეციალისტი ყოველთვის უარს იტყვის).

გასაოცარია, გყავდეს ისეთი ბრწყინვალე არქიტექტორი, როგორც ბატონი გიგა ბათიაშვილი და იტალიიდან არქიტექტორის ეპატიჟებოდა, რომელიც მხოლოდ ფულის გულისთვის გეტყურობდა, რადგან საკუთარ ქვეყანაში უსაქმურად დარჩა.

ყველამ, ვინც არ დაიზარა, ექსპერტის სახელი მიიკერა, მიუხედავად განათლებისა. პოლიტოლოგ-ექსპერტობა, ეკონომიკის-ექსპერტობა კი გადამდები სენივით გავრცელდა და საერთოდ აღარ ექცევა ყურადღება, აქვთ თუ არა კავშირი ამ ექსპერტებს მეცნიერებასა და განათლებასთან. მათ მეტ-ნაკლებად შეუძლიათ გააანალიზონ ის, თუ რა ხდება, მაგრამ ნებისმიერი მეცნიერისთვის მთავარი კითხვა სულ სხვაა: რატომ ხდება ის, რაც ხდება?

ეს კი ექსპერტების დიდ უმრავლესობას არ აინტერესებს, რადგან მეცნიერებასთან საერთო არც არასოდეს ჰქონიათ. ან როგორ ექნებოდათ, როდესაც 90-იანი წლების დასაწყისიდან განათლება და მეცნიერება საშინელი დარტყმების ქვეშ აღმოჩნდა ხელისუფალთა მხრიდან.

თუ ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ ჩვენ საშუალო სკოლა აღარ გვაქვს, ჩაიხედოს სკოლის სახელმძღვანელოებში და ნახოს თუ რას სწავლობს მოსწავლე. თუ რამე შედარებით ნორმალურად ისწავლება, ეს, ალბათ, უცხოური ენებია. საბუნებისმეტყველო დარგების სახელმძღვანელოები მხოლოდ გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვებისთვის არის დაწერილი და ამ საგნების სწავლება სკოლების უმრავლესობაში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

სამაგიეროდ, თვით სახელმძღვანელოები ფერად-ფერადი სურათებით ავაჭრელივით, რათა ბავშვების ყურადღება მივიპყროთ და სულაც არ გვაინტერესებს, რომ ამით ნიჭიერი ბავშვების შემდგომ განვითარებას ვამუხრუჭებთ. თვით სახელმძღვანელოები იმდენად „სქელტანიანი“ გახდა, რომ

მეთოხე კლასიკის ჩანთის წონამ 4 კილოგრამს გადააჭარბა!

ცხადია, სახელმძღვანელოების ხარისხი (განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო დარგებში) თუ არ ამალდა, ჩვენი სკოლა

აფრიკის ქვეყნების სკოლების დონეზე დარჩება!

გზა, რომელსაც კარგა ხანია დავადექით, სრულ ინტელექტუალურ განადგურებას გვიქადის, რათა განვითარებადი ქვეყნის სტატუსი მთლიანად გავამართლოთ.

სამწუხაროდ ჩვენთან მიმდინარე განათლების რეფორმის მიზანი იყო: განათლება მნიშვნელოვნად უნდა გაუარესდეს, სამაგიეროდ, ფასიანი გახდეს. ეს ცხადი გახდა მას შემდეგ, რაც ჯერ კიდევ 1972 წელს ამერიკის საელჩოს ატაშემ, ბატონმა ჰაჩისონმა ბრძანა: „საქართველო განვითარებადი ქვეყანაა და სახელმწიფომ მხოლოდ დაწყებითი განათლება უნდა დააფინანსოს!“ მართლაც, თუ იმდენად ლატაკი ხარ, რომ შენი ხალხი შიმშილით იხოცება და მათი ჰუმანიტარული

დახმარებებითა და უპროცენტო სესხებით გინდა ფონს გახვიდე, რა დროს განათლება, მეცნიერება და კულტურაა? ჩვენ არ გვეყოლება ექიმი, ინჟინერი, მეცნიერი, კულტურის მოღვაწე და მხოლოდ სხვათა მოჯამაგირე ვართ უნდა გავხდეთ!

აი, ეს იყო ჩვენი ხელისუფლების მთავარი მიზანი და საზრუნავი და სწორედ ამიტომ აცხადებდა ზოგი პარლამენტარი და ხელისუფლების წარმომადგენელი: „მეცნიერება საქართველოსთვის ფუფუნებაა!“. ამრიგად, ჩვენ მოაზროვნე, განათლებული ხალხი არ გვეჭირდება.

მნიშვნელოვანია, რომ სკოლების არსებული სასწავლო პროგრამები არ შეესაბამება საშუალო სკოლების პროგრამას და ის ადრინდელ რევანლიან განათლების პროგრამასაც კი ვერ აღწევს. ასეთი ცოდნით მიღებული ატესტატი კი საზღვარგარეთის უმაღლესი სასწავლებლებისთვის მხოლოდ ფარაბინა ქალაქია.

უნივერსიტეტების მდგომარეობა კიდევ უფრო სავალალო გახდა, რადგან, განათლების (უფრო სწორად, გაუნათლებლობის) სამინისტრომ გადაწყვიტა, რომ სტუდენტებს სასწავლო გრანტი მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში უბოძოს. რაც შეეხება მაგისტრატურას, აქ სწავლის საფასური იმდენად მაღალია, რომ იურიდიული და ზოგიერთი ეკონომიური სპეციალობის გარდა, მაგისტრატურას ყველგან დახურვა ემუქრება. არადა, ბაკალავრიატის დამთავრება უმაღლესი დამთავრებას რომ არ ნიშნავს, ეს ყველა სტუდენტმა და მისმა მშობელმა უნდა იცოდეს. მაშ, რატომ ახდენენ მშობელს სწავლის ფულს? მხოლოდ იმისთვის, რომ მისმა უსწავლელმა შვილმა როგორმე დიპლომი მიიღოს?

განათლების სამინისტროს ძირითადი მიზანი იყო: წართვას მომავალი ჩვენს შვილებს და შვილიშვილებს! რეფორმა მიზნად ისახავდა საზოგადოების ზნეობრიობის საბოლოოდ დანგრევას პროფესორ-მასწავლებლების წარმოუდგენელი დამცირების გზით.

მართალია, რამდენიმე წამყვან უმაღლეს სასწავლებელში დღეისთვის ჯერ კიდევ შემორჩნა მაღალი დონის პროფესორი, მაგრამ თუ სათანადო დონის ახალგაზრდა სპეციალისტები ვერ აღვზარდეთ, ეს კადრიც ხელიდან შემოგვეცლება, კადრების აღზრდა კი სკოლიდან უნდა დავიწყოთ და ეს უმნიშვნელოვანესი საქმეა. მაგრამ, თუ ახალგაზრდებს არ ვუჩვენებთ, რომ ქვეყანაში განათლებულია პრესტიჟულია და პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა, ეს პრობლემა არ გადაწყდება. ამასთანავე, უნივერსიტეტების დაფინანსება არ უნდა იყოს სტუდენტების რაოდენობაზე დამოკიდებული და დიპლომი მხოლოდ დირექტორს უნდა მიიღოს!

ეს ძალზე ძნელი საქმეა და, პირველ ყოვლისა, ფასიანი სწავლების წესი უნდა შეიცვალოს და განათლების ახალი კანონი სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს.

მაგრამ, როგორ შეიქმნება საჭირო კანონი, როდესაც პარლამენტში ერთადერთი მეცნიერი გყავს, ხოლო მეცნიერებათა აკადემიის აზრი სრულიად იგნორირებულია?

განათლების მესვეურებმა გაყიდეს საქართველო იმ იუდას ვერცხლზე, რომელიც ამ ვაი-მოდერნიზატორებმა მსოფლიო ბანკისგან მიიღეს. მათ ვერცხლთან ერთად ის „რეკომენდაციებიც“ მიიღეს, რომლებიც „განვითარებად“ ანუ „განუვითარებელ“ ქვეყანას შეეფერებოდა, და დაიწყო განათლების სისტემის უსასტიკესი ნგრევა „განათლების რეფორმის ეგიდით“, რომელსაც უტიფრად ილია ჭავჭავაძის სახელი უწოდეს.

რა ეტაპები გაიარა რეფორმამ? 1992 წლიდან დაწყებული განათლების სისტემა სილატაკეში ამყოფეს მრავალჯერადი სეკვესტრებით. იქვე ნება მისცეს სახელმწიფო სასწავლებლებს, სტუდენტები ფასიან სექტორზე მიეღოთ და ამით იესო ქრისტეს ალტემა დაარღვიეს – არ შეუშვათ ვაჭრები ტაძარში! შედეგად, დაიწყო „ფასიანი“ სტუდენტების მოძიება მთელს საქართველოში და უნივერსიტეტები, ფაქტობრივად, „ბიზნეს-ცენტრებად“ იქცა, სადაც მთავარი ამოცანა სტუდენტებისგან გადასახადების ამოღებაა. აქედან სულ ერთი ნაბიჯიღა დარჩა ფართომასშტაბიან კორუფციამდე და ხელისუფალთა პრესმაც არ დააყოვნა: ხელაღებით დაიწყო ანტიკორუფციული შეტევა ჯერ უნივერსიტეტზე, შემდეგ მთელს განათლების სისტემაზე. „ცეცხლი სისტემას!“ – ბრძანა თვით ხელისუფლებამ და ისეთი განათლების კანონი გვესროლა, რომ ქვა ქვაზე არ უნდა დარჩენილიყო. პირველ რიგში, ამ ცეცხლის ქვეშ პროფესორ-მასწავლებლები და ნიჭიერი სტუდენტები აღმოჩნდნენ, შემდეგ გამანადგურებელი დარტყმა ქვეყნის მეცნიერებმა მიიღეს, უნივერსიტეტების სამეცნიერო სექტორიც გააუქმეს და სამეცნიერო ხარისხებიც. გაუქმდა ყველა სამეცნიერო ლაბორატორია, კათედრა და დაიწყო სამეცნიერო ინტელიგენციის ფართომასშტაბიანი გენოციდი. ხელისუფლების ამ საქმიანობის ნათელი მაგალითია სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების უნივერსიტეტებზე გადაცემა, სადაც ისინი ფინანსურ მარნუხებში სულს ლაფავენ.

საქართველოში მეცნიერების ამოძირკვის იდეა ორგანულად ერწყმის განათლების კანონს. სამეცნიერო ცენტრები ისედაც მეტისმეტად დაუსუსტდნენ ბიუჯეტის მრავალჯერადი სეკვესტრით, მაგრამ მთავარი ის გახლავთ, საზოგადოებას მეცნიერთა უზადრუკი მდგომარეობა აჩვენონ, რათა ახალგაზრდებს მეცნიერებისკენ ლტოლვა გაუქრებინათ. ამიტომაც მოიგონეს გრანტული სისტემა, რათა გრანტის მიღებამდე მეცნიერებს ან შიმშილით ამოხდეთ სული, ან საერთოდ უარი თქვან სამეცნიერო საქმიანობაზე. მთავარია, რომ მეცნიერება მთლიანად გაქრეს საქართველოში, რათა განვითარებადი ქვეყნის სტატუსი გავამართლოთ. ცხადია, კულტურის ცენტრები – საოპერო და დრამატული თეატრებიც უნდა გაქრეს: ისინი ჯერ „სარდაფებს“ შეაფარებენ თავს, შემდეგ კი, სულიც აღმოხდებათ.

საბედნიეროდ, ჩვენ გყავს ნიჭიერი ახალგაზრდები, მაგრამ მათი განათლები-სა და სამეცნიერო მუშაობის გზა მხოლოდ უცხოეთში გადახვეწაა. ამრიგად, ჩვენ ვკარგავთ უნიჭიერეს ახალგაზრდობას და მათი აქ დაბრუნება გამორიცხვლია სამეცნიერო ცენტრების უზადრუკი მდგომარეობის გამო. ეს კი დიდი დანაშაულია ერისა და ქვეყნის წინაშე!

ცხადია, განათლებისა და მეცნიერების კრიზისი დამლუპველად მოქმედებს ქვეყნის როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ ვითარებაზე. უნდა გვახსოვდეს, რომ მეცნიერება და განათლება ერის მომავალს განსაზღვრავს და, ამდენად, მისი სასიცოცხლო ინტერესებში შედის. ამიტომ მიგვაჩნია: განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სულიერების გადარჩენა ყველა ქართველის უწინდესი და უპირველესი ვალია. ■

თანამედროვე განათლების რეფორმის უქ-ჩრდილები

რეზოლუცია

განათლების რეფორმამ, რომლითაც ასე ყელყელაობდა ძველი ხელისუფლება, თითქმის არაფერი სასიკეთო არ მოუტანა ჩვენს საგანმანათლებლო სისტემას. ამის უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ, როგორც ჩანს, განათლების სამინისტროს არ ჰქონდა მეცნიერულად დასაბუთებული და ბოლომდე გააზრებული განათლების კონცეფცია. ყოველ შემთხვევაში, ის უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის.

ერთადერთი, რაც პრესიდან ვიცოდით, ის იყო, რომ განათლების სამინისტრო ეყრდნობოდა განათლების უცხოელი ექსპერტებს, რომლებიც, როგორც შემდეგ გაირკვა, არსებითად განვითარებადი ქვეყნების განათლების საკითხებზე იყვნენ დასპეციალებული. რადგან საქართველო განვითარებადი ქვეყნად მიიჩნედა, პრინციპულ განსხვავებას ვერ ხედავდნენ ქართულ განათლებასა და, ვთქვათ, აფრიკული ქვეყნების განათლებას შორის. ამასთან, მათ, ცხადია, არ იცოდნენ ჩვენი დიდი და სახელოვანი ტრადიციები განათლების სფეროში, არ იცოდნენ, რომ ჩვენ გვყავდა დიდი იაკობ გოგებაშვილი, მსოფლიო პედაგოგიკის კლასიკოსი.

როცა ამერიკიდან უკრიტიკოდ იღებდნენ განათლების სიახლეებს, განათლების რეფორმის ქართველი მესვეურები რატომღაც არ ითვალისწინებდნენ, რომ ამერიკის საგანმანათლებლო სისტემა 49-ე ადგილზე იყო მსოფლიოში და რომ იგი თვითონ ამერიკელებმა დაახასიათეს, როგორც ღრმა კრიზისში მყოფი. მათთვის, ალბათ, არც ამერიკის განათლების დეპარტამენტის განცხადება იყო ცნობილი, ამერიკაში სწორედ განათლების მდგომარეობის გამო რომ გაკეთდა: **ამერიკელი ერი საფრთხეშია!**

ვთქვათ, ამერიკის მამაციობის გადაყრდნობა ველოდით, რომ იმის შემდეგ, რაც ჩვენს დედაქალაქში ამერიკის სულს (გახსოვთ, ალბათ, მთელ თბილისში იყო გამოფენილი მსგავსი მონოდებები), განათლების სისტემაში შეიქმნებოდა სასიკეთო სიტუაცია, მაგრამ ახლა ხომ მაინც უნდა დავრწმუნდეთ და ვადასტუროთ, რომ ამ რეფორმამ და მასზე დახარჯულმა მილიონებმა არაფერი სარგებელი არ მოუტანა ჩვენს განათლების სისტემას, ერთადერთი გამოწვევის, ალბათ, მაინც მისაღები გამოცდების ცენტრის შექმნა იყო.

მაინც რას ველოდით და რა მივიღეთ? უნდა დამარცხებულიყო და ვერ დამარცხდა მასობრივი უნივერსიტეტი; უნდა ამაღლებულიყო და ვერ ამაღლდა სკოლაში დისციპლინა, უნდა გაზრდილიყო და ვერ გაიზარდა მასწავლებლის პრესტიჟი და ავტორიტეტი; უნდა გაუმჯობესებულიყო და ვერ გაუმჯობესდა მასწავლებლის სოციალური პირობები; უნდა გამყარებულიყო და ვერ გამყარდა ზნეობრივი ღირებულებები; უნდა აღორძინებულიყო და ვერ აღორძინდა ეროვნული ცნობიერება. პირიქით, დაიმცრო და დაკნინდა. ამის მიზეზი კი ის სახელმწიფო პოლიტიკა იყო, რომელსაც ხელისუფლება ატარებდა.

განათლების არასწორი სახელმწიფო პოლიტიკა გახდა იმის მიზეზი, რომ მეცნიერება /განსაკუთრებით, ფილოსოფია, ფსიქოლოგია, პედაგოგიკა/ მოწყდა სკოლას. არადა, ბევრი სიახლე სწორედ მეცნიერებას უნდა დაენერგა სკოლაში. ლაპარაკია განსხვავებულობაზე კულტურასა და ცივილიზაციას შორის, ტექნიკურ და რელიგიურ გაუცხოებას შორის, ახსნისა და გაგების მეთოდებს შორის, ადამიანსა და პიროვნებას შორის, სუბიექტურ და ობიექტურ გონს შორის, ღირებულებათა იერარქიას შორის, ლაპარაკია ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზის ცოდნაზე და ა.შ. ვიმეორებთ: ეს ყველაფერი მეცნიერებას უნდა დაენერგა სკოლაში, თუ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებასა და განათლების სამინისტროს ამისი სურვილი გაუჩნდებოდა.

ჩვენ დიდად გვეამაყება, რომ თავისუფალ, დემოკრატიულ ქვეყანაში ვცხოვრობთ. მაგრამ თავისუფლება არ ნიშნავს თვითნებობას, აღვირახსნილობას, უზნეობას, რისი რეციდივიტიც ჩვენში ნამდვილად შეიმჩნევა. უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ამჟამად საუკულანოტო კონსტიტუციით მინიჭებული ამ უფლებით და მოითხოვს ათასნაირი სიბინძურისა და გარყვნილების დაკანონებას. ლაპარაკია ჰომოსექსუ-

ალიზმის, ლესბოსური სიყვარულის, ერთსქესიანთა ქორწინების და სხვა ტიპის გარყვნილების დაკანონებაზე. კიდევ გავიმეორებთ, რომ ეს უსინდისო სპეკულაცია თავისუფლების თემით. ნამდვილი თავისუფლება არ არსებობს პასუხისმგებლობის გარეშე, ზნეობრივი ნორმების დაცვისა და სხვა ადამიანებზე ზრუნვის გარეშე.

იზიარებდა რა გაეროს მასალებისა და მთელი რიგი საერთაშორისო დოკუმენტების სულისკვეთებას, რომლებშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პიროვნების უფლება-თავისუფლებებს და რომლებშიც არაფერი იყო ნათქვამი ეროვნებასა და ეროვნული ცნობიერებაზე, ძველი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებდა ეროვნულ ცნობიერების, ეროვნული თვითშეგნების დაკნინებისთვის /გავიხსენოთ პასპორტიდან მამის სახელისა და ეროვნების აღმნიშვნელი გრაფის ამოღება და მრავალი სხვა/.

ყოველივე ეროვნულის სიძულვილის არაპირდაპირი გამოხატულება იყო საკითხების ამოღება როგორც საქართველოს ისტორიის, ისე მშობლიური ლიტერატურის. პროგრამებიდან, მათი გამოტოვების მიზნით. არადა, ერთიც და მეორეც ეროვნული ცნობიერების, ეროვნული ღირსების გრძნობის განმტკიცების აუცილებელი პირობა და საუკეთესო საშუალებაა. სამწუხაროდ, სტატიის ფორმატის სიმცირის გამო აქ ვერ გავწვდით გამოტოვებულ საკითხთა გრძელ ჩამონათვალს ქართული ლიტერატურიდან.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიას, ჩვენ მიგვაჩნია, იგი რომ კვლავ უნდა აღდგეს მეოთხე საუკუნეებში საგნად (თუნდაც გაურკვეველი „ზოგადი უნარების“ ნაცვლად) და არა მხოლოდ ზოგიერთ ჰუმანიტარულ სპეციალობაზე, არამედ ყველა სპეციალობაზე, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყოველმა ქართველმა, რომელსაც აქვს პრეტენზია ქართველ ინტელიგენტობაზე, თავისი ქვეყნის ისტორია უნდა იცოდეს.

გამარტივებულმა სასწავლო პროგრამებმა და შეფასების კრიტერიუმების დაბლებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მოსწავლეთა საერთო განათლების დონე კატასტროფულად დაეცა. ასე მაგალითად, ჩემ მიერ გამოცხადებულმა ასზე მეტმა პირველკურსელმა სტუდენტმა რამდენიმე სხვადასხვა უნივერსიტეტიდან არ იცოდა, თუ ვინ იყვნენ ირაკლი აბაშიძე, გურამ ფანჯიკიძე, სიმონ ჩიქოვანი, პოლიკარპე კაკაბაძე, შოთა ნოშინიძე, ნიკო სამადაშვილი, ტერენტი გრანელი და ა. შ. ლაპარაკი აღარ გვაქვს მათი ნაწარმოებების დასახელებაზე. აი, ეს არის სწორედ ეროვნული კატასტროფა და, თუ შენგლერის სიტყვების პერიფრაზირებას მოვახდენთ, „ქართული მზის ჩასვენება“ (მხედველობაში გვაქვს შენგლერის წიგნი „ეკროპის მზის ჩასვენება“). ეროვნული კატასტროფა იმიტომ, რომ დაქვევლ ეკროპიკას მისი სწორი მართვის შემთხვევაში ადვილად ეშველება, შერყვნილ, დაბნელებულ ცნობიერებას კი ხშირად წლები და ათეული წლები სჭირდება გაჯანსაღებისთვის.

განათლების სისტემაში არსებული ნაკლოვანებების ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ ეს სისტემა მეტისმეტად პოლიტიზებული გახდა. საქმე იქამდეც კი იყო მისული, რომ განათლების ბედს ამ დარგის სპეციალისტები კი არ წყვეტდნენ, არამედ პოლიტიკოსები, პარლამენტარები, მერიის სხვადასხვა სამსახურის მუშაკები, ანუ ისინი, რომელთაც ამ საქმის, რბილად რომ ვთქვათ, ბევრი არაფერი გაეგებოდათ.

ყოველად მოუთმენელი ჩანდა და ჩანს სახელმწიფო პოლიტიკა ქართული ენისადმი, რაც პირდაპირ კავშირშია ეროვნული ცნობიერების რღვევასთან. საკმარისია ითქვას, რომ დღეს ბილნსიტყვაობენ როგორც თურნალ-გაზეთები, ასევე რადიო-ტელევიზია. ბილნსიტყვაობამ შეაღწია მხატვრულ ლიტერატურაშიც. ბილნსიტყვაობა ისმის სცენიდან, ეკრანიდან, შოუ-პროგრამებიდან, უახლოეს წარსულში ისმოდა თვით პარლამენტის ტრიბუნაზეც კი. მასკულტურამ ნალექა ტელევიზია, ნამდვილი კულტურა მისმა სუროგატმა შეცვალა. ნამდვილი ინტელიგენციის ადგილი ე. წ. „საშუალო ადა-

მიანმა“ დაიკავა. დღეს სრულიად უკონტროლოდ უამრავი უცხო სიტყვა შემოდის ქართულ ენაში, შემოდის მაშინაც კი, როცა მისი შესატყვისი საუკეთესო ქართული სიტყვა არსებობს ენაში /ვთქვათ, „თინეიჯერი“ „ყმანვილის“ ნაცვლად, „სილაბუნი“ „სასწავლო გეგმა“ ნაცვლად და ა.შ. ამ განუკითხაობის შემხედვარეს არ შეიძლება არ გაგახსენდეს ხალხური ნათქვამი: „უპატრონო ეკლესიას, ტურა-მელა შეესიაო“. სამწუხაროდ, ამ მხრივ რადიკალურ ცვლილებებს არც ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ვხედავთ. ერთ დროს იყო ლოზუნგი: „კულტურა გადაარჩენს საქართველოს“. ახლა მე ვამბობ: თუკი არაფერი შეიცვლება, მასკულტურა, მარგინალური კულტურა დააქვევს საქართველოს.

კარგად გვემის, რომ ამერიკა ჩვენი მეგობარი და პარტნიორი ქვეყანაა. მაგრამ განა ამ პარტნიორი ქვეყნად მაინცადამაინც ყველაფერი ცუდი უნდა გადმოვიღოთ?! არადა, ცუდი გაცილებით მეტი გადმოგვაქვს. გადმოგვაქვს ისეთი რამ, რაც სრულიად შეუფერებელია ჩვენი კულტურის, ჩვენი მენტალობის, ჩვენი მართლმადიდებლობის თუ ჩვენი იდეოლოგიისათვის: „მამული, ენა, სარწმუნოება“. დიახ, სწორედ ილიასეული „მამული, ენა, სარწმუნოება“ უნდა გახდეს ჩვენი ეროვნული იდეოლოგია, რადგანაც, ეროვნული იდეოლოგიის უარყოფა, რასაც, სამწუხაროდ, დღეს ბევრი მომხრე ჰყავს, ავტომატურად მიგვიყვანს ეროვნული ცნობიერების გაუქმებამდე.

ყოველივე უცხოურისადმი მიმბაძველობამ იმდენად მახინჯი სახე მიიღო, რომ მათგან ისეთი ლიბერალური ღირებულებებიც კი გადმოგვაქვს, რომლებშიც სრულიად უგულვებელყოფილია უფროს-უმცროსობა, მოხუცისა და ქალისადმი პატივისცემა და მრავალი სხვა. ხომ თითქოს არაფერია, თუკი სკოლის მოსწავლე ან სტუდენტი არ ნამოხტება მოხუცის დანახვაზე და მას დაჯდომას არ შესთავაზებს; ხომ თითქოს არაფერია, თუ ინვალისა და ჭარბად ადამიანს გადასვლელზე გადასვლაში არ დაეხმარები; ხომ თითქოს არაფერია, თუ უფროსს უხეშად, უდიერად დაელაპარაკები, მაგრამ ამგვარი „თითქოს არაფერი“-ები, საბოლოო ჯამში, რყვნის ახალგაზრდებს, უკარგავს იმათ მიმართ პატივისცემას, ვინც მათთვის მისაბაძი უნდა იყოს. შესაბამისად, ისინი (ეს ახალგაზრდები) ცხოვრობენ ყოველგვარი ზნეობრივი იდეალების, ზნეობრივი ორიენტირების გარეშე.

ჩვენი თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლია ის, რომ ჩვენს მოსწავლეებს ვაძლევთ გარკვეულ ცოდნას, მაგრამ ნაკლებად ვზრუნავთ მათში კრიტიკული აზრის განვითარებაზე, მათი შემოქმედითობის, ანუ კრეატიულობის ამაღლებაზე. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ მოზარდი წარმოგვიდგენია ისეთ სათავსოდ, რომელშიც უნდა შევიტანოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. სამაგიეროდ, ნაკლებად ვმართავთ მათთან დიალოგს, ნაკლებად ვინტერესდებით – როგორ აზროვნებენ თვითონ მოზარდები. რამდენად არიან მზად სიახლეების მისაღებად. იქნებ, ვცდებით, მაგრამ არა მგონია, ვინმე დაინტერესებულიყო, ვთქვათ, ასეთი მარტივი საკითხით: რამდენჯერ სვამს მოსწავლე ერთი გაკვეთილის განმავლობაში კითხვას: რატომ? ან სვამს კი საერთოდ? არადა, ამ კითხვით იწყება აზროვნება. არისტოტელე კი ამბობდა: ერთ „რატომზე“ გაცილებით პასუხი მიიჩვენია სპარსეთის შაჰის ტახტსო. არადა, ეს კითხვა რომ არ ყოფილიყო, არც არქიმედე იქნებოდა, არც ნიუტონი, არც აინშტაინი, არც წყლის ენერჯია იქცეოდა ელექტროენერჯიად და ა.შ. უსასრულოდ.

და კიდევ ერთი: დღემდე ჩვენს სკოლაში ძირითადად მეთოდად მიიჩნეოდა და მიიჩნევა ახსნის მეთოდი. ახსნა მართლაც ძალზე ეფექტური მეთოდი, როცა საქმე საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეხება, მაგრამ ზოგჯერ ის სრულიად უვარგისია, როცა სოციალური მოვლენებით ვინტერესდებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და სოციალურ მეცნიერებებს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი ადგენს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს (ა ინვეს ბ-ს, ბ ინვეს-ც-ს, ც ინვეს-დ-ს და

ა.შ.), სოციალურ მეცნიერებებში კი მთავარია საზრისიანი კავშირების დადგენა, ქვეტექსტების ამოკითხვა, სიმბოლოებისა და ალევორების გაგება.

თუ არა გაგების მეთოდით, ვერაფრით ვერ მიხვდები, როგორ დაიძინა ვაჟა-ფშაველას პერსონაჟმა (ლექსში „მოხუცის სიმღერა“) უწვერულვამო ჭაბუკმა და როგორ გაიღვიძა ღრმად მოხუცმა. ლექსი სულ ექვს სტრიქონიანია და საილუსტრაციოდ მინდა აქვე მოვიტანო:

*„დამძინებოო ჭაბუკსა,
პირტიტელს, უწვერულვასა,
გამომღვიძა, თმა-წვერი
მიგვანდა ბამბის ქულასა,
მწყინდა და ვინყველებოდი,
მოვიგონებდი თუ რასა“.*

როგორც ვხედავთ, ლექსში მთელი ადამიანური ცხოვრება ჩატეულია და ისიც არის ნათქვამი, რომ წუთისოფლის სტუმრობა ყოველთვის დანანებით დასრულდება, თუ ყოველ მის წუთს საქმიანად არ გამოვიყენებთ, თუ მას ბოლომდე არ დავტვირთავთ.

მაგრამ ყოველივე ამას მხოლოდ მას შემდეგ მიხვდებით, რაც მის დედაარსში ჩასაწვდომად გაგების მეთოდით ვისარგებლებთ და საზრისიანი კავშირების ძებნას დაიწყებთ, ანუ თუ ამ ლექსის ჰერმენევტიკულ ანალიზს მოვახდენთ, რასაც, გავხედავ და ვიტყვი, სკოლა გამოწვევის შემთხვევებში თუ იყვნენ.

ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ ფარული შეტევის გამოხატულებად მიმაჩნია პირადად მე ტოლერანტობის (მათ შორის, რელიგიური ტოლერანტობის) ცნების არასწორი გაგების შეგნებული დამკვიდრება. „ტოლერანტობა“ სიტყვისიტყვით ნიშნავს „შემეგუებლობას“, ანუ იმის დასაშვებობას, რომ, მივაკუთვნებთ რა საკუთარ თავს მართლმადიდებლურ ქრისტიანობას, არ ვიყოფი მტრულად განწყობილი სხვა რელიგიების მიმართ და არა სხვადასხვა რელიგიათა ურთიერთშერიგებას, ურთიერთდაზავებას. ქართველი ერი უკვე მრავალი საუკუნეა მართლმადიდებელი ენია და მართლმადიდებლობა მისთვის ისეთივე ორგანოა და სისხლხორცული რამ არის, როგორც ქართულ ენაზე მეტყველება. დღეს მართლმადიდებლური ქრისტიანობის წინააღმდეგ მიზანმიმართული და ყოველდღე უხამსი ბრძოლა მიდის და, რომ არა ჩვენი ბრძენკაცის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმდღესისა და უნეტარესის ილია მეორის უდიდესი ავტორიტეტი, აქამდეც გაუჭირდებოდა თავის გადარჩენა.

ეროვნული კულტურისადმი, ეროვნული ცნობიერებისადმი მიმართებაში ჩვენც ისევე უნდა მოვიქცეთ, როგორც იქცევა, მაგალითად, საფრანგეთი, რომელიც ერთგულად იცავს თავის კულტურულ ტრადიციებს და საგანმანათლებლო სისტემას. ჩვენი ძირძველი, უნიკალური და უმდიდრესი ქართული ეროვნული კულტურა, ჩვენი დიდი საგანმანათლებლო ტრადიციები გვაძლევს იმის საშუალებას, რომ არც ერთ ქვეყანას არ მივსდით ბრძედ, უკრიტიკოდ, სათანადო ანალიზის გარეშე. ჩვენ ხომ ფასდაუდებელი შედეგის „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“-ს შემქმნელი ხალხი ვართ; ჩვენ ხომ იმ დიდი ერის შვილები ვართ, რომელსაც მოყვასისადმი სიყვარული და თავგანწირვა, როგორც დიდი შოთა რუსთაველი ბრძანებდა ავთანდილის პირით, „თამაშად და გვიჩანს მღერად“. ამიტომ შემომაქვს წინადადება და კონფერენციის მონაწილეებს ვთხოვ მხარდაჭერას – იმისათვის, რომ ქართულმა პედაგოგიკამ მთელ მსოფლიოს დაანახოს ჩვენი უნიკალური მიღწევები როგორც სახალხო (ხაზს ვუსვამ: სახალხო და მასში პირველ რიგში ვგულისხმობ სწორედ „ლექსს ვეფხისა და მოყმისა“), ისე მეცნიერულ პედაგოგიკაში, შევქმნათ ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა კომისიის“ მსგავსი მეცნიერთა სოლიდური ჯგუფი და დავწეროთ ნაშრომი: „ქართული პედაგოგიკა“ რომელიც, დარწმუნებული ვარ, სასიამოვნოდ განაცვიფრებს და ქართული კაცთმოყვარეობისა და ჰუმანიზმის იგავიწვდომელ სიმაღლეებს დაანახებს მთელ მსოფლიოს. ■



დიდი ხანია, ლიტერატურამ ჟურნალ-გაზეთებიდან ინტერნეტსივრცეში გადაინაცვლა. ახლა გაცილებით უფრო მეტი მხატვრული ნაწარმოები თავსდება სხვადასხვა საიტზე, ვიდრე პრესის ფურცლებზე.

ამ პროცესმა ერთი დადებითი ასპექტი მართლაც მოუტანა ლიტერატურას – ერთმანეთთან უფრო დაახლოვა ავტორი და მკითხველი და მათი ურთიერთობა უფრო ინტერაქტიული გახდა.

დღესდღეობით საინფორმაციო ბაზარში სოციალური ქსელების აბსოლუტურმა მონოპოლიამ ყველა ბეჭდური გამოცემა აიძულა, რამენაირად დაკავშირებული იყოს სხვადასხვა საიტთან. სწორედ ამ მიზნით თავსდება „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული მასალები სხვადასხვა ინტერნეტსაიტებზე.

დარწმუნებული ვართ, გაზეთის მკითხველს ძალზე აინტერესებს თუ რა

გამოხმაურებები აქვს ჩვენს გაზეთში და ბეჭდული სტატიებს სოციალურ ქსელში.

სწორედ ამიტომ შევქმენით ყოველთვიური რუბრიკა **მკითხველის წმა**, რომლის ფარგლებშიც ჩვენი გაზეთის მკითხველს საშუალება მიეცემა, ბეჭდური სახით გაეცნოს კონკრეტულ ნაწარმოებზე ინტერნეტმკითხველის გამოხმაურებას.

„ლიტერატურული საქართველოს“ სექციების ერთ-ერთ ნომერში დაიბეჭდა ოთარ ჯირკვალის შოთხრობა „ცხენის კისერზე შემოჭობილი ხელები“, რომელიც წარდგენილი იყო კონკურსზე „ლიტბუნიობა“.

„ლიტერატურული საქართველოს“ დღევანდელ ნომერში მკითხველს სტილის სრული დაცვით ვთავაზობთ გამოხმაურებებს, რომლებიც ამ მოთხრობის შესახებ გაკეთდა ხსენებულ კონკურსთან მიმართებით.

მოგვიყვანოს, რომელი მოთხრობის სიუჟეტი და პერსონაჟი დაამსოვრდა მაგას უკუნიტი-უკუნიამდე, თორემ სიუჟეტის მეტი რა მაქვს ეგერ!

ვარადელი, რომ წერ „არუთინოვი და ბათონი გია არგანიშვილი საკმაოდ მაღალი დონის ოსტატები არიანო“ მითხარი ერთი, რა აზრს გამოთქვამს არმენის ტექსტი? რას შერება მაგ თხზულებაში ამდენი მოსაწყენი, ბანალური საყოფაცხოვრებო სცენა? და რით განსხვავდება ეგ ტექსტი ჩვეულებრივ „რასაც ვხედავ, იმას ვწერ“-ისგან?

ხოლო არგანიშვილის ტექსტში ის ჩანარები გამოიყურება უბრალოდ ბლოგურ მსჯელობად, არაფერი მხატვრული. ლოგიკური გაუმართავობებიცაა.

ავტორი: **აზგო**

რიული თუ ლიტერატურული სახელების, გმირების, პერსონაჟების და მათი ციტატების ერთობლიობა, რომელიც საბოლოო ანგარიშით, არაფერს არ იძლევა...

ავტორი: **ამელი**

ზოგადად თანამედროვე ქართული ლიტერატურა რომ კრიზისშია და აბსოლუტურად აცდენილია ხაზს, ჩანს იქიდანაც, რომ ყოველ მომდევნო კონკურსზე ჟიურის შემადგენლობა უარესდება. ესენი ლეო ქიაჩელის, დემნა შენგელიას კლანჭებიდან ვერც ვერასოდეს დაიხსნიან თავს. ჟიურის წევრი რომ იმას იტყვის: აუცილებელია საინტერესო სიუჟეტი, შემდეგ კულმინაცია და პერსონაჟის ისეთი ხასიათი, რომელიც უკუნიამდე დამამსოვრებელი და ამას თვლის 21-ე საუკუნის პროზის კრიტერიუმად, ვაი, ჩვენს დღეს. მაგ ლოგიკით მოდერნიზმები: მარსელ პრუსტი, ჯეიმს ჯოისი, ხორხე ლუის ბორხესი, კაფკა და თუნდაც სარამაგო გადასაყრელი ყოფილან ნაგავში, აღარაფერს ვამბობ პოსტმოდერნიზტებზე.

ვილაც პატარა გოგონები, რომლებსაც ორი წიგნი არა აქვთ წაკითხული (ლიტერატურის თეორიაში ხომ ბებიჩემი თქვენზე უკეთ ერკვევა) ტექსტებს გიფასებენ და ისეთი ამბიციურები არიან, ჟიურის წევრობაზე წარბეზებულად თანხმდებიან. არა რა, ეს ბოლო „ლიტბუნიობა“ საშინელება იყო, თუმცა ზოგადად პატივს ვცემ ამ კონკურსს და მის ორგანიზატორს, ნიკის.

დაგიფასდებათ. წარმატებები ყველას და გაუმარჯოს ფრანც კაფკას!

ავტორი: **ვარადელი**

მგონი, თავს ის უფრო იმასხარავეებს (გაიმასხარავა), ვინც იმ კარებს ეჯაჯგურება (ნაეჯაჯგურა), რომლის ოდნავ გამოღებას სიზმარშიც კი ვერ შეძლებს. მე დავამთავრე თქვენთან ლაპარაკი, აზრის არქონის გამო. აზგო, შენ რა, სერიოზულად ელოდები „ადრესატებისგან“ მაგ კითხვებზე პასუხს?

ამ ჟიურის სამ ნაწილად დავეყოფი: ერთი, რომელმაც ყველას 10 დაუნერა, მეორე, რომელიც ლიტერატურის ორბიტაზე არ არის და მესამე, რომელმაც სოციალისტური რეალიზმის ტრადიციის გამგრძელებელი ტექსტების კითხვისას ტანში ყრუანტელი უვლით. რა ობიექტურობა და რის კომპეტენტურობაო. თან ყველა სიკეთესთან ერთად სოდის თანამშრომლებივით ორგანიზატორებმა ჩემი დოსიე ამომიქექეს და კომპრომატებით დამემუქრენ...

ავტორი: **ოთარ ჯირკვალისძვილი**

პირველ რიგში, მე არსად არ მიტყვამს რომ კონკურსი უნდო მომეგო, ეს არც არის ჩემთვის პრიორიტეტული... ვის მოენებება და ვის არა, ეგეც გემოვნების ამბავია და, თუ ეს მოწონება-არმოწონება მიხედვრიდან ან მსოფლალქმიდან გამომდინარეობს, მე პატივს ვცემ, მაგრამ გული რაზე მწყდება იცით, დეკარტი ამბობდა, როცა ერთი ადამიანი მეორის შემოქმედებას ამოწმებს, რალაცამი მაინც უნდა იყოს მასზე მეტიო. ამელი, გულწრფელად მაინტერესებს პასუხი, შენ შეაფასე ჩემი ფრაგმენტი და დაასკენი – ეს ყოფილა მხოლოდ ციტატების ერთობლიობა, აი, აქ იძულებული ვარ გკითხო: მასეთ „ღრმა“ დასკვნას რომ აკეთებ, ზოგადად სიცოცხლის და კერძოდ ნიქსეს ფილოსოფიას იცნობ? ნაკითხული გაქვს „ტრაგედიის დაბადება მუსიკის სულიდან“? ან „ასე იტყობა ზარატუსტრა“? ან ნიქსეს შეხედულებები ევროპაზე? მისი შეხედულებები ქრისტიანობაზე? მიხვდი, რომ მოთხრობაში სულ სხვა ნიქსეა დანახებული? ან „ეგზისტენციალიზმ“ იცნობ? ნაკითხული გაქვს ოსვალდ შპენგლერის „ევროპის დაისი“? იცი, რას გულისხმობს პოსტმოდერნული ციტირების სისტემა? ან ჰაიდეგერის ათეისტურ, ირაციონალურ ეგზისტენციალიზმს იცნობ? მისი პატარა ნაშრომი „თემარა“ ნაკითხული გაქვს? ჰეგელის ევროპაცენტრისტულ, ლოგოცენტრისტულ გონის ფილოსოფიას იცნობ? ნაკითხული გაქვს მისი „ისტორიის ფილოსოფია“? ორტეგა ი გასეტის რამე ნაკითხული გაქვს? ეს ის მინიმალური ცოდნაა, რაც აუცილებელია ჩემი ფრაგმენტის შესაფასებლად, მე „ავტორი“ (თუმცა ზოგადად ავტორზე ჩემი შეხედულებები სხვა თემა) ვარ და ვიცი ხომ, რასაც ვგულისხმობდი, ნუთუ ასეთი პრიმიტიული მსჯელობა ტექსტზე ებატიება ჟიურის წევრს? შენ უნდა შეეფასებინა, რაც ზევით ეწერა, ეს ყველაფერი რამდენად ოსტატურად ჩავედ ტექსტში და თუ ეს ელემენტარული ცოდნა (რაზეც ზემოთ მივუთითე) არა გაქვს (ეს ჩანს შენი ბოლო კომენტარიდან), როგორ აფასებ ტექსტს?

P. S. გამორიცხე ჩემგან ყოველგვარი ნიშნისმოგება ან იაფფასიანი ამპარტავნობა ან ცოდნით თავმოწონება, აკი ეგ ტექსტშიც მიწერია, უბრალოდ, იძულებული ვაგვხდი დამეყვანე ეს კითხვები.

ავტორი: **ოთარ ჯირკვალისძვილი**

ავტორი: **ოთარ ჯირკვალისძვილი**

ოთარ, კომენტარისგან თავს შევიკავებ. გაავეზულ კაცზე ცუდი მოსასმენი არაფერია.

უბრალოდ ერთს გეტყვით, როდის დაითვალეთ ჩემს მიერ წაკითხული წიგნები, ძალიან მაინტერესებს.

თემა კონკურსსა და დებატებში შესვლისა, დახურულია.

ავტორი: **ამელი**

თავს ნუ იმასხარავებთ, უხერხულია. გაკაპახებულ კაცზე ცუდი სანახავი კი არაფერია.

კარგად და წარმატებები.

ავტორი: **ამელი**

დიად ლიტერატორებს ვთხოვდი ნინო თარხნიშვილის (ჩემს) ხსენებას მორჩენ. ძალიან არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, ისეც და ისეც იმიტომ, რომ პირველ რიგში საკუთარ თავს ვცემ პატივს. კიდევ ერთხელ ვამბობ, ნუ იმასხარავებთ თავს. უხერხულია. ამხელა კაცები ხართ და უბრალოდ ამაზრუნენად იქცევით. არ მინდოდა მეტყვა, მაგრამ აღარ მორჩით. კაცი რომ ვიყო, დიდი სიამოვნებით მიგინაყავდით ცხვირ-პირს. მხოლოდ ამას იმსახურებს ჩემი სახელის ასე წამდაუნუმ უარყოფით კონტრექსტში ტრიალი.

ავტორი: **ამელი**

ჩემი აზრით, კონკურსის ფინალისტები, ნუ, ყოველ შემთხვევაში, ბატონი არმენ არუთინოვი და ბატონი გია არგანიშვილი საკმაოდ მაღალი დონის ოსტატები არიან. და ვფიქრობ ლიტბუნიობის გამარჯვებულები ხელმოცარული ლიტერატორები წამდვილად არ არიან. გააფთრება ნაგების გამო არ ღირს. უბრალოდ დაფიქრდით, რატომ შეიძლება ეს მომხდარიყო. მართალია ვერც მე გავიმარჯვე, მაგრამ ეს ტრაგედია არ მიმაჩნია. წერეთ, ბატონო ჩემო, ოცდამეერთე საუკუნის „სტანდარტებით“, ისე, რომ დილეტანტობა ან უგემოვნობა არ გამოგივიდეთ და დარწმუნებული ვარ,

ამელი, ვისთვისაც მწერებიანი საშოა დამაჯერებელი, იმისთვის, რალა თქმა უნდა, ძნელია იმის აღქმა, რომ დელფინი კაცს ესხმის. ნებისმიერმა ცხოველმა შეიძლება ქნას ეს, შინაური ძაღლიც კი კენს პატრონს, მაგრამ დელფინის ადამიანზე თავდასხმის ამბავი წამდვილად არავის სმენია. მაშ, რა შუაშია აქ დელფინი, მართლაც გაუგებარია არა? ანდა ესო, სიზმარი არაა დამაჯერებელიო, რატომ ნეტა? სინამდვილეში არ შეუძლია სიზმარს მომავლის განჭვრეტა და იმიტომ? ე. ი. მოატყუა იმ ქალმა თავისი ქმარი?! აუ, ეს რა მითხარი?! ისე, თუ რამეს ამბობ, დამამტკიცებელი მაგალითსაც მოაყოლებდე, კარგი იქნებოდა. როგორც მე ამას ცოტა ქვემოთ ვიზამ.

„ისტორიას ახსოვს ისტორია [მეგობრებო]!“ – მ. ვებერი. ასე რომ, რაც არ უნდა ვუმალოთ ერთმანეთს ოთარ ჯირკვალისძვილი, ის თავისი თავის გარდა მაინც ვერავის დაემალება! ვენისოია და იმიტომ; და იმიტომ ვერ გაიმარჯვა ამ კონკურსში, რომ გენისოია (თუ გინდათ, ამ კონკრეტული მოთხრობის ავკარგია-ნობაზე ვიდავოთ).


ავტორი: **ლექსო დორეული**

სიამოვნებით, ლექსო... მართლაც სერიოზული ინტერესი გამიჩნდა ახლა ოთარის მასალის მიმართ...

ავტორი: **მიშა რატინი**

მეც ძალიან მაინტერესებს თქვენი აზრი ამ მოთხრობის (რომანის ნაწყვეტის) შესახებ. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს მიერ დაწერილი ქულა, სრულიად სამართლიანი და ლოგიკური იყო. ეს არ იყო მოთხრობა. ეს არის ცნობილი ისტო-

მოამზადა **თაქო დალიანა**



„მყუდრო ბინა ბრწყინავდა, როგორც აკადემია!..“

ყველა სხელი, სდაც ხვენი ვარია, არის აცადემია.

ყველა აცადემია, სდაც ხვენი არ ვარია, არის სხელი!

ავტორი: **ასადეაბრეული!**

დასრულებული საქმიანობა



თორნიკე ჭელიძე

ვინ იცხოვრებს შენს ტკივილებში,
როცა ქუჩაში სულ უბრალო გასეირნებაც
ემსგავსება დანის მჭრელ პირზე
გასვლა-გამოსვლას?!

დღეს შვილმკვდარი შემხვდა ტრანსპორტში
და ალბათ ჩემი მსგავსების გამო
იმ გარდაცვლილთან
მიყურა დიდ ხანს, დიდ ხანს, მდუმარედ.

როგორ მომინდა, მისამართი მცოდნოდა მისი
და ოდესმე, თუ გავბედავდი,
შემელო კარი და დამეძახა რამე უბრალო:
მშია, ვიძინებ, გვიან მოვალ ან
მიყვარხარ-მეთქი.

იქნებ ზეცაში მისი შვილის სული მამაჩემს
ასე ეპყრობა?!



გიორგი ფირცხალაიშვილი

ჰუმანოიდო!

ჰუმანოიდო, ნუ გაიჭრი კოსმოსს!
ნურც რწმენით გაიჭრი „უცნაურ“ ხელებს.
ბასრია ანომალია ბრმათა
ტელესკოპების...

თუნდ ამოხვიდე ციფრული შიმშილიდან,
ნუ მაჭმევ კანიბალებს
და ნუ მთხოვ, სურვილი
ჩავიფიქრო...

ჰუმანოიდო, ნუ გაიჭრი
ჭარბ ნონას ფობიის ხარჯზე
და გთხოვ, არ ახსენო დიეტა.
ესტუმრე ჩემს ერთოთახიან ბინას,
სადაც უჩვეულო არაფერია
ჩვევების გარდა.
ჩამოხსენი,
გენეტიკური ფარდა...

სხვები იჭრიან ძარღვების დელტას
და მაცივარი ცარიელია, შემომიარე მაშინ,
როდესაც
მეზობლის ფანჯრიდან ისმის დანა-ჩანგლების ხმა
და ბავშვების კისკისი
და ახალმომზადებული კერძის გამაბრუებელი
სურნელი
ეთამაშება ჩემს მშვიდ ფანჯრებს.

ჰუმანოიდო,
იტირე მწარედ!
და შენი თვალებიდან წინაკას დავეკრეფ...
და სოფლელ გოგიას ჭამაში შევეჯიბრები.
ანდაც, იძინე ტკბილად...
და შენი სიზმრიდან შაქრის ექსპორტს
ვანარმოებ...

აქ ხომ ლედვის ხეც იაზრებს
ხილის სეზონურ აღდგომას...

გამომიარე, შენი პირველადი ლირიკით,
მეტაფორული ფერიცვალებით
გამომიარე!
გამომიარე, სანამ დააფადებ
განდიდების მანიით
და ცამდე ასული მისტიციზმით,
როგორც ღმერთი...
ნუ დაემსგავსები მას,
გამომიარე!
ჭადრაკი მაინც ვითამაშოთ
ან ერთად შევაგინოთ მთავრობას...
და შევიგნოთ, რომ ამით ვერაფერს შევცვლით...
ჰუმანოიდო, ნუ გაიჭრი კოსმოსს,
მაგაში ხომ გასაკვირი არაფერია?!



პეპა ახალაია

პიპა

(ჩემი და მეფე გიორგის მონოლოგი)

პიპა, მომგვარე ჩემი წითური ცხენი,
აღმოსავლეთთან უნდა მივასწრო დილას,
პიპა, აბჯარი... შემოვისხამ და ვშვენი...
სადღაც ბაყაყი ღამის სიჩუმეს კილავს...

პიპა, ნერვები აღარ შემომრჩა ციდა,
პიპა, უფალი ცოდვებს მიშენს და ვყვირი,
პიპა, მიდი და გადმოაბრძანე ციდან,
პიპა, მიშველე... ნუ დაგიღია პირი!

პიპა, მშვილდი და, პიპა, ისარი, ჩქარა,
ნახე, ბილიკზე მიიპარება შველი,
თვალიდან ცრემლის გადმომივიდა ფარა,
პიპა, ესროლე... პიპა, ვერაფერს ვშველი.

პიპა, თრიაქი... ცაში აგველდა ბოლი,
სადღაც მიცურავს ჩემი სახლი და ოზე,
პიპა, რატომ ხარ, პიპა, დევების ტოლი?!
დაპატარავდი, დაპატარავდი დროზე.

პიპა, შემინდე, პიპა, ცოდვების რიგი,
პიპა, საქმენი შემომათალე ავი,
პიპა, ქარაფში გადამხტარაო იგი,
პიპა, დალპაო, პიპა, მოჭრილი მკლავი.

პიპა, საფეთქელს, პიპა, ცრემლები მინავს,
პიპა, ნამდვილად, პიპა, ჭკუიდან შემშლი,
მიდი, უღმერთოვ, დამალევიწინე ღვინო,
სანამ წვალეებით ჩაგაკვებობდე ხელში!



დიმიტრი ბახუტაშვილი

მტაცებელი

იცი? რამდენი წელი ვზარდე თეთრი ბატკნები,
რამდენი ვკვებე: ნაჩრდილევი, ნედლი ბალახით
და როცა „ჭირი“ გავრცელდა და ერთით ნაკლები
დამირჩა, როგორ გამიჭირდა გადამელახა
შიში. რამდენი ვეფოფინე, ვზარდე, ვუარე,

ვუნამლე, მიწაც შემოვლობე მათი სამყოფი,
სხვა მწყემსებს, ყველას მოვახსენე ცივი უარი
მოხმარებაზე და ფეხები გადავიყვლიფე.
მერე ქოფაკიც შევიძინე, თეთრი ქოფაკი,
კავკასიური, მთის ბროლივით სუფთა თვალებით,
ღამე ფარასთან იძინებდა, მამის თოფთან კი
მე ვიძინებდი და ძილშიაც ვუთვალთვალედი.
სავსე გუდებით დავილაგე სარჩო-ბარაქა,
ცოლს სიხალისე გავუჩინე, შვილებს – იმედი,
სახლი ავაგე: რძით, ერბოთი, ყველით, კარაქით
და დავიჯერე, რომ ცხოვრება გამომივიდა.
ჩემი „ბათურა“ კი ყოველდღე მოსარკულ მიწას
თხრიდა და კბენდა მთვარეს, მერე პირი სტკიოდა,
მე ავიღებდი წინაპრების თოფსა და ფინალს,
სახლის გადაღმა დასაზვერად გადავდიოდი.
და იყო ასე, ხოლო ერთხელ, როცა ცა მიწას
ჰგავდა დაორთქლილს, ჩამოიქცა, თავსხმად
მონვიმა.

გაყინულ ღრუბელს ცხელი ელვა დააცემინა
და ლაყე კვერცხის მძაფრი სუნით ახალმონამლულ
ეზოს გადაღმა ავი ყეფით აყეფდა ძაღლი,
როგორც ყოველთვის, შეაშინა ალბათ ქუხილმა-
მეთქი,

ვიფიქრე „და მთელი დღის შრომისგან დაღლილს,
ძილი მომინდა, ზედ საბანი გადავიხურე.
დილით კი...“

ჩემი გამოზრდილი: თეთრი ბატკნები,
ცხვრები, ყოჩები თავისივე ძარღვებს წურავდნენ,
გავხდი იმდენი იმედით და შიშით ნაკლები,
რამდენიც თვალის გუგებიდან ჩამომიცურდა.
არადა, იცი? როგორ ვზარდე, როგორ მივანდე
იმ ბედს, რომელმაც არაერთხელ თავად დამინდო,
მეც... დავიჯერე, მეც... ძალიან გავუთამამდი
და ბოლოს მაინც დააყენა სამგლე ამინდი.




ოთარ ფალიანი

ლომეგი გალიაში

ღია გალია! სადაც მხოლოდ მხეცის სუნია
და წარმართივით შემოგბლავის ბოკვერი ლომის,
აქ, გალიაში დამწყვედული მთელი დუნია
მომლოდინეა შიშის და ომის!

და უცაბედად ჩამორთმეულ თავისუფლებას,
როგორც მდინარეს, მოაკლდება თევზი ნითელი,
შენ ვედარ შეძლებ მონახულებას,
რაც იყო შენი და რაც პირველად
გარგუნა ღმერთმა და გისახსოვრა,
მაგრამ ეს სიტყვა დაიმახსოვრე –
შენ არ გიშველის ტაკიმასხრობა
და ფარდის უკან დამწყვედული ზეცის იერი
ნუ შეგაშინებს, თუ არსებობ, თუ კი ხშიანობ!
და, ვიდრე სხვის სულს ათვალეიერებ,
ჯობია, შენი ათვალეიერო
და, როგორც ქუჩის ბავშვი მშვიერი,
გაჩნდება განცდა შიშისმიერი,
სული შიშველი ვედარ გიშველის,
ვერც ტყვეობაში ვედარ ივარგებს
და თუნდაც ცაზე მთვარემ გიშრისამ
ადრე თუ გვიან ამოანათოს,
თავისუფლება, აჩეხილი ვაზის ტოტივით,
ძლივს მოიშუშებს ტანზე იარებს,
გაჩნდება ხალხში, როგორც მოტივი
და შეიყვარებს ადამიანებს.

ღია გალია! სადაც მხოლოდ მხეცის სუნია
და წარმართივით შემოგბლავის ბოკვერი ლომის,
აქ, გალიაში დამწყვედული მთელი დუნია
მომლოდინეა შიშის და ომის!



გეგა ყორშია

სარკმელი პირველი

იმ დღეს ქარი იყო
შორიდან განახე –

ცივი ნიავი
სამართებელივით გისერავდა
შიშველ მკლავებს

სარკმელი მეორე

გზის განაპირა მდგარ ხეებს
პარალიზებულ ტოტებზე
ჩიტები უკანკალებდათ –

წვიმდა, წვიმდა და მეტი არაფერი

სარკმელი მესამე

ერთ ხანს გაუნძრევლად ვიდექი
და ცას ავყურებდი

ვფიქრობდი ჩემ თავზე, როგორც
სწულ ბავშვზე – ტკივილისგან რომ
ვერ ისვენებს და ბორგავს

სარკმელი მეოთხე

მწველი მზე იყო იმ დღეს,
როცა ბოლოჯერ განახე,

ვიდექი ხესავით გაქვავებული
და ამაოდ ველოდი,
როდის მოხვიდოდი და ამოეფარებოდი
ჩემი მკლავების – სუსტი ტოტების ჩრდილს



თამარ ზუბიაშვილი

დამესიზმრა წუხელ ჩვენი ვენახები,
მზის სხივები რქანითელას ძუძუს ნოვდა,
მამი, ვითომ შენ დაჩეხილ ვაზს ახვევდი
და ცრემლებით უპირებდი ფესვებს მორწყვას.

უცხო გზიდან მოვცელავდი სანახებში
და ხელებში უცხო ვაზის ჯიში მაქვნდა.
მამი, როცა დამინახე, რად ახვენეში?
პირს ღიმილი, მამი, რაზედ გაგიქვავდა?

მამი, სდუმდი, როგორც მცხეთა, როგორც
მტკვარი,
და მათსავით მკვდარ ეპოქებს აცხადებდი.
ტანზე ტაოდ დაგესეტყვა სატკივარი,
მტყენის ნაცვლად გული გეგდო სანახელში...

შენი სული მაჭარვით სდულდა ბაღში

და ვაზებზე ნინოს თმები ჯვარ-ხატობდა,
ლობის ბოლოს ყურს უგდებდი ნიშას ბლავილს,
ასე სჩანდით შორი გზიდან სამხატოვნად...

შენ იდექი, მამი, როგორც სვეტი ცხოვლის,
მე კი ხელში სხვა ჯიმ-რჯულის ნერგი მქონდა,
დაბლარს კრეფდი დახოქილი, თითქოს ცხონდი,
მაღლარი კი ხელაპყრობილს ჩაგიგოდრავს.

მამი, მოველ, ჩემი ნერგიც იქვე დავრგე,
უცხო ნამყენს შენი მინა ძარღვს ურყევდა,
ნაყოფს იქვე დაველოდე, დავჯექი განზე,
და რა ვნახე, გამომტყვენა ძალუყურძენა.

გამელვიძა, ძალუყრადვე ვინყე ქმენა
და საწოლში დავიგუბე შიშის ცრემლად,
სიზმრიდან კი მხოლოდ მწარე ფიქრი შემრჩა –
მამი, ვითომ ქრისტეს ლურჯი კვართი გეცვა.

მამი, შენ და ვენახები ბინდში დამრჩით,
ცხადში ხელებს ჩემი რგული ნერგი მჭამდა,
ბები, ახლა ბენდენაა შენი ჩადრი,
პაპი, შენი ხმალი იქცა პურის დანად.

დამესიზმრა გუშინ ჩვენი ვენახები,
სად ჩამთვლიმა, ვის ვამლერე იავნანა?
საქართველო, ვაზის ტოლა მენატრები,
საქართველო, ბედმა როგორ იავარგქმნა?!

დამესიზმრა გუშინ ჩვენი ვენახები,
მზის სხივები რქანითელას ძუძუს ნოვდა.
მამი, ვითომ შენ დაჩეხილ ვაზს ახვევდი
და ცრემლებით უპირებდი ფესვებს მორწყვას.



ჯუბა ხაინდრაძე

მუხბა

ქარი მდევარივით მომდევს,
ლამეს ანაფორა მოსავს.
ბაბა ჩამოჯდება ლოდზე,
ჩუმად ნაიკითხავს ლოცვას.
უკან მომტირიან მთები,
ძველი აკლდამები დუმან.
ბოლო პოეტივით ვკვდები,
მუხბე, რალა ვუთხრა უფალს?
ნამო, გამომყევი მზისკენ,
ნამო, მიატოვე ფარა!
ჩვენ რომ არ ვიქნებით, იქნებ,
სხვამაც ააკივლოს ქარი.
სადღაც დაიძახეს „ლილე“,
თვალწინ ჩამომენგრა ოდა.
მე რომ ცას ვუხსნიდი ღილებს,
თოვდა, უსაშველოდ თოვდა.
საით დავიმტვირო მხრები,
მუხბე, აცამტვერეს ყანა.
მთაზე ნამიანი ჯვრები
შვილმკვდარ დედებივით დგანან.
ალარც კერიაა თბილი,
ალარც ბელელი და ჩერო.
ვივლი, ოდნავ მარჯვნივ ვივლი,
მთებს რომ გადავიდე მერე.
მუხბე ალარ მინდა, არა!
ნავალ, ვეომები მყინვარს,
სოფელს სქელი ნისლი ფარავს
და მე გადაფრენა მინდა.
ახლაც ძველ იმედებს ვეძებ,
მზესთან შემომხვდება ალბათ.
მინდა გადმოასკდეს ქედებს

ჩვენი ზარიანი ლახვბა.
ერთი ქოხი მინდა მთაში,
მეტი არაფერი, მუხბე.
თოვდეს თუ გინდოდეს მაშინ,
ქუხდეს, მთელი ღამე ქუხდეს.
ისევ შევერიე ფარას,
ქარი თავისას არ იშლის,
ჩვენც სხვა პოეტების დარად,
წავალთ, გავქარწყლდებით ნისლში.
ალარ გვეხსომება ბებო,
ბაბუს გაუცურდა თოხი.
ახლა რომ შემეძლოს, ძმებო,
ღმერთსაც პატიებას ვთხოვდი,
ამ მთებს, ამ გორებს და ცხენებს,
ღამე რომ გარეკეს ველად.
ვილაც დიდ სიყვარულს ეძებს,
ვილაც განთიადზე ღელავს.
ალარც კერიაა თბილი,
ალარც ბელელი და ჩერო.
ვივლი, ოდნავ მარჯვნივ ვივლი,
ისევ ძმობაზე რომ ვწერო .



სალome კობაიძე

ვერღაბადეზულის გოდება

დე,
შენი სითბო თხელ სარაფანად გადავიცვი
და დროებით შემოგეკედლე...
ჯერ არ გემჩნევი, მაგრამ დღე-დღეზე შენც
მიგრძნობ, ვიცე.

ალბათ, როგორ გაგიხარდები.
ცხრა თვის შემდეგ, ალბათ, ცოტა გეტკინები კიდევ.
მაგრამ მერე მთელი ცხოვრება გებედნიერები.

დე,
შენი სითბო გადავიცვი
და დროებით შემოგეკედლე...
რა ლამაზია შენში ყოფნა.
ანგელოზებმა მითხრეს,
რომ დაიბადები, შენც დედა იქნებიო...
(მე რომ უკვე დავიბადე შენში?)
ოლონდ კოშმარები დამჩემდა ეს დღეები,
ვითომ თეთრხალათიანი მკვლელები მოდიან
და შენს თავს მართმევენ...
მე მგონი, შენი ფიქრები მესიზმრება;
და უხმოდ გავატანოთ ეს სიზმრები წყალს.
ვაითუ, ახდეს...

დე,
ამ პალატებში სიკვდილის სუნი დგას,
ნადი, დე, სანამ დროა, თორემ მოგკლავენ,
ნადი, დე, სანამ დროა, თორემ არ დაგინდობენ.
როგორ არ დაგენანე...
როგორ ვერ მიგრძენი...
უფალმა მითხრა –
ცხრა თვის შემდეგ მე მოგხედავო...
ეგ ცხრა თვე როგორ დაგენანა ჩემთვის...
ანგელოზები მეუბნებოდნენ –
რომ დაიბადები შენც დედა იქნებიო...
დე,
დედობა რატომ არ მაცადე,
მე ხომ უკვე დაბადებული ვიყავი შენში...
როგორ ვერ მიგრძენი...
დე.....

შეადგინა

ლექსო ღორჯულა




„ჩვეულებების აღიქმა არ არის“



„მოხუცების ადგილი აქ არ არის“ – ითენ და ჯოელ კონენის მორიგი კინოშედეგია, ფილმი ეკრანზე 2007 წელს გამოვიდა. მას საფუძვლად დაედო კორმაკ მაკარტის ამავე სახელწოდების რომანი, რომელმაც მწერალს მსოფლიო აღიარება მოუტანა. ძმები კონენის ეკრანიზაციამ გაიმარჯვა „ოსკარის“ ოთხ ნომინაციაში და ნილად ხვდა ასზე მეტი კინოპრემია.

კინოსურათი, აგებული კონცეპტუალური მისთვის დამახასიათებელი ხერხებით, რაც მთელი ფილმის განმავლობაში დაფუძნებულია ყოფნა-არყოფნის ეგზისტენციალურ პრობლემატიკაზე. მოქმედება 80-იანი წლების ტექსასში ხდება: ვიეტნამის ომის ვეტერანი მოსი ნადირობისას სრულიად შემთხვევით პოულობს მექსიკელი ნარკომოვაჭრების გვამებს, ჰეროინს და ორ მილიონ დოლარს. ვეტერანის პენსიის შემყურე მოსი ცდილობს ვერ უძღვებოდეს და ფულით სავსე ჩემოდანი სახლში მიიტანოს. ერთი შეხედვით ყველაფერი რიგზეა, თუმცა შუალაშისას მოსი სისხლიანი გარჩევის ადგილას ბრუნდება, რათა მომავლად მექსიკელს წყალი დააღვინოს. ეს მოქმედება არ არის სინდისით ნაკარნახევი, რამდენადაც უდაბნოს სიციხეში მიტოვებულ მომავლად წყალი აღარაფერში გამოადგება. ვიეტნამელი ვეტერანის ქცევა ისეთივე შემთხვევითობაა, როგორც ნადირობისას ორი მილიონის პოვნა. მოსის დანაშაულის ადგილზე დაბრუნება შემოქმედებით არ რჩება და მექსიკელი ნარკომოვაჭრის მასზე ნადირობას იწყებს. ვეტერანი ცდილობს, გარდაუვალ სიკვდილს გაექცეს და თავგანწირულად უპირისპირდება პროფესიონალ მკვლელს ანტონ ჩიგურს. ჩიგურის პერსონაჟი ეგზისტენციალური სულსკვეთების მამობრავებელია ფილმში. ეს არსება ქაოტურად და ერთნაირი შემთხვევითობით კლავს როგორც სამართალდამ-

ცავებს და კრიმინალებს, ასევე უბრალო მგზავრებს. ჩიგურისთვის უცხოა ყოველგვარი პრინციპი – კლავს განურჩევლად, როგორც სიკვდილის ანგელოზი, სასჯელია ყველა შემხვედრისთვის. ექზისტენციალის თანახმად, საკუთარი თავის „ექსისტენციალ“ შეცნობისთვის ადამიანი უნდა აღმოჩნდეს „საზღვრის“ – მაგალითად, სიკვდილის პირისპირ. დაახლოებით ანალოგიურ მომენტზე ყველა ანტონ ჩიგური; „Getting hurt changed me. Changed my perspective. I've moved on, in a way. Some things were fallen into place that were not there before. I thought they were, but they weren't. The best way I can put it is that I've sort of caught up with myself. That's not a bad thing“. ჩიგური ნარკომოვაჭრის როგორც არსება, რომელმაც აჯობა სიკვდილს და გასცდა ადამიანური ყოფიერების საზღვრებს, ამიტომაც მისი კონტაქტი ადამიანებთან უმეტესწილად მათი სიკვდილით მთავრდება. ანტონ ჩიგური კლავს შინაური პირუტყვის მოსაკვინებელი პნევმატური ბალონით. ეს მეტად ცინი-



კური მკვლელობის ინსტრუმენტი „მოხუცი“ კაცობრიობის წინააღმდეგ. ჩიგურის მსხვერპლთაგან უმეტესი ვერც კი ასწრებს წინააღმდეგობის განცხადებას, დასაკლავი პირ-

რუტყვივით მორჩილად შეჰყურებენ მკვლელობისთვის უჩვეულო ხელსაწყოს. შიგადაშიგ ჩიგური მსხვერპლის სიცოცხლეს ჰაერში აგდებულ მონეტას მიანდობს, მონეტა წყვეტს, ვინ იცოცხლებს და ვინ არა. ამით ხაზგასმულია არჩევნის აბსურდულობა და შემთხვევითი ხასიათი.

მთელი ფილმის განმავლობაში სიკვდილი ყოველთვის შემთხვევითია. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ შემთხვევითობა არსებობს, რომელსაც მონეტასავით ორი მხარე აქვს: ბედნიერი და ტრაგიკული. ტრაგიკული შემთხვევითობით ასრულებს სიცოცხლეს მთავარი პერსონაჟი ვეტერანი მოსი, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ გადაურჩა ჩიგურის ხელით სიკვდილს, იღუპება მექსიკელ ბანდიტებთან ამტყვარი სროლისას. მისმა თავგანწირულმა მცდელობამ, აერიდებინა სიკვდილი, უკვალოდ ჩაიარა. თავად ფილმის სახელწოდება „მოხუცების ადგილი აქ არ არის“ კავშირშია შემთხვევითობასთან, როგორც ცხოვრებისეულ კანონზომიერებასთან. სავარაუდოდ, მოხუცში იგულისხმება ტრადიციული გაგების და აზროვნების ადამიანი. როგორც ცნობილია, ქარიშხალი ძირკვავს ტან-მალაღ ხეებს და არ ვნებს პატარა ყვავილებს. ვე-

ტერანი მოსი ტრადიციული შეხედულების ადამიანია, რომელიც დაჩლუნებული ჰუმანიზმის გრძობამ არ დააძინა და ანგარიშიმოცემლად გაემართა წყლით ხელში მკვდარ მექსიკელთან. ამ ძველი ტრადიციული მორალის (გიყვარდეს მოყვასი შენი) ამოქმედებამ შეინარა კიდეც. რაც შეეხება მეორე „მოხუც“ პერსონაჟს შერიფ ბელს, იგი განზე გადგა და არ მიიღო მონაწილეობა ამ შემთხვევით და ქაოტურ მოვლენებში. მისი ფილოსოფიური განწყობილება უბრალოდ ეგუება აზრს, რომ მისნაირების ადგილი აქ აღარ არის და ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით ინარჩუნებს სიცოცხლეს. ხოლო ანტონ ჩიგური – შემთხვევითობის ფატუმი, რომელიც დივანზე ზის რძის ბოთლით ხელში, საოცრად მშვიდი გამომეტყველებით, რომელიც ემოციური მდგომარეობის ჩარჩოებს სცილდება...

ხშირად ყალბაბაზილი



ერთ მდიდრულ ნადიმზე სამოსჩამოქმედილი კაცი მივიდა, მაგიდას მიუჯდა, მაგრამ პურის გატეხვაც ვერ მოასწრო, ისე სწრაფად გამოაგდეს სუფრის წევრებმა – ზოგანო ხარ, ნადიმს ხიზლს დაუკარგავო. მცირე ხნის შემდეგ ნადიმიდან გამოგდებული საუკეთესო სამოსში გამოეწყო, მობრუნდა უკან, მედიდრად მიუჯდა მაგიდას და დაიწყო ამავად ყურება. მოუტანეს რჩეული საჭმელები და თან ეხვეწებოდნენ – მიირთვი, მიირთვი, ღირსეული კაცი სჩანხარო. სტუმარმა სამოსი გაიძრო, სკამზე დაყარა და მიაძახა – „ეს საჭმელი შენთან მოაქვთ, ჭამეთ!“ იგავის წარმომავლობა და ავტორი არ მახსოვს.

ჩაცმა-დახურვა ურიგო საქმე რომ არ არის, ფაქტია. მოდა რომ ტრიალებს და ჩვენც, გვინდა თუ არა, უკან დავეყვებით, ამაზეც ნუ ვიდავებთ. თუმცა თვალს მაინც ძალიან უხარია ამა თუ იმ ეთნიკურ სუბიექტს ეროვნულ, ანუ ძველ სამოსში გამოწყობილს რომ ხედავს. კიბანოიანი კაცი იაპონელია, მოკლე კაბიანი კაცი – შოტლანდიელი, გრძელკაბიანი – ინდოელი... აი, ჩოხიანი კი შეიძლება იყოს ქართველი, ოსი, ლეკი, ჩე-

ჩხუპი - უჩაგორი მკვლელი

ჩენი, ინგუში, დაღესტნელი და ასე უსასრულოდ... თუმცა ამ სხვადასხვა ეთნიკური ერთეულის საერთო სამოსს ჩვენ, ქართველები, ჩვენსას, ეროვნულს ვეძახით. სანამ ვინმე შემეკამათებოდეს, ან კავკასიელ ხალხთა წარსულს გადახედოს, ან „ჩვენი მტრები“ მიერ გასულ საუკუნეში გადაღებულ ფილმ „კავკასიელ ტყვე ქალს“.

ზარმაცი ხალხი ვართ ქართველები, ყველაზე მეტად კი კითხვა და დაკვირვება გვეზარება. სწორედ უკითხობის გამო ჰგონია მოსახლეობის უმრავლესობას ქართული წარმომავლობისა ის ათასობით სიტყვა, რომლებსაც ლექსიკონებში გვერდზე უნერია: არაბული, სპარსული, ბერძნული, რუსული და ასე... რისი წარმომავლობაც არ ვიცით, ყველაფერი ჩვენად მიგვანჩია; მაგალითად, აკვანი, რომლითაც ურჯულოთა ურდოები საკუთარ პირმოებს დაათრევდნენ, ასე ძალიან მოგვეწონა თავის არტახებთან, შუშუტებთან, შიბაქებთან, რომ სახელდახელოდ გადმოვაქართულეთ ჩვენი სხმარტალა ბალებების მოსათვინიერებლად. ჩოხაზეც ასე დაგვემართა – რადგან მოგვერგო, ჩვენი გვეგონა.

ჩოხის ფასი 300 ლარიდან იწყება და 3000-ს აჭარბებს. შე დალოცვილო და უფიცობის ცოდვით სავსე, ჩოხაში მაგდენი ფულის მიცემას და თავმომწონედ, გაბლენით სიარულს, არ გიჯობდა, 30 ლარის ისტორიის ნიგნები გეყიდა და შენი ქვეყნის წარსულის ცოდნით მოგეწონებინა თავი; ამ შემთხვევაში იმასაც გაიგებდ, რომ ჩოხა ქართული წარმომავლობის სამოსი არ არის და მას ყველა კავკასიელი იმოსავს ლოკალურ პარადებზე. ქართველ ჩოხოსნებს ჰგონიათ, ზოგად კავკასიური სამოსის ტარებით დიდ წინაპრებს ბაძვენ – ამ შემთხვევაში, ჩაცმით. ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი ბრწყინვალე, ერეკლე II – არც ერთ მათგანს არ სცმია ჩოხა. პატარა კახის მერე კი მეფე აღარ მახსოვს.

დაიწყეს მთელ საქართველოში. ყველას გვეყავს ნანახი ჩოხიანი ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ხარება ჯიბუტი, რაზიკაშვილი ლუკა, მაგრამ არც ერთ მათგანს ეს სამოსი იმიტომ არ სცმია, რომ ამით სამშობლოს სიყვარული დაემტკიცებინა – იმხანად ჩოხა უალტერნატივო იყო მოხერხებულობის, გამძლეობის და ღირებულების გამო.

ჩოხას, როგორც ეროვნულობის გამოხატვევლად შტრისს, კონსტანტინე გამსახურდიასთან ვხვდებით პირველად. ეს ლაიფციგში განათლებამდებული, გარკვეულწილად, ნიციანელი და ერთგვარად მანერული კაცი როგორც შემოქმედებში, ასევე ცხოვრებაში, შეეცადა როგორც პატრიოტულ პერფორმანსად ექცა საკუთარი ჩაცმულობა და ევროპული ფრაკები ჩოხით ჩაანაცვლა. ტყუილად ირჯებით კონსტანტინეს მიმდევრებო, რადგან სხვათა თვალში ჩოხა სულაც არ ამალღებს თქვენს ეროვნულობას, თორემ, ასე რომ იყოს, მაშინ, როცა ფრაკებში გამოწყობილი ტიცინი, ჯავახიშვილი და ძმანი მათი ეროვნულობის გამო სიცოცხლეს გამოასალამეს, რატომ ასეირნებდნენ მშვიდად „ეროვნულ“ სამოსში გამოწყობილ მწერალს?! ვერ ვიტყვი, კონსტანტინემ არ იცოდა ჩოხის არაქართული წარმომავლობის შესახებ-მეთქი, – მან ფარსმან სპარსივით ყველაფერი კარგად იცოდა და შეეძლო, რაღაცებისთვის საკუთარი ნება-სურვილი სახელები დაერქმია, შემდეგ კი ისინი გაესაღებინა, როგორც ერთადერთი ქვემარტება. დასჭირდა და მწერალმა სამოსით გაუსვა ხაზი საკუთარ პატრიოტობას, იყო თუ არა ჩოხა ქართული წარმომავლობის? ეს კითხვა არავის დაუსვამს მისთვის, რადგან ის კონსტანტინე გამსახურდია იყო, დიდი კონსტანტინე.

დღეს სად არ შეხვდებით ჩოხოსნებს და მათმა უმრავლესობამ არათუ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი პასაჟები, არამედ ქართულად კითხვაც კი არ იცის, რომ აღარაფერი ვთქვათ წერაზე და „წ“-„შ“-ს ერთმანეთისგან გარჩევაზე.

ჩოხის განუყრელი ატრიბუტია ხანჯალი, ამ ორპირა დანის წარმომავლობაზე სხვა დროს... იარაღს ქრისტეს მოციქულიც კი ატარებდა და მაცხოვრის იქამდე არ დაუშლია მისი ტარება, სანამ უდროოდ დროს არ იმიშვლა. არც ჩვენი კანონი კრძალავს ნახევარმეტრიანი ხანჯლის ტარებას, თუ ის ჩოხაზე გკიდია, სამწუხაროდ, კანონს არც ის შეუძლია, არიდ ჩოხოსანს უდროოდ დროს მის გამოყენებაზე შეგონება წამოაძახოს დასაშუშინებლად. ჩემს მეგობარს დღემდე აწევს ვალად სახელმწიფო ჯარიმა შედსანტიმეტრიანი დანის ტარებისთვის,

რომლითაც ხან თხილის შამფურებს თლის, ხან ძხვს ჭრის და ხანაც ყველს... სამაგიეროდ, კანონისგან წახალისებული ხანჯლიანი ჩოხოსნები ხან ნაცნობს ჭრიან, ხან უცნობს და ხან ორივეს ართად. შე!.. ჩოხით რომ მექართველები, როდის იყო, უიარაღო კაცს ქართველი დანი უსწორდებოდა, ანდა მაგ ჩოხის თრევას, კვირაში ორჯერ რომ წაივარჯიშო, ხანჯლის ქნევა ხომ აღარ დაგჭირდება.....

ჩემს ევროპულ სამოსსაც უხდება „Parabulum“-ი და რა ვქნა, ჩავიღო „Harley Davidson“-ის ქაშარში? – ის მაინც ვიცი, სად ამოვიღო და სად ვისროლო. ჩემო ჩოხიანო მეგობრებო! არ არის ჩოხა ქართული წარმომავლობის სამოსი და თქვენი მცდელობა, ამ ფორმით გამოხატოთ საქართველოს სიყვარული, ფუჭია! თქვენ რომ გიყურებთ, გრანდის გენიალური სტროფი მახსენდება, რომელიც ნახევრად გახდილმა პოეტმა მაუზურის ტყვიასავით დაახალა ჩოხასა და აზიაცკებში გამოწყობილ შალვა დადიანს.

ძვირფასო შალვა, არამც თუ კაცმა, – ბავშვმაც კი იცის ჭამა და ჩაცმა. შენ სილატაკეს არ იცნობ ალბათ, რომელიც არის პატარა ჯვარცმა.

ჩემო ჩოხიანო მეგობრებო! ვისაც სახლში დედა ისტორია და გულში დამშეული მეზობლის ბავშვის სიბრაველი არ გაქვთ... ვინც დედა ისტორია პირველად გაიგო და ჩოხის მკერავის ნომერი დიდი ხანია იცის... უჩოხო ტიცინი რომ ცოცხალი იყოს, ალბათ, შეგიძახებდათ – „ოყნა გჭირდებათ... მე კი სიტყვიერ გამორეცხვას დავეჯერდები და ამ გაუშლამინებელ ლექსს გისახსოვრებთ: შავლეგოს ჯინსი „Levi's“-ი შავლეგ, დღეს შენი შავი ჩოხებით თბილისში ბევრი დადის ჩათლახი, რა ვქნათ, ყველა ვერ დავირქვებდით და ამიტომაც მოგვხვდა ტალახი...

შავლეგ, დღეს შენი სამოსი ისე გახდა სათრევი და მასკარადი – როცა ჩოხოსნებს ითხოვენ ბისზე, სულ თვალწინ მიდგას ძველი „პარადი“.

შავლეგ, თუ ძმობა დაგჭირდეს, ბიჭო! ჩვენ, ჯინსიანებს მოგვეცი ხელი. ქარქაშებს ფასუტით ავესოთ ღრიჭო, ხანჯლებსაც დაპკრავს სიმბდალის ფერი.

შავლეგ, მე ჩემი მოლურჯო ჯინსით ვებრძვი მუშაობს და მიყვარს მამული... თუ გამოვიღო უჩოხო დღისით, შენთვის „Levi's“-ი მაქვს შენახული.

პრემიერ-მინისტრი



შოთა ბორჯაშენელი - 75

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქცია ულოცავენ ცნობილ მწერალს საიუბილეო თარიღს და უსურვებენ დიდ ხანს სიცოცხლეს და შემოქმედებით წარმატებებს.

საქართველოს

აღყაშემორტყმულ ციხის მხედრობას სიფხიზლე უნდა ჰქონდეს, – არ დაემონოს უიმედობას, წამითაც არ დალონდეს. შენ, საქართველოვ, – ციხევე, სიმაგრევე, სულ სხვა სიმტკიცე მოგდევს, რა არ გინახავს, რა არ ჯოჯოხეთი, რასაც აქამდე ვგოდებთ. ძნაში თავთავი გამოგაცალეს და ქვა უკულმა გკოდეს... მაგრამ ეგ დიდი სიცოცხლის ძალა ყოველთვის უნდა გქონდეს... არ დაემონო უიმედობას, გზა აღარ ჩანდეს ოდეს... აღყაშემორტყმულ ციხის მხედრობას სიფხიზლე უნდა ჰქონდეს!

ჰეი, ხეებო!

ჰეი, ხეებო, მორთულნო მწვანით, გაბრუებულნო მთათა ქებითა, სულ რომ ცისაკენ გიჭირავთ თვალი, ჩამოიხედეთ ზოგჯერ ქვევითაც.

ნორჩი ხეები მხრებით დაჩრდილეთ და ცხრათვალა მზეს ეალერსებით. მეშვიდე ცას რომ მისწვდით სიმაღლით. მინაში გიდგათ მაინც ფესვები.

ღავით გურამიშვილი

ეგ შენი ფიქრი ვარსკვლავს მიაგავს, რომელიც შორით მოციმციმეა, ცხოვრების ბნელი ხარო ნიადაგ, ლექის ორმოზე ღრმა და მძიმეა.

არ გასვენებდა ბედი ორგული – ჩაქირქილებით გჭვრეტდა ზეციდან... და საქართველოს ციხის ქონგური ერთი მეომრით კიდევ შემცირდა...

ქართლს იგონებდი მკაში, რთვლობაში, გენანებოდა ხე – ტოტმოჭრილი. კარგად იცოდი, რომ ტყვეობაში კვდება ყოველთვის ბედის მორჩილი...

არ დაგასვენა ბედმა – მდევარმა, ბედის საზღვარი შენც გადათელე. სადაც იყავი, უნდა გევარგა და ივაჟაკე და იქართველე...

მეხი

ცაზე ეკიდა ელვა ხვეული და ნაძვის ძირში დუმდა კარავი, როცა შეფრინდა ანაზდუულად ტყეში ფრიალი, ხეთა მზარავი... ტყეს ნამეხარი ნაძვი სტკიოდა. როცა ხეობა ჯანღმა შებინდა და ეღვრებოდა ცრემლი ციური კარავს ნაძვების წამწამებიდან.

ნეტავ შენ, ლექსო...

შენ შეიფარე ბევრი რჩეული, დღესაც არავინ იცის, რამდენი. შენ მარაბდელი გააუკვდავე, შემოგვინახე თავფარავნელი... დღეს შენში ცოცხლობს ვეფხი და მოყმე მომავალ დღეთა გულგასახარად. ჩვენ ამირანმა სინათლე მოგვცა – და მერე თავი შენ შეგაფარა. შენ გყავს ნესტანი და თინათინი, თვით ტარიელი და ავთანდილი – გმირი ფრიდონიც – მოძმის საშველად ქაჯეთისაკენ გადავარდნილი. თუ კი ვინმეა დიდი, დიადი, ყველა ტკივილის გამმთელელებელი. ყველას სიცოცხლე შენ უნილადე, შენ ხარ ყველას გზის მაჩვენებელი. შენით ითქვამდნენ სულს ათასები და შენი მადლით, შენი უნარით – ათასეულ წლებს მოანათებენ, მოდიან ისევე გაუხუნარი. ხარ ჩამოსული წვიმად, ქარებად, ხარ ხალხის გული, სისხლი, სხეული, ხარ მოვარდნილი ნიაღვარებად და სიმღერებად გადაქცეული. წლები დღეებად თუ იცვლებიან, და თუ თანდათან ელით გაქრობა, შენ ერთადერთი ხარ საოცრება, რომელსაც წლები ვერას გაკლებენ... ვინც გიმეგობრა – ბედნიერ იყო, ბედნიერება ლექსის წლებია. – ლექსო, ამოგთქომ, ოხერო, – გითხრეს, სულ სიყვარულით გეფერებთან... აურაცხელი განძის მფლობელი, რა შუქი დაგყავს ეგრე ნეტარი. ვინ არ შეგბედა, სამადლობლო, ვის არ უყვარხარ ქვეყნად ნეტავი? სიხარულის და ტკივილის ფესვო, მალამოვ, ხანაც გულდამთუთქველო. ნეტავ შენ, დღემდე ნათქვამო ლექსო, ნეტავ შენ, ლექსო ამოუთქმელო... სავსე ვარ შენი სინათლით, შუქით, განა არ ვიცი, რა ვარ, ვინა ვარ?! რა ბედნიერი ვიქნები, თუკი მეც ერთმა ლექსმა დამაბინავა?!

რატავ, ჩემო სიყვარულო!

ვენაცვალე შენს მთაგორებს. სიღინჯეს და შრომას ფიცხელს. მაგ ცანათელს და სიყვარულს ვერასოდეს დავივინწყებ... გულნათელი და მართალი, გულის გამახარებელი. შენ, რაჭველო, ტკბილო კაცო, დინჯო, აუჩქარებელი. გეახელ და შოდას მთამდე სიხარულმა ამიტანა. ვაჟკაცები – დევგმირები და ქალები – ალვისტანა... სად იციან ნეტავ მსგავსი დაძახილი გულიდანა: შოთიკუნა, საშიკუნა, – მოფერება ამისთანა... ანდა ხმები საოცარი: წკრიალა თუ დევისბანა. ქვის ჩუქურთმა, ხის ჩუქურთმა უდიადეს ქებად ღირსა. ან ბლიაძის სტვირის გუდა, ან ჩამანჩა ქებაძისა... სიმღერებად დაგვიბოუნდი ალალო და გზანათელი. შენმა ტკბილმა სტვირის გუდამ გაანათა საქართველო...

კვლავ გნატრობენ, გულისგულო, სიყვარულით გექებენო... ალალო და დიდებულო, ნაღო, დაუყვედრებელი!.. სიმღერებად დაქარგული!.. ჯეჯორათი, ქვედრულათი, რაჭავ, ჩემო სიყვარულო, ჩემო ტკბილო დედულეთო!..

ქეთევან დედოფალი

გული ვერ მოჰკლა მტრის ხელმა, გული გულადვე რჩებოდა. ვაჟა

გამოიყვანეს, გამოიყვანეს და ჩურჩულებდა მხნე და ამაყი: – მეც მიმითვალე, ჩემო ქვეყანავ, შემოწირული ერთი ზვარაკი. ... და ვარვარებდა რკინა და გრდემლი. და უკან სწევდნენ ხალხს ძალისძალად. მოსდიდებოდა თვალეში ცრემლი ილღიებადმდე გასისხლულ ჯალათს. – შენს სადიდებლად დავიღუპები, სამშობლოვ, შენთვის გავძელი დღემდე... უკანკალებდათ ხელში შუბები მრავალ ბრძოლაში გამოვლილ მხედრებს... აღარ რცხვენოდა არავის ცრემლის, მარტო ცრემლები? რა სათქმელია. და მიხვდა უცებ დიდი და მცირე, თუ საქართველო რასა რქმევია. მოძალადეთა ამოება კვლავ დასდგომოდა თავის ეულ გზებს და უკვდავება წერდა პოემას შანთით ქართველი ხალხის სხეულზე...

წვიმაში

გავიქეცი, გავასწარი – გვეგონა, სანამ ხეებს ზეცა ცრემლით მოფენდა. მაგრამ წვიმა მე და ლამაზ გოგონას მოგვენია ერთ დახატულ სოფელთან.

ბილიკები წყლის ჩქერებმა მოხაფრეს და ორივემ სიცივე რომ ვიგრძენით. ავდექით და იქვე ვილაც მოსახლეს, რა გზა გვქონდა, უცებ შევეხიზნენით...

... მერე, მზემ რომ გადმოგვხედა ზემოდან, არ ვდარდობდით ზეცის ჩამოქუფრაზე, მასპინძელმა თეთრ უღვაშებს ჩაჰლიმა, გვადღეგრძელა ისე, როგორც ცოლ-ქმარი.

გულისცემამ და სინთლემ იმატა, სადღეგრძელოს სანამ სიტყვით მორთავდნენ, ის ცოლ-ქმრობა, დალოცვილი იმათგან, აი, დღემდე შევიფერეთ ორთავემ.

ჩემ ქოხში

დიდი ხანია, არ მინახავს სოფელი ჩემი. შევედი სახლში, ღია დამხვდა ძველი ფანჯარა. შემომეგება – მომლიმარი იმედი ჩემი – დედა – ჭალარა. მიმოვიხედე, ო, რა დიდი მახსოვდა წინათ ეს ოთახი და... რამ გახადა ასე პატარა?

თეატრ შავლაძე



ისინი თორმეტი იყვნენ. იყვნენ და იდგნენ. ოთხნი – უერთგულესნი; ოთხნი – ერთგულნი; ოთხნიც – ისე, რა; ვინც უერთგულესნი იყვნენ, დუმდნენ; ერთგულები ცოტას საუბრობდნენ; ისერანი, ანუ, მერყევი, კამათობდნენ, ხელებს იშველიებდნენ, სახის ნაკვთებსაც; ერთმა თქვა, – ასე არ უნდა მოქცეულიყო(ვო!) მერყევი, პირობით – სწორად მოქცაო! მესამე, – კარგიც შეიმჩნეოდა მის ქცევაში და ცუდიცო. მეოთხე, – რა გითხრათ, რა ვიცი, წინასწარ ძნელია რაიმეს თქმაც და განსაზღვრაც, კაცი ხომ, ძირითადად, წამ-წუთიერების შედეგიაო! კამათი კი გრძელდებოდა და ხანგრძლივდებოდა: უერთგულესნი ისევ დუმდნენ; ერთგულნი ერთმანეთს ძუნდად გადაულაპარაკებდნენ; მერყევი უფრო და უფრო ფიცხდებოდნენ, მძინვარდებოდნენ. ის კი იჯდა ხის კუნძზე და თავაუწვლად, ქვიშაზე გადახმარ მინაზე ხაზებს ავლებდა. მოკამათენი კვლავ კამათობდნენ და ეს ყველაფერი ისე ჩანდა, თითქოს სიტყვების კამათებს აგორებენო. სიტყვებზე თანდათან აუტანელი ხდებოდა. აღმური მინას ააღბობდა და ძილბურანისკენ ეწეოდა. ცა ღურჯად ხასხასებდა და დაღვინის ხეთა ჩრდილებში სიმყუდროვის ნიავს აცოცხლებდა. კალიები ხომ იკლებდნენ კიბეს რატომღაც მიტოვებული სახლ-კარიხას. უცებ ქალი გამოჩნდა ჩამოძინძილ-ჩამოკონკილი. ძალიან ლამაზი თუ არა, უღალაშეოც არ ეთქმოდ. ყველა მას მიაჩერდა. მზნად დავა, კამათი, საუბარი; მას კი თავი არც აუწევია, ისევ ხაზავდა – ახლა უკვე პატარ-პატარა წრეებს. წვიმა სანატრელი გამხდარიყო. წყარო თუ არის სადმეო, იკითხა ქალმა. აქვე, ასოდე ნაბიჯზე, აუზიც არიო, უპასუხეს მოკამათებმა, თან თითოთი მინამშენს იქითკენ. ქალს მაღლობაც არ უთქვამს, ისე გაემართა თავჩაღუნული. იქვე, მახლობლად, ლოდზე, ხელიკები მინაბულიყვნენ – მზნანენი, ვერცხლისფერნი. ცოტა ხნის შემდეგ ის, მდუმარი, მეცამეტე თუ პირველი, წამოდგა და წყაროსკენ თუ ქალისკენ გაემართა. მიდიოდა და მიჰქონდა თორმეტის მზერა, მზის ლაპლაპი-ვარვარება და მოკვდაური ცნობისმოყვარეობა. როდესაც დაბრუნდა, ისევ კუნძზე ჩამოჯდა და წამახული ჯოხი მოიმარჯვა. აღარ ხაზავდა. ჯოხს ხელისგული დაანდო და მზერა ცის კიდევანს მიანათა. დაბერა ხორშაკმა ქარმაც და მტერის ბუქი ააფრიალა. ის ქალი აღარ გამოჩნდა. თორმეტი მამაკაცი კი, ლედვის ჩრდილს შეფარებულნი – ოთხი ისევ დუმდა, ოთხნიც ჩუმად ილუკებოდნენ. მოკამათი ოთხეულიც დამშვიდებულიყო. ის კი არა, თვლემამორეულინი ქვის სკამებზე ირწოდნენ და მოქანავე ჩრდილებს კიდევ უფრო თენთავდნენ. ის, ერთიც, განმარტოებულიც, ჩრდილს ეფარებოდა, ერთადერთი კედარის ჩრდილს, ვინ იცის, რა დროიდან შემორჩენილი. მისი სამოსელიც ძალიან ქათქათა იყო, თითქმის მტვერმიუკარები. ყველას უკვირდა, რატომ იყო მთელი დღის უჭმელი, მდუმარი და სიტყვაუკარები. ვერც ბედავდნენ მიახლოებას, ვერც სიტყვის თქმასა თუ შეხმანებას. ისეთი დაღვრემილი ჩანდა, თითქოს ტიროდა. ფეხზე მორიელი შეაცოცდა, კუდი შემორკალა და გაშეშდა. ის კი არც შერხეულა, მშვიდად ადევდებდა თვალს მორიელის ზრიალს და თითქოს ერთობოდა, ელიმებოდა; ბოლოს, როდის-როდის, მორიელი, თითქოს რაღაც სურნელი გაბრუნებული, თავის გზას გაჰყვა. მას კი მართლა ელიმებოდა თუ არა, ვერაფერი იტყოდა, მაგრამ თორმეტივეს ენიშნა, რომ რაღაც ნაღვლიანად ელიმებოდა. მერე

ადგა და უდაბნოსკენ წავიდა. ისინიც მიჰყვნენ. საღამოვდებოდა. მოშორიასლო ქედებს მენამული გადაჰკრავდა. ვარსკვლავები თითქოს იცრემლებოდნენ. დროც იცრიცებოდა. ბინდი კიდევ უფრო მუქდებოდა. შორეული ჭრიჭინობლები ღამეს ეხატებოდნენ. ის კი მიდიოდა და შედიოდა უდაბნოს სიღრმეში. თორმეტიც შორიასლო მიჰყვებოდა. ისინიც დუმდნენ. აქა-იქ ქვაზე ფეხის წამოკვრის ხმა თუ შეახსენებდათ ერთმანეთის არსებობას. უდაბნო არ თავდებოდა, ლოდიც არსად ჩანდა ჩამოსაჯდომი. დაღლა ეტყობოდა, მაგრამ ჯოუტად მიჰყვებოდნენ იმ ერთს, მარტოსულს. ბოლოს ის, წინმავალი, შედგა და ზეცას ახედა. დიდ ხანს იდგა და ვარსკვლავებს აჰყურებდა. თითქოს ვილაცხას ეძებდა თუ ესაუბრებოდა. ისინიც იდგნენ და იცდიდნენ, მდუმარნი, ხან მას და ხან ცას მიჩერებულნი. ცის იქითა კიდევ ვარსკვლავი მოწყდა და გაუჩინარდა. მას კიდევ რამდენიმე მიჰყვა და შეწყდა ვარსკვლავთცვენა. ის უცებ შემობრუნდა თორმეტისკენ და ისე, არაფერი უთქვამს, გზა განაგრძო. ქალაქში ბრუნდებოდნენ. შვება იგრძნეს: წყალს დალევდნენ, წაიძინებდნენ, დანაყრდებოდნენ. ვისაც არ უყვარს ღამე, ის არც ღამეს უყვარს! თქვა ერთ-ერთმა ისე,

თმა იკითხა: ის, სად არისო? ერთიმეორეს მიაჩერდნენ, აკვირდებოდნენ; დიდ ხანს გაგრძელდა თვალთა კვლართალი. თითქოს ერთმანეთს ეძებდნენ, ეძებდნენ, პოულობდნენ და კარგავდნენ. და მაინც, ის, ერთი, ვერსად დაღანდეს, ვერც აღიდგინეს; მართლაც საღლაც გადაკარგულიყო. სიტყვა არ დასცდენია არც ერთს, ოღონდ სახეზე ეხატებოდათ ეჭვით ჭმუნვა და გაოცება, შიშაც კი. კარგა ხნის შემდეგ, ის, ლაჟვარდთვალა, სწორნაკეთიანი და ღვთისსახიანი წამოდგა და დაღმართს ჩაუყვა. ისინიც წამოშალნენ და გაჰყვნენ წინმავალს. სავალ მანძილს მკაცრად იცავდნენ, უფრთხილდებოდნენ – არც უახლოვდებოდნენ და არც შორდებოდნენ. ასე, მდუმარნი მიდიოდნენ და მიჰყვებოდნენ, თან აკვირდებოდნენ: ის თუ რას მოიმოქმედებდა. ასე ჩააღნიეს ქალაქამდე. მან კი ქალაქის გაღვანს გვერდით ჩაუარა და უდაბნოსკენ განაგრძო გზა. ცა შავ-მუქ ღრუბლებს გადაეფარა. გრილოდა. მდუმარნი მიაბიჯებდნენ. შორს, სიღრმეში, ერთადერთი ხე გამოჩნდა. ღვთისსახეა იქ შეჩერდა. ხის ირგვლივ თორმეტი ქვა იყო შემწყობილი, თითქმის ერთნაირი სიდიდის, – არც მეტი, არც ნაკლები. იქ მისულთ უცნაურათ ეს ადგილი, მაგრამ დუმილი ამჯო-

არასოდეს შეემჩნიათ; ან, იქნებ, მეტად ქუში და ღრუბლიანი ამინდის ბრალოც იყო ყოველივე, ან, იქნებ, უბრალოდ(აც), წარმოსახვის წყალობა. ფიქრი ყველაფერზე არაფრობის ტოლფასაო, გაახსენდათ წინმამავლის მწუხრით ნათქვამი. სულ ცოტა ხნის წინანდელი სიმხიარული საღლაც ჩაინთქა, გაქრა, გაუჩინარდა. რაც უფრო წინ მიიწევდნენ, სევდა თანდათან მატულობდა და მძაფრდებოდა. ქალაქი მაღალ ფერდობზე იყო შეფენილი. კიდევ უფრო მაღლიდან მთა გადმოსცქეროდა. რატომღაც ყველა ერთიანად შედგა და მთას მიატკერდა. მიხვდნენ, რომ მათი სევდასა თუ ა(მო)უხსენებლობის მიზეზი სწორედ (ეს!) მთა იყო, სწორედ იგი ამძაფრებდა სევდას და რაღაც ავის მომასწავებლად გამოიმზირებოდა, თითქოს თავისკენ იწვევდა, თავისკენ ეწეოდა. შორიასლოს ჯვარისკაცებმა ჩაიარეს. რაღაც არეულად მიაბიჯებდნენ – უწესრიგოდ, უხალისოდ, მონყენილნი თუ მოთენთილნი. არც კი მოუქცევიათ ყურადღება ქალაქისკენ მიმავალთათვის. მხოლოდ ერთმა (თუ!) გამოხედა იჭენეულად, ეგ იყო და ეგ; ვინ საით მიდიოდა, არავის აინტერესებდა. ყველა რაღაც გაურკვევლობას მიეცვა, თითქოს შეეფოთებინა კიდევ; თითქოს ვილაცხას თუ რაღაცას ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ. როდესაც ქალაქის კარიბჭესთან შედგნენ, ერთ-ერთმა რატომღაც თქვა: მე მხოლოდ ჩემი თავის მემშინა და სხვა არაფრის! არავინ გამოპასუხებია, თითქოს ყველა იმავეს ფიქრობდა და ეთანხმებოდა. უფრთხილად ჯვარისკაცთა კიდევ ერთი ოცეული გამოვიდა და მთის ტყიანი ფერდობისკენ გაემართა. ქალაქში შესულნი ხალხში გაუჩინარდნენ და მთავარი ტაძრისკენ განაგრძეს სვლა, თან მოქალაქეებს აკვირდებოდნენ, თავიანთიულის ამოცნობას ცდილობდნენ. მაგრამ იგი არათუ არ ჩანდა, ბრგე და ახვანისკი კი არ ილანდებოდა სადმე. უცაბედად მთავარ ტაძარში ატყდა ხმაური. მტრელები ერთიანად აფრინდნენ და სივრცეს გადაფოფრილი გაღვანს გადაეულნენ. აფორიაქებული ხალხი ვერა და ვერ წყნარდებოდა. იყო გნისი, ხმამაღალი წამოძახილები, მუქარისა და რისხვის სიტყვები. თითქოს ქარიშხალი ამოვარდნილიყო და ერთიანად აერია ყოველივე; თითქოს მინისძვრამ შეატორტმანა მინამყარი; თითქოს ჩამოხველდა და აღარ ჩანდა აღარაფერი. უნდოდათ გაქცევა და ნაბიჯს ვერ დგამდნენ, ხელფეხებორკილნი კანკალებდნენ, თვალებით ეძებდნენ და ვერ პოულობდნენ ერთმანეთს; ხმას ვერ იღებდნენ და ამოად ხაოდნენ; იყურებოდნენ და ვერ ხედავდნენ. მხოლოდ ხმა ისმოდა – უცნაური, გაურკვეველი. რამდენ ხანს გაგრძელდა ასე, არავინ უწყობდა. ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა, დამშვიდდა, დაიძინდა. ერთმანეთი უშადრენო აუზთან იპოვეს, რატომღაც თერთმეტივე იქ მისულიყო. მხოლოდ ის ორნი – ის და ის არ ჩანდა. ლოდინმა არცთუ (ისე!) დიდ ხანს გასტანა. ის – მშვენიერი, კეთილანაგი ლაჟვარდთვალეობა გამოჩნდა და ქალაქიდან გასასვლელ კარიბჭეს მიაშურა. ოდნავ შეყოვნდა ბჭის კართან, შეჩერდა, ცას ახედა და შემობრუნებულმა დიდს ტაძარს მიაპყრო მზერა; თითქოს ცას რაღაცას შესთხოვდა და ეწურჩულებოდა. ბოლოს, ბოლოს მშვიდად შემობრუნდა და კარისკენ წავიდა. ისინიც, თითქოს გონწართმეულნი, უნებური ლასლასით მიჰყვნენ წინამძღოლს. ის კი ღრმა ხევისაკენ მიმავალ ბილიკს მიუყვებოდა თვალცრემლიანი. ისინი ისევ იმავე მანძილით მიჰყვებოდნენ, მილასლასებდნენ და არ სურდათ არათუ საუბარი, ხმის ამოღებაც კი. ბალის თაღოვანი ქვის ბჭის-კარც გამოჩნდა და, როცა საკმაოდ დამღვლი კიბის ბოლო საფეხურიც აიარა და შიგნით შეაბიჯა მან, მაღალმა, ლაჟვარდთვალეობამ და თმაოქროვანმა, ბალის ბნელი სიღრმიდან რაღაც უცნაურად ქათქათა ნათელმა გამოანათა. ისინი შედგნენ და თალს მიაჩერდნენ. რამდენ ხანს იდგნენ ასე, აღარ უწყობდნენ. უკვე საკმაოდ ბნელოდა, ბალი კი კამკამებდა. არადა, მთვარე, საღლაც გადაკარგულიყო. კიბეს აუყვნენ. აღარც დაღლა გრძნობდნენ და ვერც სხეულს. შევიდნენ ბალის სიღრმეში და მიუახლოვდნენ მას – მაღალს, ლაჟვარდთვალეობას, კეთილს, სათნოსა და თითქმის მდუმარედ მლოცველს. ბოლო ორი სიტყვა ყველას დაამახსოვრდა – რად იგვიანებს?! კარგა ხანს იდგნენ ასე – მდუმარნი, გარინდებულნი, მოძღვარს მიჩერებულნი. შორს, შორიდან შორეული გნისის ხმები ახლოვდებოდა. ■

ის ცა ის(ინი)

თითქოს არ უნდოდა, რომ ვინმეს გაეგონა, მაგრამ ნათქვამი ყველამ მოისმინა და ჰკითხეს, რას გულისხმობ? მან კი, ისე, სასხვათაშორისოდ, რაც მოისმინეთო! იმან კი – მარტოსულმა, შორეულად წინმავალმა, შემოჰხედა და – ღამე ძილს ყველას ჰპატიობსო. ესენი შედგნენ, მან კი ისე, რომ არც შეჩერებულა, გზა განაგრძო. მაღე ქალაქის კარიბჭეს მიადგნენ. დარაჯმა სხვა ჭიშკრისკენ მიუთითა, იქიდან შეგიშვებენო. არ შეკამათებან, გზა განაგრძე. ის – წინმავალი, მარტოსული, – უკვე იმ ჭიშკართან იდგა და მათ ელოდებოდა. ესენი თითქოს შეკრთნენ, შედრკნენ და გაოცდნენ: ყველას ერთად – ის – როგორ გადაგვავიწყდაო. არადა, საღლაც შორს მამალმა იყივლა. საკმაო ხანს მიაბიჯებდნენ მდუმარნი. უკვე, სადაცაა გათენდებოდა. ისინი კი ისევ მდუმარედ მიაბიჯებდნენ. ბოლოს შედგნენ ერთ უსახურ, მიტოვებულ ნაგებობასთან, მაგრამ საკმაოდ ფართესთან სიგანეში; ის-ის იყო, მე-თორმეტმაც შეაბიჯა შერობაში და მამალმაც მეორედ იყივლა. ერთ-ერთმა რაღაც ჩაილაპარაკა წყნის მსგავსი, მაგრამ არავინ გამობმალურებია. ეძინებოდათ. ფეხსაცმელიც კი არ გაუხდიათ, ისე მინებდნენ ფიცრულ საწოლებს. ხის კუნძებს დაანდეს კეფა-საფეხლები და დაძინებამდე ფიქრებს მიეთბნენ. სიჩუმე შეიძინებდა და ხმაურობდა. მამლის მესამე ყივილამდე მათ უკვე ეძინათ. დილაადრინა ერთი, საკმაოდ მაღალი და შეუხედავი, გამოვიდა შენობიდან და ჯერ კიდევ ბინდებდნენ გაუჩინარდა. დანარჩენებს, ღრმად და დიდხანს ეძინათ გვიანობამდე. როცა წამოდგნენ და ქალაქის კარიბჭეს გამოისცდნენ, ტყიანი ფერდობისკენ გაემართნენ. იქამდე, მართალია, საკმაოდ შორი იყო, მაგრამ მხნედ მიაბიჯებდნენ ქვალორლიან ხრიკზე. ისევ დუმდნენ. ის, მარტოსული, ისევ წინ მიდიოდა, მათგან მოშორებით, თავჩაღუნული; წამახული ჯოხით ქვებს გადააბრუნებდა ხოლმე და შედგებოდა. ერთგან გველი წამოიკლავა მის წინ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, ისე განაგრძო გზა. მაღე ტყიან ფერდობს შეუყვნენ. ხშირფოთლოვანი ხეების ჩრდილქვეშ ნაკადული მოკამკამებდა. უფრო ზევით, მაღლით, ცივი, ანკარა წყარო გადმოსჩქეფდა. გაგრილდნენ, დარწყულდნენ, შეისვენეს; ზოგმა წასთვლიმა კიდევ; ზოგი მაღლა ცას ასცქეროდა, ზოგიც ბალახის ღეროს წინკნიადა და ამთქნარებდა; ზოგიც, სახეზე შერჩენილ წვეთებს ხელით იშროლებდა და ტყის სურნელოვან ჰაერს ღრმად ისუნთქავდა. მან, განმარტოებულმა, ლაჟვარდთვალამ, სწორნაკეთიანმა და ღვთისსახიანმა, მშვიდად თქვა: ვისაც ჯერ კიდევ შეგიძლიათ დაძინება, დაძინეთ, ისედაც (გა)დაიღლებით მთავარი სიფრთხილით! თვითონ იქვე, ქვაზე ჩამოჯდა, ზურგიან ხეს მიეყრდნო და გაირინდა. ტყის ფერებსა და ბგერებს აკვირდებოდა თითოეული, რაღაცის ახსნას ცდილობდა; ყველანი დუმდნენ. ბოლოს ერ-

ბინეს, ისე კი გადახედეს ერთმანეთს და გაოცება გამოხატეს. ჩამოსხდნენ ქვებზე და გაირინდნენ. ვინ იცის, ვინ რას ფიქრობდა, მან კი, მაღალმა და ღვთისსახეობამ, ის, ერთი მათგანი ისევ მოიკითხა: თუ გახსოვთ, როგორი იყო, რა ფერის თვალები ჰქონდა და რა ეცვაო. ვერც ერთმა ვერ გაიხსენა თვალის ფერი, ვერც თვალები, სიმაღლე კი ყველას ახსოვდა. მაღალი იყო, ბრგე, ჯმუხიო. ცხვირის მოყვანილობაც გაიხსენეს, კეფის მოხაზულობაც, სამოსის ფერიც. გაიოცეს: გუშინ როგორ ამოგვივარდა გონებიდან ყველაფერი. გამხიარულდნენ კიდევ, იმდენი რამე აღიდგინეს და გაიხსენეს მის შესახებ. მაღალი, ღვთისსახეობა, უსმენდა და დუმდა. ბოლოს ისე, თავაუღებლად, თითქოს სასხვათაშორისოდ წარმოთქვა: ამაღამ ის ისევ გამოჩნდება! კარგად დააკვირდით, დაიმახსოვრეთ სახე და ხმა, თვალების ფერი! და გაჩუქდა. სხვა აღარაფერი უთქვამს. დიდ ხანს იჯდა მდუმარედ მინასმაცქერალი. ასე ისხდნენ სხვებიც, თავჩარგულნი და მდუმარნი; ხანდახან თუ გახედავდნენ ხოლმე მაღულად მოძვარს და ერთმანეთს. დრო ღრუბლებში უჩინარდებოდა. ჰაერიც თანდათან მძიმდებოდა მდუმარებით. ეს ბოლო დღეა! თქვა მშვიდად და წამოიმართა. ძალზედ მაღალი ეჩვენა ყველას, შარავანდედიანი და გაბრწყინებული, ნათელმოსილი. უეცრად დიდი სიმსუბუქე იგრძნეს, ჰაეროვნება და ამოუცნობი ნეტარება-სიხარული, თუმცა ვერ გაიცნობიერეს (თუ!) რა ხდებოდა, მაგრამ, მაღლი რომ გადაეფინათ და ჩაეღვარათ სულში, ეს კი იგრძნეს. რატომღაც შვებით ამოისუნთქეს, თითქოს უმძიმესი ტვირთი მოისხნეს ზურგდან. რაღაც უცხო, თითქოს იმდღემდე შეუმჩნეველმა ფონიველმა გადაუფრინათ თავზე, დიდმა, ვეებერთელამ, კუჭიანმა. არც ორბს ჰგავდა, არც არნივს, რაღაც სხვა იყო, ყვავისმაგვარი, მაცნე რაღაც საიდუმლოსი. ისიც დაჟინებით აკვირდებოდა ფრინველს. ბოლოს ხელი ჩაიქნია და ქალაქის მიმართულებით გაემართა. ისინიც მიჰყვნენ. ისევ ისეთივე მანძილი იყო მათ შორის, მაგრამ ახლა უფრო თბილი და მოკრძალებული. კიდევ, რაღაც ლანდევით გადასდევდა მათ შორის მანძილს და გზაზედევ იფრქეუდა თაფლის სურნელი. ფერს თუ სურნელი გაანდის, ახლა-ღამე შეიგრძნეს და გააცნობიერეს. თითქოს, ყველას ერთდროულად სურდა რაღაცის თქმა, სჯა, ბასი, ხუმრობა, მხიარულება, მაგრამ ვერ ახერხებდნენ, რატომღაც ვერ ბედავდნენ თუ ერიდებოდათ ერთმანეთის; თითქოს რაღაც უჩინებელი, იდეალ ძალას შეებორკა ისინი და ნება-უნებურად დაემორჩილებინა; რაღაც ძალიან უხაროდათ, თან სინანული, რაღაცის, წინაწინვე ტანჯავდათ. ესეც ახლალა შენიშნეს და გააცნობიერეს და ისიც, რომ უდაბნოს ხრიოკში ნაკადული მოხანწკარებდა და ხრიოკშივე უჩინარდებოდა. ახლა იმაზე ჩაფიქრდნენ, რომ ეს გზა ღამის ფეხზე შემოსცვეთილად, ნაკადული კი არც-

სახვამლო ღოჭები სახვამლო ღოჭები სახვამლო ღოჭები

სახვამლო ღოჭები

წინაპრებმა დაგვილოცეს
 ეს ნახატი მინა-წყალი,
 ჰოდა, უნდა მოვუაროთ, –
 შიგ ტრიალებს უფლის თვალი.
 ცით გვიღიმი მზე და მთვარე,
 სიხარულით მოდი, რთველო,
 და იმედი ჩვენი გვეკონდეს,
 კურთხეული საქართველო.

ნეტავ...

არემარე სადღაა
 მზის სხივებით ნაბანი?..
 დეკემბერმა შეკერა
 თოვლის თეთრი საბანი.
 დაიხურა საბანი,
 ძილს მიეცა მინა და...
 კარს ახალი წელია,
 ბევრი როდი იცადა?...
 ნეტავ, იყოს ეს წელი –
 იმედებით გამთბარი,
 სიხარულით გამთბარი,
 სიყვარულით დამტკბარი...

საქართველოს

მსურს ვეთაყვანო
 ჩემს მამულს, –
 ნამდვილ
 ზურმუხტს და საფირონს,
 რომ... მზესთან ერთად
 ქვეყანას
 სიკეთის სხივი ვაფინო.

დედაენა

დედაენის განძი რაც გვაქვს,
 უამრავი წელია,
 დიდ იაკობს, ბრძენ იაკობს
 ჩვენთვის დაუნერია.
 ჩვენ ამ წიგნმა გვაპოვნინა,
 რა ძალა აქვს სიკეთეს,
 ამიტომაც დედაენა
 ბინას გულში იკეთებს.
 რწმენას გვაძლევს სამომავლოდ,
 სახარულით ვივსებით...
 და ყოველთვის გვინდა ვიყოთ
 დედაენის ღირსები.

გაზაფხულის სუნთქვა

გაზაფხულის სუნთქვა ისმის,
 მოღიმღილობს ენძელა,
 ცამ დალოცა სიყვარული –
 იყავიო დღეგრძელად.
 თვალცქერიალა ნაკადულიც
 მორაკრაკებს ზვირთებად,
 ყვავილების მოსასხამით
 გაზაფხული ირთვება.

რწმენა

მთის და ბარის სალოცავი
 ჩვენს წინაპრებს ულოციათ,
 ხელში გუთნით შეხვედრიან
 მოციმციმე ცისკრის ციაგს.
 რწმენა ჰქონდათ დიდი უფლის
 და სიმართლე ჰქონდათ ფარად...
 ღვთისმშობელმა საქართველო
 იმიტომაც დაიფარა.

მზიამდგარი შემოდგომა

რა ლამაზი ზვრებია და
 რა ლამაზი მტევნებია...
 ჩვენი ციციქნა პატარები
 მტევნებს თავზე ევლებიან.
 რა ტკბილია, რა კარგია,
 დაუფასა პაპას შრომა,
 უფროსები ირჯებოდნენ,
 ჩვენ მოვუნდით თამაშობას.
 ახლა უკვე გავიზარდეთ,
 კარგად ვიცით გარჯის ფასი,
 შემოდგომის დღეებია –
 მზიამდგარი და ძვირფასი.

ჩურჩხელები

ჩამოვბერტყეოთ კაკალი,
 მოდის ბზრიან-ტრიალით...
 და ხე ემშვიდობება
 ფოთლის ტაშით, შრიალით.
 დღეს ვამზადებთ ჩურჩხელებს –
 საახალწლო ნობათად, –
 ახლობლებს და მეზობლებს
 რომ სიტკბოთი მოგართვათ.

ზამთრის სურათი

თეთრი კაბა შეუკერა
 ზეცამ ფიფქებს პანიებს,
 ნახვამდისო, ცეკვა-ცეკვით
 სამეჯლისოდ გასწიეს.
 მობრძანდითო, ფანტელებო,
 სიხარულით ვამბობდით...
 სიყვარულით მოგვიტანეთ
 ზეცის ნაზი ამბორი.
 სრიალებენ ციგურები,
 მიმოქრიალ გუნდები
 და... თამაშით დაღლილები
 მერე სახლში ვბრუნდებით...

მზე, წვიმა და ყაყაჩო

ამისთანა წვიმა მხოლოდ
 გაზაფხულზე იცის,
 ჯერ წკაპ-წკუპო, მაგრამ ბოლოს
 მთლად განუნა ციყვი.
 ყაყაჩო კი ნაღვლიანობს –
 ტყის ნაპირას მყოფი,
 – რა ვქნა, უნდა ვაღიარო,
 სულ პანია მყოფის...
 უკვე მიჭირს ფეხზე დგომა,
 ცრემლიც მიტომ მცვივა,
 მეშინია, – ხალი რომ არ
 წამიშალოს წვიმამ.
 მზე ღრუბლიდან აყრის სიცილს,
 ძლიერ მიკვირს შენი,
 განა წვიმამ კი არ იცის,
 ხალები რომ გშვენის?

კეთილი მასპინძელი

როცა ბებო ქალაქში
 სტუმრად არის დაჩისთან,
 ეხვეწება ბიჭუნა,
 – ბებო, კიდევ დარჩი, რა.
 – ბეკეკას და ფუჩინას
 ვერ დავტოვებ მარტოკებს,
 რადგან დღესაც მეზობლის
 სინაბარას დავტოვე.
 – მაშინ, მერე რომ მოხვალ,
 ბებო, სათაყვანო,

იქნებ, ბეკოც, ფუჩინაც
 სტუმრად ჩამომიყვანო?

გული ლხენით მევესება

სკოლაში რომ მივედივარ,
 გული ლხენით მევესება,
 რამდენი რამ გვასწავლეს
 მოთხრობებმა, ლექსებმა.
 წინაპარი, რამდენი,
 დიდებული გვეყოლია, –
 თუნდაც, დიდი მგოსნები:
 შოთა, დავით, ილია,
 ტატო, ვაჟა, აკაკი,
 გოგლა, გალაკტიონი...
 მათი ლექსი სულ მოსჩქევს,
 როგორც მტკვარი, რიონი.
 სამეგობროდ, სამოყვროდ,
 გული გულს ებმება,
 რამდენი რამ გვასწავლეს
 ჩვენმა მასწავლებლებმა.

გოგოაო მისაბაძი

დილას, ციციქნა თამუნამ
 აიფარა წინსაფარი,
 სახლი კოხტად დააღაგა,
 ეზო-კარიც სუფთად არი.
 დედა აქებს, ბებო აქებს,
 იჭვრიტება სახლში ნაძვი, –
 გადავძახებ ჩვენს მეგობრებს:
 გოგოაო მისაბაძი.

ეკა და ბაქაეკა

ერთი ბეკო მიყიდე,
 ჩემო ძია, ბესო,
 ვაბალახებ და მერე
 გამოვბამ ხესო.
 დაგახვედრებ, რომ მოხვალ –
 ლამაზ ბეკეკებსო
 და მთაშიაც გაგატან –
 მოვლილებს და ბევრსო.

წინაპანა

როცა მღერის წინკანა,
 ხარობს ტყეში ყველა ხე,
 ასე გახარებული
 ყოველ დილით მენახეთ!
 გულყვითელა ჩიტია, –
 ზურგზე მწვანე ფერებით...
 შორიდანაც, ჩიტუნა,
 გულით მოგეფერები.
 ტყეში მზე იჭვრიტება,
 გულიანად იცინის,
 წინკანა კი იძახის:
 –ცი-ცი-ბიი, ცი-ცი-ბი!
 ბულბულს რომ არ ადრიან,
 ეს ამბავი სწყინს, განა?
 მთელ ტყეს ამხიარულებს
 ეს პატარა წინკანა.

ზურია და მურია

გულადი მყავს მურია, –
 გვითხრა ბიჭმა ზურიამ,
 ხათუნამ თქვა: – სად არის?
 ლომის, ვეფხვის სადარი.
 –სად არისო მურია?
 ნიგნში დახატულია,



ნუნუ ხამუკაშვილი

– მასე მეც მყავს დათუნა, –
 უპასუხა ხათუნამ.

თეას გურთი

იცრემლება თეა-გოგო,
 ნორჩი გული უთრთის,
 – რატომ ტირი? – ზურამ ჰკითხა, –
 დავკარგეო ბურთი.
 მგონი, იქით გადავარდა,
 რომ დგას ვარდის ბუჩქი...
 ახლა რითღა ვითამაშო?
 რა ცელქია, ურჩი...
 –კარგი, თორემ დაგვცინებენ:
 ბუტი, ბუტი, ბუტი!...
 ტკაც, და... ეკალს წამოედო, –
 გასკდა თეას ბუშტი.
 გაეცინა უცებ გოგოს,
 თქვა: რაც არის, არის...
 ძმამ კი უთხრა: – დადგებო
 ხვალე კარგი დარი.

ირმის ნუკრი

მე – ირმის ნუკრს – მხიბლავს ჭალა
 და კორდები მწვანე;
 ვხარობ, როცა მთვარის შუქი
 ვერცხლად დავივანებს.
 რადგანაც ვარ პანანინა,
 ნებიერი შვილი,
 ვიგებ დედის დარიგებას
 და ვარ მუდამ ფრთხილი.
 რას ვნატრულობ? – ტყეში იყოს
 უამრავი ხე და...
 სულ ცოცხალი მყავდეს ჩემი
 საყვარელი დედა...

პირველი თოვლი

სიყვარულით ზეცისკენ
 იცქირება ცირა,
 მოდიანო ფიფქები და
 ხვავრიელად ცვივა.
 ჩვენთან ყოფნა არჩიესო, –
 მიატოვეს ზეცა,
 მალე მთა-ბარს თეთრ-ქათქათა
 სამოსელი ეცვა...



დაქობილი



ქანა ლეონარდინი



მას დღე ჰქონდა მტევანებით მოსანუ-
რი, აქ ჩვენ გული გვაქვს მოსანური მხო-
ლოდ. წინაპართა სახლი, მსუბუქად ფე-
რადოვანი, ნაცარში შთენილი ნაღვერდა-
ლივით ჩაინავლა. გამოხდა ხანი და სერიც
ჩამოფერდა გლუვი მინდორივით, მაინც
მწვანედ იხასხასა მდელი მთელს ირგვ-
ლივით. ბუმბული იმ ფრთოსანთა შავ
მინადა ჰყრია ქვის ყორების ძირებზე
და ვაზიც ჩამოშლილა მგლოვიარე ქალის
თმასავით...

მალალ ხავსიან კლდეებს ჩაკირულ ცი-
ხის გალავანში გადაძახილით შეხიზნუ-
ლა სამი სოფლის მოსახლეობა. განგამის
თეთრი კვამლი ამოდის მზეში მოელვარე,
ერთმანეთის თავზე შემომდგარი ქედე-
ბიდან, სათვალთვლო კოშკურებიდან,
საზვერეებიდან. მესამე დღეა, რკინისჯ-
ვრის მოტიტვლებული ცივი მინდვრებიც
დროებით დაცემული ბანაკებიდან წა-
მოსული თალხი ბოლით იფარება. სოფ-
ლების ბოლოს გაოკავებულზე ამოსული
შამბნარიდან უწყვეტ ნაკადად მიედინება
აბლავლებული ნახირი ზევით, ცის მიმ-
ქრალ ლურჯ ფონზე მკაფიოდ ამონე-
რილი ურთხმელის ტყეებისკენ. კარგად
ჩანს სათოფურებიდან უკვე საღამოს იმე-
დიან ბინდში დანთქმული, დამშვიდებუ-
ლი უღელტეხილები. იმ გზებით გაუვალ
ხეობაში გადავლენ აყრილი სოფლებიდან
მთებისკენ დაძრულნი...

ნოხებში გახვეული აკვნები, წიგნები,
ყანვები, თოფები, ხმლები და ქამარ-ხან-
ჯალი სულ წყვილად ჩქამ დროთა იმედის
ბნელ ჭაში ჩაბნეული ვარსკვლავებით
მიფერქვა დავითის სიზმრიდან გადმო-
სულ, შავ, ჩუმ საუკუნო სუდარას. ერთნი
მერე ცოცხლებიან სამუდამო სახიერე-
ბით ან ტაძრებზე შემორჩენილი ნესტი-
ანი ჩუქურთმებით, მათი არე არეა შუქ-
ჩრდილთა ზომბა-წონისა, ღირსსახსოვარ
ნაკეთობათა მოსევადებისა. ამ მონიშ-
ნულ სადღესასწაულო დღეთა დაკარგვა-
არევაში ჩამკვიდრებულა ბოროტება,
წესნი მადლს იცავენ გააფთრებით...

მის წინაპარს გამოქვაბულში ეპოვა
ნავარაყები ბრინჯაოს ნაჯვრის პირები,
მოხატულნი მცურავთა კლანკილებით,
წყალთა ტალღოვანებით და მათათა ტეხი-
ლებით. იმ ჩავლილ დროთა ასლად, სანამ
მდინარენი შეიცვლიდნენ უწინდელს კა-
ლაპოტს და მისი აზნაურული ღიმილი-
დანაც ადამიანურად, უბრალოდ განიჭვ-
რიტების თვით მარადისობაც... ყოფილა
ლადი ხუმრობა, გამოსროლილი დავითი-
სა, სოფელ „ჩხერში“, დათვის უკანალზე,
როცა მოკლულს წაღმა მოასვენებდნენ
მწვერებით, მარეკებით ნადირობად გა-
მოსული თავად აბაშიძის ყმა გლეხები...

თქმულეებს, ლეგენდებს ენაცვლება
მარკინალი წესები ფეოდალთა და სისხ-
ლისღვრა გვარეულობათა შორის. მერე
ისევ სიკეთით ინთება ზღაპარი, კოცო-
ნივით ჩნდება ერთობა უფრო ადრეული,
წრეში შემოკრებილ მაჩვთა, მგელთა,
კურდღელთა. გვჭირს განუკურნებელი
ტკიპობა ამ იმედით, რითაც ხელოვნე-
ბა დღემდის იგანიერებს ულვე სივრცე-
თა საზღვარს, ციხე-სიმაგრეთა ბლაგვ,
მძიმე ურდულეებში რაღაც მზაკვრულად
გამოკეტილი, აშკარად ანგარებიანი
ცხადლივი წარმოდგენების ჯინაზე, არ-
წივის პირდაფრენილ მართვსავით სულ
ერთთავად გასაფრენად შედგრებული...
მოჭპრის სამყაროსთან ერთად ციცი-
ნათელეებიან ღამეზე კუდით გამობმუ-
ლი, მანდილივით გაშლილი საღამურით.
რამდენი ბიჭი მსგავსი დავითის, გიორ-
გის, ლევანის, წარხდა მოკამკამიდან
მწუხრისაკენ... მთელი შემოდგომა იწვის
გარშემო სოფლები; გალავანშიც ანთე-
ბენ ცეცხლს. ჯერ ციხის ალების მცდე-
ლობა არ ყოფილა. იშვიათად ყრუდ თუ
ისმის სადაც სიჩუმეში ძაღლის ყეფის
და მამლის ყივილის ხმა... აჭრიალებული
ხის აივნებიდან სწრაფი სიზმარივით ხე-
დავს დავითი ცაცხვების ჩრდილში პანა-
წინა სოკოებივით დაწყობილ ჩალმებს,
ხოლო იქ, სადაც კამკამა მდინარე შავი
კლდის ძირში ორ თხელ ფონად იტოტება.
ლელვს კრეფენ თათრები. თვალებს არ
უჯერებს, სუნთქვა ეკვრის, გული უჩერ-
დება ლამის. სხვები ცხენებთან ერთად
დადგაფუნობენ აშხეფებულ წყალში, ნა-
წილიც იქვე შრება არხინად, წელს ზე-
ვით ტიტველი, პირდაპირ გავარვარებულ

რიყეზე ფარშევანგის ფერადი კუდივით
გადაფოფრილი განიერი შარვლებით...
ქვებს ესვრის ჯერ დაუჯერებელი, ცალ-
მხრივი, ბალღური გახელებით სახტად
დარჩენილი. მდინარე კი ხმებს ლამბავს,
ახშობს, აჩუმათებს. დგებიან თათრები
და ელვარე ქონგურებისკენ იყურებიან.
ალმაცვრად. დამწვარი სპილენძისფე-
რი ტანები უპრიალებთ მზეზე, დაძრულ-
ვულ მკლავებს შლიან უხმოდ ციხისკენ,
თითქოს უკვირთო უხილავი ქართველე-
ბის ეს თავხედობა... გამოფხიზლებული
ჩარბის, გადააფრინდება საფეხურებს,
ყვირის, იძახის. ჭიშკრის გარეთ ჩარბიან
დანარჩენებიც ბრავაბრუვით. მაყვლის
მტვრიანი ფოთლებიც ეფარებათ. შორი
მანძილია იქამდე, გავარდება პირველი
ორი ტყვია. მჭახედ გავარდება ერთი, მე-
რე – ერთდროულად ცხრა, თოთხმეტი,
კიდევ ერთს ესვრის ბოლოს დავითი და-
მიზნებით. ქონგურებიდანაც გრძლად
ეკიდება წამლის ცისფერი კვამლი და
მსუბუქად ცოცდება, მიირწევა კლდეზე,
დაბლა, მდინარისკენ ჩასრიალებული,
ვერცხლისფერი გველივით... მალლიდან
იყურებიან გარინდებით ხეობის სიღრმეს
ჩამტვრეულნი. ვიდაც დოლს ურტყამს.
გამაბრუებელი სურნელია, ხალხით იჭე-
დება, ჩამოლენვაზე გალავნის შიგნით
მხოლოდ მეციხოვნეთათვის შემოვლე-
ბული, ნაბლის ხის მორებისგან შეკრული
ვინრო აივანი. ცხელი, სულის შემხუთ-
ველი ალმური ამოსდით კედლებს... ხმის
დანახვას და დანახულის მოსმენას ცდი-
ლობენ მსროლენი... მდინარის მინდორ-
თან გასაყარ, გვიმრიან ფერდობზე ჩანს
ორი ცხენდარი გაქცეულთა. კლდესთან,
ხელმარცხნივ, ცაცხვების ძირში, მობანა-
ვეთა ჩალმებიც ხელუხლებელია და ერთი
დაჭრილი თეთრი ცხენიც საწყლად წამო-
წევს ხოლმე კისერს მწვანედ ახასხასებუ-
ლი მინდვრიდან...

ყიფინა დასცეს... ყველგან, სადაც ურ-
მები დგას, თუ ჩრდილიანი, რაიმე გადა-
ხურული კუთხე-კუნჭულია, ზედ გაშლილ
თივანზე, ფარდაგებზე სართულბუნად წვა-
ნან ჩვილბავშვიანი დადები, მოხუცები,
ხეობრები და მოთმინებით ელიან დაზამ-
თრებას...

განსაკუთრებით დღისით ფხიზლობენ
მეციხოვნენი. საქონელი სახელდახლოდ
მონყობილ საჩხებშია შერეული. ქალები
მშვიდად თიბავენ მამაკლებით უკვე მოახ-
ლოებული შემოდგომისგან გაუხეებულ,
ყვავილგარეულ მინდორს და მალალი
სათვალთვლო აივნის ქვეშ, მჭიდროდ
დასობილი სარების გარშემო აზვიანებენ...

შოლტივით სცემს წვიმა ქარში და
რეცხავს შიგნიდან გამურულ კლდეებს.
ღარებდად ჩამოედინება წვიმის წყალი
დროისგან გამუქებულ, უზარმაზარ საგ-
ვარეულო სანახელობაში...

... მცირე აბრეშუმის კარვის სამკა-
პა ძელს ზურგით მიყრდნობილი ახლად
დაქვრივებულთ თავადი რქის კოვზით მი-
რთმევს მანონს ხის ჯამიდან. იქვე, კარ-
ვის წინ, ბავშვების ფერხითი ნაწვიმარ
მდელივით მუხლმორთხმულ ბერს ხარის
ბეჭზე ბატის ფრთის ჭრიალით გამოპ-
ყავს მსხვილი ხუცური ასოები... უაზროდ
დაცდენილ ტყვია-წამალზე ნაღვლობს
ბატონი და მურა დათვის ბელს ეთამაშება
ცალი ხელით, ავერ, მუხუთე კვირია უკვე,
რაც ამაზე ფიქრი არ ასვენებს...

... არის წამლობა საიდუმლო, ცხადლივ
კი ზელენ ძმრით, ზეთით, ნაცრით. ნა-
ბუტბუტევი ლოცვაა მათი, ხან კვერცხს
მიახლიან კედელზე, მუხლს მოიყრიან და
შიშვე გამოყოფილი ავადმყოფს. სა-
ქონლის მომწვანო ბუზი ეხვევა ირგვლივ
ყველაფერს... დროთა ვინრო სენაკი ადა-
მიანთა და პირუტყვთა ამონასუნთქით
გაცხებულა ამ მოყვითალო ორთქლის ნა-

რუვალ ნისლში, შორიდან, სადაც სამკა-
როს დასალიერიდან, ცისკრის მკრთალი
ვარსკვლავით ენთება, მოჟონავს, მოი-
პარება სიკვდილი თავისი პირველქმნილი
ბგერასავით აწკრილებული უნებლიო-
ბით და უყურდება მოთმინებით მარად
ახლიდან აბაკუნებულ ხბოთა უმწიობას
ყამამდის... პირველი ყამია დედის თბი-
ლი ჩრდილივით ამოზრდილი, აცახცა-
ხებული სხეულიდან მოწყვეტის ელდით
შეფერილი. ეს შიშია არეკილი ხბოთა
ხარბად დაუმცხრალი შავი, ცრემლიანი
თვალის მორების ზრიალი. გამოდარებულზე
დგომ ყამია მეორე, მუხლმომავრებულ
დეკეულთა გაუხეების და ექოა სოფ-
ლებზე, მყუდროდ მოგუდული, მინიერი,
გრდემლის, ნალის, სოლის, ჩაქურჩის... ჩა-
ლის სახურავზე დამსხლტარი წვიმა. იქ
ძილი „ხმელა“ ყვავილებში. ელვამი აკა-
ციის მორების ზრიალი. გამოდარებულზე
ჭრიჭინობლას თანაზომიერად ჩანსული
ხმა, სოფლის სხვა წერილ ხმაურში და
ორ აზრს შორის ლურსმანივით მოლუ-
ნულ-გადრეკილი ბგერა აგრილებული
ხმლების და დედოზარის, ყამია მესამე...
იქამდე, ვიდრე განთავისუფლებული სუ-
ლი ბრძოლებით დაღლილი კაცისა შეერ-
თებას შეძლებს... ქარი მთებს ალურჯებს,
ბგერი ფრესკაა ნაშლილი ნახანძრალი
კედლებიდან. მარტო დგანან ეს ტაძრე-
ბი მთებზე. ყველა მგზავრს თავისი გზა
და დილა ესახება, იელვებს ხოლმე თბი-
ლი მობლოური მხარე, რაღაც ხმა ქუ-
ხილივით გააყრევს ბრდღვალა ჰაერს,
უბრალო ჩრდილიან ადგილს მინის გრილ
ნიღბში დავანებული სევდიანი ადგილი
გამოყოფა. მერე დამშვიდება ხოლმე
შუადღე. ამ დროს იღებს ყურძნის მტევან-
ი მზის სხივებისგან სიტკობს. გზის იქით
სოფელია. უცებ ჩიტებმა გადმოიფრინეს
ფერდობი და თითქოს სადაც ბნელ, სა-
შიშ სიღრმეში ჩაცვიფდნენ ისინიც...

სამოცდათოთხმეტ დღეს გრძელდება
მომაბეზრებელი მოლოდინი... შესამწნე-
ვად დაბრძენდნენ ჭაბუკნი, ნატანჯი ჩვი-
ლებიც გაიზარდნენ. მინდვრის მაგივრად
გალავნის შუაგულში ატალახებულნი, შა-
ვი მინაა დაკლული საქონლის ჟანგისფერ
სისხლთან ერთად არეული. გამოთხრი-
ლი, უიმედოდ დაშრეტილი, დასცეპული
კაცის თვალვით ცარიელია ხორბლის
ორმო. დიდ-პატარა, სამარეებიც ითხ-
რება ადგილ-ადგილ... დადის თავადის
ხანშიშესული დედა ამყად, შვინდის
სუფთად ჩასხეპილი ჯოხით ხელში, რა-
ღაც პირქუში, უამური, შემოდგომისგან
გაუფერულებულ ეზოში და დასდევს თან
მკრთალი ჩრდილივით მოღიმარე მისი
დაობლებული ნაბოლარა შვილიშვილი,
შაქარყინულისთვის შეკერილი ნითელი
ატლასის ფორებიანი ტომრით...

... ზედ ზამთრის პირზე ორმა ტყე-ტყე
ნახეტილებმა სომეხმა ვაჭარმა შეაფა-
რა თავი აქაურობას ფართელეულით და-
ხუნძლული ოთხი სახედრით; წვიმაში
გალუმპულვებს ფეხდაფეხ ამოუსწრიათ
ციხემდე თათრებისთვის, თოფის სას-
როლ მანძილამდე მოჰყოლიან. თორმეტი
კაცი და აქლემის მთელი ქარავანი მომხე-
დურებს ჩავარდნიან ხელში... სუთი გაძ-
ვალტყავებული ბერძენი ქვის მთელიც
მოადგა კარიჭეს, მათ ქუთაისის ახლოს
იტალიელ მისიონერებთან უმუშავიათ.
შორანის ციხეზე ამაზე ბევრად მეტი
ხალხია თურმე. სამი დღის წინ ყოფილა
ორი იერიში, ქვებს ისროდნენო ზევიდან.
ცუდად ესმით ქართული, ერთმა სომეხ-
მა ვაჭარმაც კოჭლობით იცის ბერძნუ-
ლი... სხვა სოფლებთან ერთად თათრებს
მისიონერების სოფლებიც დაურბევიათ,
ქუთაისი კი კარგად ყოფილა გამაგრებუ-
ლი...

თენდება სამოცდამეთხუთმეტე, ვარს-

კვლავებით მოჭედილი, კრიალა და ყინ-
ვიანი დილა. მონაცვლეობით ეფიცებებიან
ნელ ცეცხლს, სამი კელაპტარი კიაფობს
ქელებში ჩასმული, რკინით მოჭედილი
აღმაშენებლის დროინდელი კარიბჭის
თავზე, ოცდაათი ნაჭრებსა და ტყავებში
ჩაფუთული კაცი იცავს ამ ადგილს...

შობის ღამეს სქელ ნაბდის კარავში
შეყუყულან ქალები, უსასოო ბავშვები
და მხოლიარე მოხუცები. დაკვლას გა-
დარჩენილი სამი თხა და იმ დროისთვის
საკვირველი, სამეგრელოს მთავრის, და-
დიანის მიერ ნაჩუქარი წნელის ლურჯად
შეღებულ გალიებში ცალ-ცალკე ჩასმუ-
ლი დედალ-მამალი ინდაური... დასავლე-
თიდან გადმოსული ტყვიისფერი, სათოვ-
ლე ღრუბლები ავსებენ ხეობას, იხურება,
დაბლდება ცა და ახლა უფრო ნაკლებად
ყინავს. ორმოცდღიანი დუმილის შემდეგ.
მეფისბეჭდიანი შეტყობინებით მსტო-
ვარმაც მოაღწია ქუთაისიდან... თექვს-
მეტი ათასი თათარი ყოფილა შემოსული
ზემო იმერეთში, სუთი ათას ცხენოსანს
საჩხრე-ჭიათურისკენ უცვლია გადასე-
ლა, მაგრამ წერეთელი მოუსწრია ვინრო-
ბის გამაგრება ათას ოთხასი კაცით, ქარ-
თელეებს კი ცხრაასი კაცით ჩაუკეტავთ
რიკოთის გადასასვლელი.

ამით მთავრდებოდა ქალაღზე მელ-
ნით შესრულებული ხელნაწერი...

დღესავით ნათელი იყო თავად ქუთა-
ისში განლაგებული ჯარების მდგომარე-
ობის შესახებ მეფისგან სიტყვის დაუც-
დენლობის აუცილებლობა... იმედად იქცა
მოლოდინით გაძლიერებული შურისძიე-
ბის დაუმცხრალი ჟინი... სამ დღე-ღამეს
ითოვად ლიხთიმერეთში... ზაფხულის მერე
ანვალებს დავითს ბოლო გასროლის ზუს-
ტი სამანი. თავადისგან ნაჩუქარ მოსავა-
დებულ თოფს „აჩერდება“, დაკვირვებით
თავისთვის ლიღინებს და ასე თამამ-თა-
მამით ეგუება ქართველთა მიერ ოდით-
განვე დაუფლებული საბრძოლო ხელოვ-
ნების საიდუმლოს. ყამია პირველი...
სიკეთისგან მტრობის დაუჯერებლობის
და შემდგომ გამომხდარი სისხლიანი ყა-
მისა, ამდენადვე გამკვეთრებულია ნიჭი,
სისხარტე ადგზნებისა, ეს უცილობელი
პირობა, ნიშანი ომებში გამობრძმედილი
უძველესი ჯიშისა და ისტორიის მკვიდრ,
მრავალ უწვერულ ყმათა, გმირულ გაელ-
ვებათა სათავეც იქ ძევს, იმ ნიაღში. ესაა
დასაბამი მეფე პოეტთა სიმამაცისა, მიჯ-
ნურთა სინაუქისა, დახვეწილობით მრის-
ხანეთა დაღწევა-დაძლევისა, გამარჯვე-
ბისა. სიკვდილისა არა ბნელად, არამედ
როგორც სიციხადიდან მხოლოდ ნათელში
გარდასასვლელ გზად ხილვისა.

... გულიანად დგას შუა ჰაერში თამა-
რის გაშლილ დროშასავით აზიდული უდ-
რეკობა და ანგარება მხოლოდ ზიგია ან
მოჭმიავია შიშში ვაზივით ჩაგრბილი
სიმამაცის ამოსატყორცნად... ბრძოლა
ყამია ნათქვამის საბოლოო აღსრულე-
ბისა... უბისს მიდის მარიაშობას, სახე-
ლოვანი, მრავალჭირნახული დავითი და
თბილ, დაღამულ ლიფსიტინან ნაპირებს
გამოსდევს ფეხშიშველი იქ, სადაც მდი-
ნარე ძირულას ჩხერიმელა უერთდება,
ურმებით გადაჰყავთ ჩქარ წყალზე ბავშ-
ვები, კაცები კი აკაპინებული კალთებით
მიტოპავენ ვინრო ფონს... კვერცხის-
გულისფრად ატალახებული გზა კლდე-
თავან მომსკდარი ხშირი ნაკადულები-
ვით ირეცხება, მწვანე, გრძელი ხავსები
გახვეულა ანკარა წვეთების ოხშივარში.
ტყეების წინ ალაგ-ალაგ შეფენილ გვიმრ-
ნარში თხელი ნისლი წაწლილია... იწყება
აღმართი. ქვევით, რიყეზე, გადაჩხილი,
სისხლიანი ხარი გდია, საავდრო მუქ-
ლურჯი ღრუბლები აგვისტოს მზეში იმ-
ლურევიან. შემდგომ ცამ საღამოსურად
გაიკრა ცეცხლისფერი და ციფმა ნიაგვაც
ზღვასავით შრიალ-შრიალით გადაუარა
ვერცხლისფრად აკიაფებულ ნაბლის ბე-
ბერ ტყეებს...

... – ჰქონდა მზე მოსანური და ან ჩვენ
უკვე გული გვაქვს მოსანური მხოლოდ... ■

კაცი სახლში მარტო იყო, ბოლოს სცემდა. ხან წიგნში ჩარგო თავი, მაგრამ აზრი გონებამდე ვერ მიიყვანა, დახურა და მაგიდაზე მიაგდო; შემდეგ სავარძელში გადაინაცვლა, ტელევიზორი ჩართო, რომელიღაცა მზარეული თევზის შეწვის მეთოდებზე საუბრობდა, სხვაგან გადართო – პოლიტიკოსები ექიმებოდნენ ერთმანეთს, ისევ გადართო – ოდესღაც ნანახ მხატვრულ ფილმს გადააწყდა. უკმაყოფილო ტელევიზორი გამოართო.

არ იყო კაცი განწყობაზე. შემოდგომა იწურებოდა, შესცივდა კიდეც. გაზის ლუმენის ისე შეხედდა, როგორც მტერს უყურებენ ხოლმე.

ფანჯარასთან მივიდა, გარეთ ქარი ფოთლების ჯარს მწყემსავდა, შუბლი მინას მიაღო და ლექსი ამოიბურცუნა:

„განწყობას უნდა აწყობა, აწყობა უდრის ამ წყობას, რომელიც უნდა განწყობდეს. და, თუ არ განწყობს ეს წყობა და, თუ ხარ მხოლოდ ნაწყენი, არ გესტუმრება განწყობა. განწყობას თუკი უნდისხარ, არ მოეკიდო უნდისად. ძნელია ყოფნა წყობაში თუ არ ხარ შენ განწყობაში. წყობამ თუნდაც რომ გაგარტყას სილა მარჯვენა ლოყაში, არ მიუშვირო მარცხენა, ასეა ამ ჩვენს წყობაში. ჰოდა, რად გინდა გარანტი?! არავინ არ ვართ მარადნი, მიიღე სილა ლოყაში, რომ იყო შენ განწყობაში“.

აღარაფერი უთქვამს, ხელი ჩაიქნია, ქურთუკი ჩაიცვა და სახლიდან გავიდა.

გაუყვია კაცი ქუჩას, რომელიც სადღაც დაიწყო და ბოლო არ უჩანდა. სიყვარული გულს ჩარაზული კარიები ევაჯგურებოდა, თითქოს გარეთ გამოვარდნა ენადა, დარდი კიდე გონებაში ბატონივით მიაღაჯებდა.

დარდს, გონების უკიდევანობის გამო, დიდი სივრცე ჰქონდა, ნაშუი დაკარგვოდა და თხემით ტერფამდე გათავზებულყო. ეს ისე, თორემ მას არც თხემი გაჩნდა და არც ტერფი, რაღაც უგვანო, უფერო, უღიმღამო ძახილის ნიშნად ქცეულიყო და, როგორც გითხარით, გონებაში უზნეოდ დაშლივინებდა. ანვა სხეულს, როგორც ლოდი, მის სიმძიმეს კაცის თავი მკერდამდე ჩაეკიდებინა და მძიმე-მძიმედ ძახილისნიშნობდა.

ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო, კოლოფს, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „მწვევლები კვდებიან ადრე“, გალიმებული და-აცქერდა, ჩუმად შეეკითხა – როდისო?, ამოაძვრინა ერთი ღერი, მოუკიდა, რამდენიმე ღრმა ნაფაზი ფილტვებში გადაუშვა და შევებით ამოისუნთხა. ძახილის ნიშანთა სიმძიმე ოდნავ მიუწყნარდა. ნაგვის ურნასთან შეჩერდა, სიგარეტი ბოლომდე ჩანვა და დაღეჭილი ფილტრი ურნის შიგთავსს მიუგდო.

კაცი ოჯახში იყო აღზრდილი. ისე არ იფიქრო, თითქოს იგი მარტო დარდმატარებელი ყოფილიყო, მას უყვარდა კიდეც, ოღონდაც სიყვარულის გულში ჩაუშვა ღუზა და მრავალწერტილობდა. იკითხავთ – სიყვარული როგორ მრავალწერტილობდა? როგორ და, ბევრი ვილადა და რაღაცა უყვარდა და თითოეული ეს გრძობა მისი სისხლის ტუმბოში წერტილებად დაბინავებულიყო. ყველაზე სათუთად, საფრთხილოდ და უანგაროდ შეიღებო უყვარდა. ამიტომაც ამ წერტილებს განსაკუთრებული ფერი ჰქონდათ, ისეთი ფერი, რომელსაც ჩვენს სამყაროში სადარი არ მოეპოვება, აქედან გამომდინარე, ვერც სახელს გეტყვით. ყოველი შეილთაგანი საგულისგულად უყვარდა და თითოეული წერტილი ძახილის ნიშნის სიმძიმეს ოდნავ ამსუბუქებდა.

კაცმა სიგარეტის კოლოფი ამოიღო, წარწერისთვის არ დაუხედავს, ერთი ღერი მექანიკურად ამოაცალა, მოუკიდა და ქუჩაში შეკრებილ მოლაქლაქე ნაცნობ-უცნობების ბირჟასთან შეჩერდა. მათი შეკრების მიზეზი მისთვის ცნობილი იყო, იცოდა, რომ ყოველი მათგანი სახლში უზომოდ მოწყენილი იყო და ქუჩაში, ბირჟაზე, იმიტომ გავიდა, რომ საკუთარი მელანქოლია გაეერთიანებინა და ერთ უზარმაზარ მოწყენილობად გადაექცია. ზოგი არავს ურახუნებდა, ზოგი მთავრობის მისამართით ბილნსტიყვაობდა, ზო-

გიც ფეხბურთსა და ტოტალიზატორის ფსონების გამაზვანე გამწარებული იზურჩყებოდა. ტრაფარეტული საღმისა და ზედაპირული მოკითხვების – როგორ ხარ? – კარგადა ვარ – გაცვლა-გამოცვლისა და რამდენიმე ღერი სიგარეტის ჩამორიგების შემდეგ კაცმა გზა განაგრძო.

დიახაც, როგორც გითხარით, უყვარდა მას და ეს სიყვარული მის გულში მრავალწერტილობდა. შეიღებდა და მათ ფერადოვნებაზეც გესაუბრეთ.

მშობლებიც სიტყვაუთქმელად შესაფერი ექმნა. უყვარდა ბევრი ვილადა და რაღაც ვილადაც მტრებიც ითვლებოდნენ, მათ სიყვარულს ფერი არ ჰქონდა; უბრალოდ, კაცი ქრისტიანი გახლდათ. რაღაცებში ბავშვობა, ბედნიერება, სამშობლო და სიყვარულის სიყვარული იგულისხმებოდა.

ბავშვობის წერტილი გამჭვირვალე, ოღონდაც ცისფერი ნისლივით იყო. ბედნიერებას ტკბილი მოგონების ფერი ჰქონდა და გალიმებული დაფარფატებდა სისხლის ტუმბოში. გულის ერთ-ერთ პარკუჭში გარდაცვლილ ახლობელთა სიყვარული გადანაცვლებულიყო და მონატრების ფე-

როგორია არა-ფერში?

რი დასდებოდა.

გაზაფხულს ჰგავდა სამშობლო კაცის, ფერთა გამაში ჩაძირულიყო წერტილი – სამშობლო, რომელიც პრიზმაში იკრიბებოდა და ტკივილის ფერში გარდაისახებოდა.

მკითხავთ, რა ფერი აქვსო ტკივილს? ჩამეცინება და გეტყვით, რომ სამშობლოდ დედის სახლის ტკივილი წერეთა აბლაბუდისა და ჩაძირული, გამქრალი ნატვრის ფერია.

შეჩერდა კაცი, არა, კი არ დაიღალა, უბრალოდ, გაბოლებდა მოუნდა. იფიქრებთ – სიგარეტისო, ცდებით, მკითხველო ჩემო: იგი საარჩევნო პლაკატის ნიშნად, საიდანაც მავანი (პიროვნებას მნიშვნელობა არა აქვს) შემოჰყურებდა, სახეზე მრავლისმეტყველი ღიმილი დაღვივით აჯდა, გვერდით კი დაპირებათა კორიანტელი ჩამოეკონწილეებინა. მავანს თვალის თვალში გაუყარა, შეპირებები რამდენჯერმე გადაიკითხა და მერამდენედ დაბოლდა. კაცს ესამოვნა, ცოტა ხანს თვალის დახუჭვა, ოცნებებში ისე ჩაიძირა, როგორც კენჭი ზღვაში, შემდეგ გზა ბარბაცით განაგრძო, გრძობდა, რომ საარჩევნო თრიაქი ძვალ-რბოლში გაუფხვდა. მირაჟი – დაბოლებდა მცირე დროით ეყო, რადგან ბოლო ოც წელზე მეტია, ხშირად ბოლდებოდა და მისმა ორგანიზმმა იმუნოტეტი გამოიმუშავა. ქუჩას გაუყვია, აღარ ბარბაცებდა, ისევ ამოიღო სიგარეტის კოლოფი წარწერით – „მწვევლები კვდებიან ადრე“, ნაცნობივით გაუღიმა, თვალის ჩაუკრა, ერთ ღერს მოუკიდა და ფილტვებში ნაფაზი ჩაიღრმავა. სიგარეტი თვალისდახამამებში ჩაიღია, მრავალი ნაგვის ურნიდან ერთ-ერთთან მივიდა, ფილტრი დააბინავა.

კაცი ოჯახში იყო აღზრდილი.

გზა რომ განაგრძო, რესტორნის წინ შეკრებილ საქმოსან-უსაქმურთა, დედის სახლის გამგებელთა ბრბოს გადაეყარა. ერთმანეთს დიდი მონინებით ემუსაიფებოდნენ, კომპლიმენტებს არ იმუზებდნენ, სარკესთან დამუშავებული ჟესტიკულაციითა და თავდაჯერებული, დინჯი ნაბიჯით მოძრაობდნენ. თავყრილობა ნეფე-პატარადალს ელოდა მატრებაზ ჩოხოსანთა ამაღლა იცავდა სკამოსანთა თითოეულ წევრს.

კაცი შეჩერდა, იქ მყოფთაგან უამრავს იცნობდა, მაგრამ დიდი ხანია ისინი მისთვის „მომსახურების ხონიდან იყვნენ გასული“, თავის დროზე პოლიტიკური თრიაქით დააბოლეს, შემდეგ ხელი დაუქნიეს, მიაძახეს – პაკაა და „მომსახურების ზონიდან გაუჩინარდნენ“, მაგრამ კაცს ისინი იმიტომ უყვარდა, რომ ქრისტიანი იყო. ზედმეტად აქტიურობდნენ მატრებაზი ჩოხოსანები, მორჩილად დაჰფოფინებდნენ ელიტად წოდებულ მამა-მარჩენალებს.

ცალკუთხეში ლაქია პოეტთა დასის ლექსის თქმას ერთმანეთს არ აცდიდა, მეორე

კუთხეში ასევე მომსახურე მომღერლები მარაოსა და გავის ქნევით სირინოზის ხმაზე ბედნიერებას (არა კაცისას, არამედ ნეფე-პატარადალს) უგალობდნენ.

„ჰამერის“ გრძელი, თეთრი ლიმუზინი გამოჩნდა, ყველას ყურადღება მტვერივით დააჯდა მანქანას. ერთ-ერთი მატრებაზი ჩოხოსანი კარს მივარდა, გამოხსნა და, ჰოი, საოცრებავ – თეთრ ჩოხაში გამოწყობილ, მაღალ, ანონოლავებულ ზანგ ნეფეს გზა დაუთმო. ნეფე შებრუნდა და პატარადალს გადმოსვლაში შეეშველა. ბედნიერი იყო ქალი – თეთრი გრძელი საქორწინო კაბა უხდებოდა დიაცს, სახეზე ღიმილი დასთამამებდა.

ჰო, მართლა, ნეფეს ნატო ერქვა (რას არ გაიგებ კაცი?!), პატარადალს – ქრისტიანე. წყვილმა ისტორიულ ცოცხალ ძეგლად ქცეულ მატრებაზ ჩოხოსანთა ხანჯლების ჭახაჭუხსა და ლაქია მომღერალთა – ვინსია-ვისია ქალი ლამაზის“ სიმღერაში ჩაიარეს და რესტორანში შეყვინდეს, უკან „მომსახურების ზონიდან გასული“ სკამოსნები მიჰყვინენ.

კაცი მიხვდა, რომ სიყალბის შემსრნე პერფორმერად გამხდარიყო, როგორც ხა-



ბიდან დაბოლებლები და ამ აღმოჩენით კმაყოფილს ჩაეღიმა.

ძახილის ნიშნებმა დრო იხელთეს და გონებაში უზნეოდ გაინავარდეს. დარდი გაუღდა, თავი დაუშვიდა და ნიკაპი მკერდზე მიადებინა. სისხლის ტუმბოში წერტილები აუციმციმდნენ, აგრძნობინეს, რომ მარტო არ იყო, ცოტათი შეერთდნენ კიდეც და ლოდის ნონა შეუმსუბუქეს. კაცს გულში დედის სახლი სტკიოდა, თურმე სიყვარულის ტკივილს დიდი ჯვარი ადევს.

ჯიუტი იყო კაცი, არ შეჩერდა, ნაბიჯს უმატა. მოულოდნელად მის წინ უზარმაზარი კარი აღიმართა, გაცვებული მიუახლოვდა, გამოხსნა და ზღურბლს გადააბიჯა. მოხვდა კაცი გონების არეალზე უფრო დიდ სივრცეში, სადაც შეიგრძნო, ძახილის ნიშნებმა როგორ მიატოვეს. ღრუბელივით გამსუბუქდა და რაღაც ეთერულ სხეულად იქცა. წერტილებმა მიატოვეს გული, მაგრამ იგი არ მიუტოვებიათ, გვერდში ამოუდგნენ და ფერად ციციანთელებად თავს დასტრიალებდნენ, ხოლო გარდაცვლილთა პარკუჭიდან განთავსებული სასვენი ნიშნები ისეთივე ეთერულ სხეულებად იქცნენ და კაცის თანამგზავრები შეიქმნენ. ამ განზობილებში მხოლოდ სიყვარული დღესასწაულობდა. ჰაეროვნება გახდა კაცის მდგომარეობა, ოღონდაც სიყვარულში ჩაძირული ჰაეროვნება, მას აღარსად ეჩქარებოდა და მრავალწერტილთან ერთად იყო არა-ფერში.

– მოხვედი? მოხვედი? მოხვედი? – პეპლებივით დაფარფატებდნენ ჰაეროვანი არსებები და ფერადი ციციანთელები.

კაცი ცხადად ხედავდა, რომ „მკვდარი ცოცხალი იყო და უზადრუკი – უმდიდრესი“. ისიც შეუერთდა თანმხლებ გუნდს და მათთან ერთად არა-ფერში დალივლივებდა. ძალიან შორს ნათება შენიშნა, განმარტოვდა და მიმართა:

„მოვედ ნათელ ქუმმარტო, მოვედ ცხოვრებაში საუკუნო, მოვედ საიდუმლო დაფარულო, მოვედ უპოვარებისა საუქჯუო, მოვედ საგანო გამოუთქმელო, მოვედ ხატო განუჭვრეტელო, მოვედ სიხარულო განუწყვეტელო, მოვედ ნათელი მიუჩრდილებელო, მოვედ იმედო გადამრჩენელო, მოვედ აღმოყვანებო დაცემულთაო, მოვედ აღდგომო განსვენებულთაო, მოვედ ძლიერო!“³

ანაზად რაღაცა ძალამ მტვერსასრუტით შეინოვა და კარიდან გამოაძევა. კაცმა თვალის გაახილა, ტროტურზე ეგდო. მის სხეულს თეთრხალათიანები შესეოდნენ. ექიმებს, როგორც მკვლევებს, ისე შეხედა.

– დავიბრუნეთ, დავიბრუნეთ! – ერთმანეთს ულოცავდნენ.

კაცმა იგრძნო, ძახილის ნიშანთა არმადა როგორ ჩაუსახლდა გონებაში, როგორ დაუშვიდა თავი, ისიც იგრძნო თუ სისხლის ტუმბოში როგორ შეფარფატდნენ ერთგული წერტილენი და თავიანთი პარკუჭები დაიკავეს.

წერტილი დედის სახლი ისევ ასტკივდა და გულს ჯვარად დაედო. კაცმა სინანულით ამოიჩურჩულა:

– ეჰ, რა კარგი იყო არა-ფერში... სამწუხაროდ, მისი არავის ესმოდა. ■

¹ ლექსები ეკუთვნის ლალი კეკელიძეს.
² ნანყვეტი ყოვლადწმიდა სამების ლოცვიდან

სერბი ავალიანი

მოგონებანი გარდასული ცხოვრების

ამ წერილის დაწერა შთამბავთა ცნობილი ქართველი მსახიობის გოგი ხარაბაძის მემორუალმა წერილმა, რომელიც ამ წლის 22 ნოემბერს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ დაიბეჭდა. მის მიერ აღწერილი თბილისი, განსაკუთრებით რუსთაველის გამზირი ანუ „გოლოვინის პროსპექტი“ – ასე უწოდებდნენ მას XIX საუკუნის 30-40-იანი წლების საქართველოს მთავარმართებლის, (გოლოვინის პატივსაცემად), მაშინ გაცილებით უფრო ეროვნული და შთამბეჭდავი ჩანდა, ვიდრე ახლანდელი ფეხმსვლური შენობებით დამშვენებული გამზირი.

როგორც გ. ხარაბაძის წერილიდანაც ჩანს, რარიგ მძიმეც უნდა იყოს წარსული წლები, ხანდაზმული ადამიანის ცნობიერებაში იგი იდეალურად გამოიყურება. ეს განცდა მეც მახლავს. ახლა, როდესაც, წლებით დამძიმებულს, მიღებული მაქვს ათასგვარი ნოდება, ხარისხი, ორდენები თუ მედლები; ვარ ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეროვნული პრემიის ლაურეატი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ევროპისა და ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოებებისგან მინიჭებული მაქვს ათასგვარი საპატიო ნოდება და ა. შ. ყველაფერ ამას დიდი სიამოვნებით გაცვლიდი ახალგაზრდობის იმ წლებზე, როცა არაფერი მებადა, მაგრამ მომავალს მაინც დიდი იმედით შევეყურებდი.

ჩემს მესხიერებას შემორჩა ის მძიმე წლები, როცა დიდი ომი მოგვიხლოვდა. რაჭაში, სადაც ჩემმა ბავშვობამ გაიარა, კავკასიონიდან ისმოდა ზარბაზნების ქუხილი; ბავშვებსა და უფროსებს აირწინაღებს გვირიგებდნენ და პარტიზანული ბრძოლებისთვის გვაზამდებდნენ. შიმშილი, სიცივე, შიში და ომში დაღუპულთა ოჯახების გლოვა ყოველდღიური ამბავი იყო.

ასეთ მძიმე წლებში ვსწავლობდი სოფლის საშუალო სკოლაში, რომელიც 1944 წელს დავამთავრე. მაშინ უკვე გადაწყვეტილი მქონდა ფილოსოფიის შესწავლა, რომლისადმი ინტერესი ჩემში, ერთი მხრივ, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის, პროფესორ მოსკოვიცის გოგობრივი მიერ 1941 წელს გამოცემულმა ნიგმა „ფილოსოფიის ისტორია“ გააღვიძა, ხოლო, მეორე მხრივ, ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის საველი წერეთლის პიროვნებამ. მაშინ ს. წერეთელი ჯარში იყო განწვეული, მაგრამ მისი დეიდა, რომელიც ავალიანზე იყო გათხოვილი, ხშირად მიამბობდა მისი დისშვილის არაჩვეულებრივ ნიჭსა და განსწავლულობაზე.

1944 წელს მარტოხელა დეიდა (მამა ჯარში იყო განწვეული, საიდანაც აღარ დაბრუნებულა) თბილისში ჩამომიყვანა და მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად უნივერსიტეტამდე მიმაცილა, ხოლო თვითონ უკან გაბრუნდა უპატრონოდ მიტოვებული ჩემი პატარა დედამამიშვილების მისახედად. დროებით ბიძასთან დამაბინავა პლენანოვის გამზირზე. გამოცდები წარჩინებით ჩავაბარე და ისტორია-ფილოსოფიის ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი (ფილოსოფიის სპეციალობით).

მართალია, ომი მაშინ უკანასკნელ სტადიაში შედიოდა, მაგრამ თბილისში მაინც მძიმე ყოფა იყო, განსაკუთრებით ჩემთვის – ახალბედა თბილისელისთვის. შიმშილსა და სიცივეს უზინაობა ემატებოდა – კარიდან კარამდე ნათესავეებთან დროებითი თავშესაფრის ძიება. ნახევარი კილოგრამი შავი პური (თანაც პურის გამყიდველი წონაშიც გვატყუებდა) კერძის გარეშე ვერაფრით დაგანაყრებდა.

მაშინ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (რომელიც გარედან ყავისფერად იყო შეღებილი მოსალოდნელი საჰაერო თავდასხმის თავიდან ასაცილებლად) რექტორი იყო ცნობილი მეცნიერი, დიდი პატრიოტი, გარეგნულად მკაცრი (რაც იმ წლებში უნივერსიტეტში უთუოდ საჭირო იყო), მაგრამ ძალიან გულთბილი და ცოდნის პატივისცემელი ნიკო კეცხოველი. ვერაინ გაბედავდა უნივერსიტეტში ქუდა-დახურული შესვლას, თვითონაც კარგბ-



შივე მოიხდოდა ქუდს და თავშიშველი შემოდიოდა (მელოტი იყო).

პირველი ლექცია ანტიკურ ფილოსოფიაში წავიკითხე მაშინ უკვე ხანდაზმულმა მეცნიერმა, ბერძნული, ლათინური, ფრანგული, გერმანული და რუსული ენების ბრწყინვალე მცოდნემ, ანტიკური ფილოსოფიის ისტორიის დიდმა სპეციალისტმა სერგი დანელიამ. მისმა საოცრად ნათელმა აზროვნებამ ცოდნას-მონყურებულ სტუდენტებზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

ასევე შთამბეჭდავი იყო კ. ბაქრაძისა და შ. ნუცუბიძის ლექციები. ბატონ შალვას პიროვნებაში გაერთიანებული იყო დიდი ორატორისა და ასევე დიდი სწავლის თვისებები. მაშინ უნივერსიტეტის პროფესორა, ისევე, როგორც მთელი საზოგადოება, დღენიდაც ტერორის ქვეშ იმყოფებოდა; მოსე გოგობერიძე უკვე დაპატიმრებული იყო, კოტე ბაქრაძეს პოლიტიკური ბრალდებებით სადოქტორო დისერტაცია ჩაუტყვევდა, შ. ნუცუბიძე პატიმრობიდან ორიოდე წლის წინათ განთავისუფლდა. როგორც თვითონ გვიამბობდა, სიკვდილმისჯილთა კარცერიდან მის მიერ რუსულ ენაზე თარგმნილმა „ვეფხისტყაოსანმა“ იხსნა. თარგმანი სტალინს წაუკითხავს, მოსწონებია და ბატონი შალვა კრემლში მიუწვევია; გამოთხოვებისას კი შუბლზე უკოცნია და პატიმრობიდან გაუთავისუფლებია. როცა ბატონ შალვას უსაფუძვლოდ აკრიტიკებდნენ, იტყოდა: არ შევარცხვენ იმ შუბლს, რომელზეც სტალინმა მაკოცაო.

როცა მე უნივერსიტეტი დავამთავრე და ფილოსოფიის ინსტიტუტში მიმინვიეს უმცროსი მეცნიერი მუშაკის თანამდებობაზე (1949), მაშინ შ. ნუცუბიძე ინსტიტუტიდან გაძევებული იყო კოსმოპოლიტიზმის ბრალდებით. მაშინ ინსტიტუტში მალე დააბრუნეს, თუმცა სტალინის გარდაცვალების შემდეგ ძველი პოლიტიკური ბრალდებები გაუხსენეს და კვლავ გააძევეს ფილოსოფიის ინსტიტუტიდან, გარიცხეს მეცნიერებათა აკადემიიდან, აუკრძალეს ლექციების კითხვა უნივერსიტეტში. იგი ყოველ დღეს დაპატიმრებას ელოდა, მაგრამ ყველაფერს შეგუებული იყო. ჩვენ – ახალგაზრდებს – ერთხელ გვითხრა: „დახვრეტა არც ისე საშიშია; კედელთან მიგაყენებენ და ერთ წუთში ყველაფერი დამთავრდება“. მაგრამ, საბედნიეროდ, ვითარება მალე შეიცვალა; ცნობილი გახდა, რომ ბელგიელმა მეცნიერმა ჰონიგმანმა დაადასტურა შ. ნუცუბიძის თეორია მეხუთე საუკუნის ქართველი მოღვაწის პეტრე იბერის ავტორობის შესახებ ე.წ. არეოპაგიტული ნიგნებისა, რომელმაც შუა საუკუნეებში დიდი გავლენა მოახდინა მთელი დასავლეთის ფილოსოფიურ აზროვნებაზე. მე თავი ბედნიერად მიმაჩნია, რომ თითქმის მთელი ოცი წლის განმავლობაში მქონდა ნუცუბიძისთან ერთად მეშუაგა.

სპეციალური აღნიშვნის ღირსია გამოჩენილი ქართველი ლოგიკოსის, დიალექტიკური ლოგიკის კურსის ავტორის, დიდი ფილოსოფიური ერუდიციის მქონე მეცნიერის საველი წერეთლის ფილოსოფიური მოღვაწეობა. იგი 1941-1946 წლის თებერვლამდე ჯარში იმყოფებოდა, ხოლო იქიდან კვლავ უნივერსიტეტს დაუბრუნდა და იმთავითვე ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანად და ფილოსოფიის

ისტორიის კათედრის გამგედ დანიშნა, ხოლო ორი წლის შემდეგ, როცა პეტრე შარია სტალინის რისხვის მსხვერპლი გახდა და ფილოსოფიის ინსტიტუტის დირექტორობიდან მოხსნეს, მის ნაცვლად საველი წერეთელი დანიშნეს. მე ბევრი რამ დამინერია საველი წერეთელზე, მათ შორის მოზრდილი მონოგრაფია, ამიტომ მასზე აქ მეტს არაფერს ვიტყვი გარდა იმისა, რომ თავისი ღრმა ფილოსოფიური ერუდიციით იგი უთუოდ დამაშვენებდა ევროპისა და ამერიკის ნებისმიერ უნივერსიტეტს. ბედნიერი ვარ, რომ ვიყავი მისი უახლოესი მოწაფე, მისი ყველა ნიგნის (გარდა პირველისა) ფაქტობრივი რედაქტორი. უკანასკნელი ვებერთელა მონოგრაფია „დიალექტიკური ლოგიკა“ (1965), რომელშიც კონცენტრირებულია მთელი მისი გამოკვლევები დიალექტიკური ლოგიკის დარგში, კერძოდ, უსასრულო დასკვნის თეორია, ჩემი უშუალო რედაქციით დაიბეჭდა ავტორის გარდაცვალებამდე ერთი წლით ადრე.

ჩემი თაობის სტუდენტობას თბილისი ფანტატიკურად უყვარდა. ბ.ნი გოგი ხარაბაძის მიერ ასე საინტერესოდ აღწერილმა რუსთაველის გამზირის პეიზაჟმა სურვილი აღმიძრა, მის ნათქვამს რამდენიმე შტრიხი დავუმატო. ახლანდელ თავისუფლების მოედანს მაშინ ბერიას მოედანი ერქვა, თუმცა არც ძველი სახელწოდება „ერევანსკი“, ანუ ერევნის მოედანი იყო დავინებებული, რომელიც მას XIX საუკუნეში ეწოდა 1823 წელს რუსთა და ქართველთა ჯარების მიერ ერევნის აღებრივ აღსანიშნავად. ეს მოედანი ქალაქის მშენებელი იყო, თუმცა იგი ახლანდელი პომპეზურობით არ გამოირჩეოდა. ქართული სტილით აგებული შენობები ერთობ ამშვენებდა თბილისის გულისგულს.

ქაშუეთის ტაძრის წინ რამდენიმე ერთსართულიანი სახლი იდგა. ერთ-ერთ ოთახში ბუკინისტური მალაზია იყო განთავსებული, რომელშიც ჩემს დროს ერთი ხანდაზმული გერმანელი ებრაელი ბუკინისტი ვაჭრობდა. იგი საფუძვლიანად ერკვეოდა ძველი ნიგნების ღირებულებაში და გარკვეული წარმოდგენაც ჰქონდა მათ შესახებ. მაშინ ნიგნები იშვიათად იბეჭდებოდა და ჩვენ ნიგნების შესაძენად ბუკინისტებს მივმართავდით. კვირში ორ-სამჯერ შევივლიდი ბუკინისტთან, მართალია, ნიგნებს ყოველთვის ვერ ვყიდულობდი ჩემი ერთობ მოკრძალებული სტიპენდიის გამო, მაგრამ ისე ხშირად მივდიოდი ხოლმე, ხანდაზმული ბუკინისტი კარგად მცნობდა; ისიც იცოდა, რომ მე მაშინ გერმანულ ენას ვსწავლობდი და ხანდახან გერმანულადაც კი გამესაუბრებოდა. მისგან 60 მანეთად ვიყიდე სპინოზას „ეთიკა“, ცოტა უფრო ძვირად – კანტის „წმინდა გონების კრიტიკა“. ყველაფერი ეს სტიპენდიის ხარჯზე ხდებოდა; საჭმელს ვიკლებდით და ნიგნებს ვყიდულობდით. 1950 წელს, როცა უნივერსიტეტის ახლად კურსდამთავრებული უკვე ფილოსოფიის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი გავხდი, ხელფასი კი 83 მანეთი მქონდა, მივლინებით მოსკოვში გამგზავნეს, საიდანაც ბუკინისტურ მალაზიებში ნაყიდი ერთი დიდი ჩემოდანი ნიგნები ჩამოვიტანე. ერთხელ ზემოხსენებულმა თბილისელმა ბუკინისტმა ერთი ნიგნი შემომთავაზა გერმანულ ენაზე, გოთური შრიფტით დაწერილი. მე მაშინ გერმანულ ენას ინტენ-

სიურად ვსწავლობდი და გოთურ შრიფტს არა მარტო იოლად ვკითხულობდი, არამედ ვწერდი კიდევ. შემოთავაზებული ნიგნის ყიდვაზე ყოყმანი დავინყე ფულის უკმარობის გამო. მოხუცმა ბუკინისტმა გერმანულ ენაზე მითხრა: „Das ist hochste interessante Buch“ (ეს უაღრესად საინტერესო ნიგნიაო). ეს იყო „ათას ერთი ღამე“, რომელიც, ფაქტობრივად, იძულებით ვიყიდე. შემდგომ წლებში ამ ნიგნიდან ჩემს პატარა შვილებს ქართულ ენაზე ზღაპრებს ვუკითხავდი.

ბატონი გოგი იგონებს მესაათე „პაველ ბურეს“, რომლის სახელსწრთო ლაიდიის წყლებს მახლობლად იყო მოთავსებული. მე მას კარგად ვიცნობდი ჩემი შვეიცარიული ჯიბის საათის წყალობით, რომლის კორპუსი ორმაგი სახურავითურთ ოქროსი იყო. როცა პირველად შევხვდი, მესაათე უკვე საკმაოდ მოხუცი იყო. გვარი აღარ მახსოვს, ქართველი კაცი იყო. როცა ვკითხე: „რატომ გქვიათ პაველ ბურე?“ მან მიპასუხა: ახალგაზრდობის წლებში პეტერბურგში პაველ ბურესთან ვმუშაობდიო. ეს, ცხადია, რეკლამა იყო. მას საათები შევიღებდი უყვარდა. როცა ჩემი საათი ნახა, გაიღიმა და თითქოს კიდევ მოეფერა. „იცი, ეს რა არის? – მითხრა მან, – შვეიცარიული მერვე თაობის საათია – „პა, მოხერი“, რომელიც თავისი ხარისხით პაველ ბურეს საათს არათუ არ ჩამოუვარდებდა, არამედ აღემატება კიდევ“. საათის კორპუსი გახსნა, მექანიზმი ამოიღო, კორპუსი კი მომანოდა: ამის შენახვას ვერ ვინდობდი. მე ვკითხე: სხვა ოქროს საათები ხომ გაქვთ სახელსწრთო-მეთქი. ეს სხვა ოქროაო, მიპასუხა. საათის მექანიზმი გასანმენდად დაიტოვა. რამდენიმე წლის შემდეგ მესაათეც გაქრა და მისი სახელსწრთო. ჩემი საათი კი შვილიშვილს ვაჩუქე, რომელიც ახლა გერმანიაში ცხოვრობს.

რუსთაველის გამზირის ბოლოს ზემელზე (სახელწოდება „ზემელი“ ამ ადგილს შეერქვა გერმანელი აფთიაქარ-პროფიზორის გვარისგან, რომელსაც წინათ ამ ადგილზე აფთიაქი ჰქონია) ქუჩის საათი იყო, სადაც შეყვარებული წყვილები იყრიდნენ თავს.

ახალგაზრდობა კინო-თეატრის ხშირი სტუმარი იყო. განსაკუთრებით გვიტაცებდა დიდი მსახიობების – ხორავას, ვასაძის, ზაქარაიძის, ანჯაფარძის, თაყაიშვილის, ჭავჭავაძის, ყორყორიანის, ჭაბუკიანის, ამირანაშვილის, ანდლელა-მისა და სხვათა სახელები. რამდენჯერმე მინახავს „ოტელიო“, „ურდელ აკოსტა“, „ცხვრის წყარო“, ოპერაში ბალეტი „ოტელიო“ ჭაბუკიანის შესრულებით, ვერდის ოპერები და ა. შ. სამწუხაროდ, ამ დონის დრამატული ნაწარმოებები ჩვენს თეატრებში აღარ იდგმება. მართალია, ხანდაზმულობას წარსულის გაიდეალება სჩვევია, მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ბევრი რამ მაშინ უკეთესი იყო, ვიდრე ამჟამად. ჩვენი მომავალი თაობაც, ალბათ, ასე იტყვის, მაგრამ, ღმერთმა ნუ ქნას, მატერიალური და სულიერი ცხოვრების უკუსვლა. ისტორია ყოველთვის წინ მიდის, მიუხედავად ცალკეული ზიგზაგებისა. ■

ძვირფასო სტუმრებო, რა შემოიძლია მოგიყვებოთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით? ვერაფერსაც ვერ მოგიყვებით სახეიროს. მატარებლის ბორბლებში ჩაყვარდნის პირობები რომ გადამერჩინა ან აქვითინებული მშობლებისთვის გატაცებული ქალიშვილი ხელუხლებლად დამებრუნებინა, იცოცხლე, გმირობად ჩამეთვლებოდა, ამ შემთხვევამ კი, გმირობას არა და უბედურებას ნამდვილად გადამიკიდა.

ხუთი-ექვსი წლის წინანდელი ამბავია. ჯერ კიდევ ახალბედა, გამოუცდელ თანამშრომლად ვითვლებოდი რკინიგზის მილიციანში. იმ დღეს ერთი ვაგონი კარტოფილი ჩამოვდგა უკრაინიდან. ავონით და რას ვხედავთ! ზედნადებთან შედარებით, მთელი სამასი კილოგრამი აკლია!

მირეკავენ კიდევაც და ამ ფაქტს მატყობინებენ. მოვყნოსე – კი, ნამდვილად მიტაცების სუნი ტრიალებს.

– კარტოფილი რა უყავი-მეთქი, – ვეკითხები გამყოლს, რომელსაც შემდგომ „დამნაშავედ“ მოვიხსენიებ ხოლმე.

– მივაყიდეთ, – მომიგება ყოვლად თავხედურად და დაუფარავად.

– რას ქვია, მიაყიდე! სახელმწიფო კარტოფილი, რა, მამაშენის ქონება გეგონა?!

დუმს. პასუხის გაცემას არ აპირებს. ვუსინჯავ საბუთებს – ყველაფერი რიგზეა. ეგ არის მხოლოდ, რომ ექვსი თვის წინათ გამოსულა ციხიდან. გატყობობია, რაღა! ერთხელ იჯდა, ახლა მეორედაც დაჯდება. დიდი ამბავი! ასეთი ტიპი კი ჩვენებურად, რკინიგზის მილიციის წინაშე, რეციდივისტია, ყველაფერზე რომ ანერს ხელს. ასეთ, უკაცური უსული პასუხია და, ადამიანს, კარტოფილი კი არა, თივა რა არი, თივაც არ უნდა ანდოს კაცმა. ასეთი თივასაც მიაყიდის ან, სხვა თუ ვერაფერი მოუხერხა, ხანძარს მაინც გაუჩენს. იმ პირველად ენდნენ, ალბათ, და გაამოუშვეს; გეხსოვებათ, კამპანია იყო ასეთი: ნდობა ყოფილ დამნაშავეებს შემდგომი გამოსწორების მიზნით!

მაგრამ, ჩემო ძვირფასო სტუმრებო, გულზე ხელი დავიდოთ და ეს კამპანია ნაწილობრივ მცდარი გახლდათ. მაგალითად, თუ ადამიანს გამოსწორება სურს, თავად გამოსწორდება. მაგრამ, შესაძლოა, არც გამოსწორდეს. ხოლო, თუ ადამიანს გამოსწორება არ სწადია, თავის დღეში არ გამოსწორდება!

იმ ჩემ დამნაშავეს, ვერ გეტყვით, რისი იმედი ჰქონდა. იქნებ, ასეც ეგონა, ამ პატარა სადგურზე სასწორი არ ექნებათო; ან, თუ ექნათ, მწონავს რუსული ნაღდად არ ეცოდინებო. ასე თუ ეგონა, ძალიანაც შემცდარა, რადგან წერა-კითხვის მცოდნე კადრები გაგვანჩინა და, სხვათა შორის, სასწორი, სატვირთო სადგურებში კი არადა, ნებისმიერ ჩაის პლანტაციებში უდგათ, რადგან ყოველ მკერფავ ქალს სურს, იცოდეს, რამდენი ჩაი ანაბარა იმ დღეს სახელმწიფოს, საბოლოოდ კი – რამდენი გამოიმუშავა.

ერთი სიტყვით, მოწმეების თანდასწრებით ჩამოვართვი საბუთები, ფული, რომელმაც მამინდელი კურსის მიხედვით ათას რვაასი მანეთი შეადგინა, და ვეუბნები, გამომყე-მეთქი. ნამომეშავე.

სინამდვილეში, მე ოდნავ უკან მივყევი და ფული ხელში მაქვს ჩაბლუჯული. რა ჯახანაბად მინდა ჯიბეში სახელმწიფო ფულები, კომენდატურა აქვე, გვერდზეა-მეთქი, გავიფიქრე. იქ, ჩვენივე, ყველაფერი გვერდითა გვაქვს, რკინიგზის მილიცია ყოველთვის ამისთანა ადგილზეა ხოლმე. მივდივართ. გადავჭრით აგერ ვაგზლის მოედანს და მორჩა, ადგილზე ვიქნებით.

მიუვახლოვდით იმ ფარდულს, რომელიც, ბაქანზე თუ გადისხარ – მარჯვნივ არის, ხოლო, თუ ბაქანიდან გამოდინართ, მარცხნივ იქნება, და დამნაშავემ ანაზღად ფეხი მიადგა. ასწია თავი და მეუბნება:

– შეიძლება, წყალი დავლიო?


მივიხედ-მოვიხედე, კაციშვილი არ ჩანს. ერთი მხრივ, ვხვდები, წესდებებს რომ ვარდევ, მაგრამ, მეორე მხრივ, ალმური ასდის მთელ ვაგზალს და შემეცოდა ის მუდრეგი. დამნაშავე კია, მარა ადამიანი მაინც, ციხეში რომ შეაგდებენ, სიროფიან წყალს კი არა, უბრალო, გაზიანსაც არ დააღვივებენ-მეთქი.

– კაი, დალიე, მიდი.

ფული კი, სხვათა შორის, არა აქვს. საიდან ექნება, მისი ფულები აგერ მაქვს ხელში მომუჭული, მაგრამ სახელმწიფო ფულს კაიკაც ვერ მოვაკლებ, რასაკვირველია. ამოვიღე საკუთარი ჯიბიდან ხურდა და ვეუბნები:

გამოჩენილი აფხაზი მწერლის, ნობელის პრემიის მარშანინდელი ნომინანტის, ფაზილ ისკანდერის გახმაურებული მოთხრობა „ხელჩხინკა“ ჯერ კიდევ 1971 წელს ვთარგმნე და იმავე წელს გამომცემლობა „ნაკადულმა“ ერთი მოთხრობის სერიით გამოსცა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მომავალ წელს გამომცემლობა „უნივერსალს“ გათვალისწინებული აქვს მწერლის მოთხრობების კრებულის გამოცემა.

ვთავაზობთ ერთ მოთხრობას ამ კრებულიდან.



ყმაღური დამნაშავე

– დალიე, სანამ ვინმე გამოჩნდებოდა.

დავდე ხურდა დახლზე და რამდენიმე ნაბიჯით გვერდზე გავდექი. დახლში ერთი მოზუხული მამაკაცი იდგა. პაპანაქება გახლდათ და არც ვაჭრობა დულდა მაინც-დამაინც. ამიტომ ისე დაბჟიჭა რულმორეული თვალები, ეტყობოდა, ძლივს არჩევდა საგნებს. იქ ასეა, მატარებელი რომ ჩამოვდებო, გიყვარდეს ვაჭრობა! დანარჩენ დროს კი ზის უსაქმურად, ცალი თვალით ბუზებს უდარაჯებს, ცალი კი მილუღული აქვს. ამა-სობაში, დაუსხა იმ ძილვიძარამ სიროფიანი წყალი და ესეც ყლურნავს გემოიანად. წყალი მეც მომიწინა, მაგრამ რა ვქნა, უნდა მოვიტომინო. ისედაც ვარლვევ წესდებებს და, კაი ბიჭი ხარ, დამნაშავესთან დალიე! შეიძლება, ძვირად დამიჯდეს და იმიტომ.

– ვახტანგ, ძვირფასო, – მეუბნება ამ დროს ის თვალბდაბჟიჭილი, – ძმასავით გათხოვ, მიმიღევენ დარაჯს თვალი – ლამაზობით სძინავს თუ ლეძინავს?

– რა თვალის დევნება უნდა, ისედაც ვიცი: კარგ ამინდში სძინავს, ცუდში – არა.

– რაზეა, ნეტა, დამოკიდებული? – მეკითხება გაკვირვებული.

– რაზე და თავშესაფარზე. თუ კარგად შეაფარა თავი, ავდარბივ სძინავს.

ამ ლაპარაკში რომ ვართ, ვხედავ, ჩემი დამნაშავე რაღაც ჩაფიქრიანდა. ჩვენი მუსაიფი არ ებიტნავა თუ გუშავისა შეშურდა, დღემდე ვერ მივხვდარვარ. ვატყობ, ჩაფიქრიანებულია და მეტე არაფერი. რა ვიცოდები მე ბოთემ, რომ, დამნაშავე როდესაც ფიქრებშია წასული, მამასადამე ახალი დამნაშაულის გეგმას ადგენს.

და აი, დალია წყალი და ჭიქა დახლზე დადო. გამყიდველი ჭიქას სწვდა და ოდნავ შებრუნდა მხარმარცხნივ. კაცმა რომ თქვას, სარეცხელსაც უკულმართად დგამენ. მე რომ მკითხონ, პირდაპირ დახლზე, ცხვირწინ უნდა ედგას, რომ ვერაფერი აანაპნონ.

აგერ არ გეტყვით? როგორც კი გამყიდველი ზურგით შებრუნდა, ებღღვნა ის მობელძალი დახლზე დადებული დანას და პირდაპირ ჩემზე აიღო გეზი! მოდის, მაგრამ აღარ იკითხავთ – როგორ?! გარეული ტახი რომ გინახავთ, ისეა დაძვარული. იმსიგრძე დანით, ძეხვსა და პლავას რომ ჭრიან, კაცის დაჭრაც არ არის ძნელი.

აუჰ, შენი... მე აგერ სიროფიანი წყლით გიმასპინძლებდი, საკუთარი ფულით ვარლვევ წესდებებს და შენ დაკვლას მიპირებ?! მერე, შენ მირჩენ შეილებს, არა?

ხედავთ, ძვირფასო სტუმრებო? კაცს სიკეთე ვუყავი, ადამიანურობა გამოვიჩინე და ჩემივე სიკეთე არ მღუპავს?!

დავიხიე ნაბიჯით უკან. ვაგიგონიათ? მოდის, მასწორებს. კიდევ გავდგი ნაბიჯი უკან – მოდის პირდაპირ. ეს ოხერი ფულიც მუჭში მაქვს და ხელს მიშლის. გადაყარე, რა! თავს უშველე, რა! არ შემოიძლია, მთავრობის ფულია, ჩემი ხომ არ არის?!

ამასობაში კედელს მივეკარი ზურგით. ახლა რაღას შევბი! ბაქანი ვაგზლის მოედანს სწორედ ამ კედლით ესაზღვრება. ხანდახან ამ კედელს ბალუსტრადასაც ეძახიან. არ ვიცი კი რატომ, არავითარი რიკულები არა აქვს და მაინც ეძახიან.

ძლივს მოვასწარი, დავაძრე რევოლვერი და სწორედ ამ დროს მხია დანა. ხომ არ გგონიათ, უბრალოდ მომიქნია? რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გამომიქანა. თუმცა, რო-

გორც ჩვენში იტყვიან, არც მე ვმდგარვარ პირდაპირი – ნამის უსწრაფესად გავდგი ნაბიჯი გვერდით, თორემ, დედას გეფიცებთ, ჩემი ორი შვილი მომიკვდეს, ისე აძგერა დანა კედელს, ნაპერწკლები დასცვივდა. გატეხილიყო მაინც ის პატრონსაკედავი!..

რევოლვერი უკვე ხელთა მაქვს, მაგრამ ჩახმახის შეყენება არ გინდა? ფული მიშლის ხელს. გადაყარე, რა! თავს უშველე, რა! ვერ ველები. ჩემი ხო არაა, მთავრობისა! ისე, რომ იცოდეთ, ყველანაირი უბედურების სათავე ფულია. ეს უმადური კიდევ, დამნაშავეზე ვამბობ, არ მეშვება. როგორც იქნა, პატივცემულო სტუმრებო, რევოლვერი ცალი ხელით ბარბაქო მივიბჯინე, მეორეთი ძლივძლივობით გადმოვნიე ჩახმახი და, როგორც კი გავსწორდი, დანა ჩემ ცხვირწინ აღმოჩნდა; თან მყრალი, თვითნახადი არაყით გაჟღენთილი სუნთქვა მესმის, რომლის მსგავსსაც, იმედია, ჩემ სუფრაზე ვერავინ მოესწრება.

ბათქ! ბათქ! ზედ ქორის თავზე გადაუფრინა ტყვიებმა ისე, რომ თმა გადაუნუნა. მაინც არ ჩერდება შობელძალი! ჩანს, გადაწყვიტა: თან რომ გადავყევი, ერთ მილიციელს მაინც ნავიძღვანიებო!

მილიციელი კი რა შუაშია, ძვირფასო სტუმრებო! კაცი სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებს თავისთვის და, ჯერ ერთი, თუ პატიოსანი ხარ, უნდა დამეორჩილო, მერე მეორეც, პატიოსანი თუ ხარ, მილიციელი რაღად გიდავს მცველად?!

რაღა უნდა მექნა? ავიღე და მესამე ტყვია პირდაპირ ვახალე, თან რევოლვერის ტარიც ვკარი გულგვაშში. ნაიქცა. თქვენ ღმერთმა გამოართო და, თქვენც მტერს, ის რომ ნაიქცა!

მე კი ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ჩვენი სოფლიდან რკინიგზის სადგურამდე მთელი გზა ურემში ვყოფილიყო შემბული... ჩემო ძვირფასო სტუმრებო, კაცის მოკვლაზე საშინელი არაფერი ყოფილა, თუ, რასაკვირველია, ადამიანი ხარ და არა ღორი.

სული მოთქმაც ძლივს მოვასწარი, ხალხი გარს შემოგვერტყა. უმეტესად, ჩამოსულები. რა მესმის! სწორედ ის არამზადები მაყენებენ შეურაცხყოფას: თან ადამიანი მოკლო, თან ფულიც აართვაო და, რა ვიცი, რა გესალს ამ მანთხევენ! ეროვნული ღირსებაც კი შემოიგინეს. თავისი ჭკუით, ისე გამოჰყავთ, თითქოს ასეთი რამ მარტო სამხრეთ კავკასიის შავიზღვისპირეთში შეიძლება მოხდეს და ცენტრალურ შავიზღვისპირეთში არაფრის დიდებო! ერთი სული მქონდა, მეკითხა: კი მაგრამ, ეს დამნაშავე ჩვენს ლობიოზეა გაზრდილი თუ თქვენს კარტოფილზე-მეთქი, მაგრამ მთლად გამოვლენდი. ხმაურზე ჩვენი ბიჭებიც გამოჩნდნენ და მომეხმარნენ. მოგრილდა „სასწრაფოც“, შეანვინეს შიგ დამნაშავე და გააქანეს; ჩვენ კი დამნაშავეს გარეშე გავუყვეით კომენდატურისკენ. კიდევ კაი, ის გამყიდველი გვერდიდან არ მცილდება და ნარამარა გაჰყვრის:

– ჩემ წინ მოხდა ყველაფერი, ამას ბრალი არ მოუძღვის!

ჩამოსული არამზადები კი პასუხად ერთხმად ჩხავიან:

– თქვენ ყოველთვის პირი გაქვთ შეკრული, ერთმანეთის ტყავს უფრთხილებითო!..

რა პირის შეკერა, რის პირის შეკერა! ჩემი შვილების სისხლი დავლიო, მე თუ გამყიდველისგან ჭიქა სიროფიანი წყალი მახსოვდეს. გუშაგზე მკითხა იმ ადამიანმა რაღაც, ეგ იყო და ეგ. მეც კიდევ რა, თან გადავყევი?! გავეცი ოფიციალური პასუხი და მორჩა!

ისე, ვაგზალს რომ მივუახლოვდით, არამზადები ჩამოგვერჩნენ, მეუფეტე კი შიგ კომენდატურამაც შემოგვეყვა.

– გეყურება შენ? – მიუბრუნდა მას ერთ-ერთი ჩვენი ბიჭებიდან, – წადი ახლავე და მიაკეტე ის შენი დუქანი, თორე გაგძარცვავენ, ბიძია, და მერე ჩვენ უნდა ვიმტვიროთ თავი.

– ეშმაკსაც წაულია ფარდული, – მიუგო გამყიდველმა, – მონმე მარტო მე ვარ, ყველაფერი ჩემ წინ მოხდაო.

ბოლოს ოქმიც შევადგინეთ. მე ვზივარ, ახსნა-განმარტებით ბარათს ვწერ. გამყიდველიც – ასევე. ამასთანავე, განყოფილების უფროსი მოვიდა და, ვითომც არაფერი, რევოლვერი ჩამომართვა.

– დამიბრუნეთ ჩემი დანა! – მოითხოვა გამყიდველმა, – თორემ იმ დამსვენებელ ხალხს თხლად თუ არ დაუჭერი ძეხვი, ისე არ მიირთმევენ, გეგონებათ, ჩემთან არიან სტუმრად ჩამოსულნიო.

– ამ დანის დაბრუნება არაფრით არ შეგვიძლია, იმიტომ, რომ ნივთიერ მტკიცებულებაში გადისო.

– მაშინ სხვა დანა მაინც მომეცით, იმიტომ, რომ ჰალვას კოვზითაც მოვუხერხებ რამეს, ძეხვისა კი რა მოგახსენოთო.

– შე კაი დედამიშვილო, ჩვენ დანებს კი არ ვაძლევთ ხალხს, არამედ ვართმევთ, რადგან ცივ იარაღად ითვლებო.

– ჰოდა, მაშინ სულ მივაკეტავ იმ დასაწვავს, მაინც სანკობში ვარ წასასვლელი და, როცა საჭირო შევიქნე, დამიძახეთო.

ერთი სიტყვით, რევოლვერი ჩამომართვეს, მაგრამ მუშაობით ვმუშაობ. ძველ საქმეებზე მამუშავებენ, მაგრამ ახალ საქმეს არ იძლევიან.

ღმერთმა ჯანი მისცეს და ჩემი უფროსი მეუბნება ბუმობით:

– იმის წყლით გამასპინძლებას, არ გერჩია, მამაშენთან ნაცყევანა სოფელში და ზედაში მიგერთმია, მეორე დღეს კი სალს-ალამათი დაბრუნდებოდი!

– ამხანაგო უფროსო, – ახლა მეც გავეხუმრე, – დამნაშავესა და მუდრეგს რატომ ნაცყევანდი მამაჩემს, თუ ნაცყევანა, შვილს ნაცყევანდი, რომელიც ჩემ თავს ურჩევინამეთქი.

– კაი, კაიო, – მომიჭრა, – ვნახოთ, ზემოთ რას იტყვიან, ჯერჯერობით კი იმუშავეო.

სხვათა შორის, დამნაშავეს ორი დღის შემდეგ, სიკვდილის წინ, მოუხედავს და უთქვამს, მილიციელი არ არის დამნაშავე, მე ვარო.

მეხუთე დღეს კაბინეტში ერთი ხანშიშესული, სახეგატანჯული დედაკაცი შემოვიდა. კი მიყო გულმა რაღაცნაირი რეჩხი, მაგრამ მაინც ვერ ვიპარე.

– თქვენ მე ქმარი მომიკალითო, – ამოისლუქუნა და გულამოსკვნილი ტირილი მორთო.

– დანყნარდით, ქალბატონო-მეთქი, – ვამშვიდებ, – იმ თქვენი რეციდივისტის გამოისობით მეც შავ დღეში ვარ ჩავარდნილი, მაგრამ მოხდა უბედურება და რაღას გავანყობთ-მეთქი.

– იმ ჩემ სამ შვილს რაღა ეშველებათ, ობლად რომ მრჩებიანო, – შემომტირა. ამის გაგონებაზე ისე შემზიზილდა საკუთარი თავი, ისე ავენთე, რომ, რევოლვერი რომ მქონოდა და უშვილიდრო ვყოფილიყავი, გეფიცებთ შეილებს, ვიხილდი ტყვიას შუბლში და მოვისვენებდ.

– ნუ ინებებთ ტირილს, ქალბატონო, დამშვიდდით. რითიც შემეძლება, დაგეხმარებით. ცხედარს ჩემს ხარჯზე გავაგზავნიებ, სასახლესაც ჩემს ხარჯზე შევეკვეთავ და, ფულს კიდევ, რამდენიც შემეძლება, ფულად მოგცემთ-მეთქი. გნებავთ, ნაბლის კუბო შევეუკვეთოთ, მაგრამ, მე თუ მკითხავთ, უბრალო და იაფი აჯობებს, რადგან ბავშვებისთვის ფული მეტი მოგიწევთ-მეთქი.

– აჯობებს კი არა, უბრალოც არამია მაგაზინო, – ტირის ისევ, – მაგისგან ისედაც სიცოცხლე მქონდა გამნარებულო... – არა, დედილო, მაპატიეთ და მიცვალებულზე აუგის თქმას ნუ ინებებთ, რაც უნდა იყოს, თქვენი შვილების მამაა-მეთქი.

ნელ-ნელა ჩანყნარდა და აქეთ მეც მოვიტყვი სული. მოვილაპარაკეთ, როგორც იქნა. ბევრი რო არ გავაგრძელო, კაი ხუთი ათასი დამიჯდა ეს საქმე. ჯერ კიდევ მაშინ მქონდა ამ სახლის ასაშენებლად დაგროვილი ორი კაპიკი და ნაწიდა ალთას!

ამით რომ დამთავრებულიყო ეს საქმე, რა მიჭირდა! გრძელდება და მეც სულ ვაგზალზე ვარ დღედაღამ. ისე გამოდის, რომ იქვე ვმუშაობ და იქვე ვცხოვრობ.

აქეთ არი და რევოლვერს არ მიბრუნებენ, იქით არი კიდევ და მუშაობით მაინც მამუშავებენ.

ერთი მხრივ, კი ბატონო, გვეჯერა, დამნაშავემ გაიძულა და ხელში შემოგაკვდა, მარა, სიროფიანი წყლით რას უმასპინძლებოდი, სიფხიზლე მოადუნე და ყოვლად გაუმართლებელი ლიბერალიზმი გამოამყლავნეო, მეუბნებიან.

ამნაირ ყოფაში რომ ვარ, გამყიდველი მეძახის ერთ დღეს, საქმე მაქვსო. მივედი და მეკითხება, სასამართლო როდის არის დანიშნული. არ ვიცო-მეთქი, ვეუბნები.

– მისწინე, რა გითხრა. მოდი, ყველაფერი სხვანაირად შევატრიალოთ.

– სხვანაირად რატომ-მეთქი?

– კაი, რაღაც მოვიფიქრო, – მეუბნება, – ჩვენ ასე ვიტყვი: უეცრად დამნაშავემ წაავლო დანას ხელი და სალაროს გაძარცვა დააპირა, რადგან სწორედ იმ მომენტში ფულს ვითვლიდი-მეთქი. მაგრამ მე, ვითომ, არ დავიბენი, ვკარი ხელი და სალაროს მოვაშორე. მხოლოდ ამის შემდეგ შემოგიტია ვითომ შენ, რომ რევოლვერი წაერთმია და მეორედ დასცემოდა სალაროს.

– რევოლვერი მე ისედაც ჩამორთმეული მაქვს და ჩემი დარდი მყოფის, ვერ გამიგია, რას ფანტაზიორობ-მეთქი.

– ისე გამოვა, თითქოს ჩვენ სახელმწიფო ქონების დაცვისას დავზარაღდით და გაზეთშიაც გამოგვჭიმავენო.

– მე მართლაც დავზარაღდი და დამნაშავე ხომ დაზარაღდა და დაზარაღდა, მარა შენ რა გეზარაღა? დანას თუ გულისხმობ, სხვას გიმოვნი-მეთქი.

– დანას მე არ ვგულისხმობ, მარა მაინც, მოდი, ყველაფერი შევატრიალოთო.

– თუ კაცი ხარ, რაც მე ცხოვრება შევიტრიალე, ისიც მეყოფა, ახლა ხელმეორედ შევატრიალო, რა, ცირკში ვართ და სალტო-მორტალეს ვასრულებ-მეთქი?!

– ცირკში არა ვართ, მარა ინტერესი გამიჩნდა ასეთი – ყველაფრის სხვანაირად შეტრიალება მინდაო.

გავშორდი, მაგრამ სულ გამიფუჭდა გუნება-განწყობილება. ყოველდღე ინსპექტორის ლოდინში ვარ, რომელმაც ჩემი საქმე უნდა გაარჩიოს. გავიხედე და ამ ჩერჩეტსაც გამოუძახოს, ხომ სულ ჩამიგდო კოფი ნაცარში. ჩვენში რომ იტყვიან – გაჭირვებულს ქვა აღმართში მიენიანო, ისეა, რაღაც ერთადერთი მოწმე მყავს და ისიც ფანტაზიორი...

მოვესწარი ინსპექტორის ჩამოსვლასაც. რომელი ქალაქიდან გვეახლა, ზუსტად ვერ გეტყვი; გეტყვი მხოლოდ, რომ „თანია“ ურევია სახელში: იქნებ – ფოთიდან, იქნებ – თელავიდან, იქნებ – თბილისიდან.

ისეთი წარმოსადგეი, სოლიდური შესახედაობის კაცი იყო, რომ თქვენგან მოწონებული; შევიდა ჩემს უფროსთან. მე კი ვზივარ და ველოდები, როდის დამიძახებენ. ბოლოს კარი გაიღო, გამოვიდა ინსპექტორი და პირდაპირ მე მომასწორა. ნამოვხტენდი.¹

– ეს შენა ხარ, ბიჭო, გმირი? – მეკითხება.

– უნებლიე გმირი ვარ, ამხანაგო უფროსო-თქვა, – მივუგე.

– მეორედ რომ მოგიწევს დამნაშავის გამყოლობა, „ბორჯომი“, იგულე ჯიბეში.

– როგორ შეიძლება, ამხანაგო უფროსო?! – გავიკვირე.

– კი, კი, „ბორჯომი“, იქონიე, მაგრამ ჭიქა ქალაქისა გირჩევიან, თორემ მინის ჭიქას გრეხავს მაგ გოგრაში და შუაზე გაგიპოზსო.

ვხვდები, ხუმრობით რომ მელაპარაკება. უფროსი თუ ხუმრობით გელაპარაკება, შენც ხუმრობით უნდა ელაპარაკო. ასეა ნესი.

– სხვა დროს, ამხანაგო უფროსო, „ბორჯომს“, კი არა, ხელყუმბარას ვიკვლებ ჯიბეში.

– აჰ, ხელყუმბარა ნამეტანია, მაგრამ სიფხიზლე არ უნდა მოადუნო.

– ამხანაგო უფროსო, გაგვეგონებათ, ერთი ალილუია მღვდელსაც შეეშლებაო, მაგრამ... ჩემი შვილების ბედი ახლა თქვენს ხელთაა, უფროსო!

– ეგ არაფერი, დახმარებით დაგეხმარებით, მაგრამ, – მიცინის, – ისიც იცოდე, ჩაღის ფასად ვერ გადარჩები. ვითომ ვხუმრობო და სიტყვა ქე გადმოქრა. რომ იცოდეთ, მე მეუხერხულა მის მაგიერ, რადგან ჩვენმა ბიჭებმაც გაიგონეს, მაგრამ უმალ ისეთი ლამაზი ფინტი ჩავუტარე, რომ მისი ღირსება ნამდვილად ვისხენი.

– ამხანაგო უფროსო, თქვენ სპეციალურად ჩამობრძანდით ჩემი პირადი საქმისთვის, ოჯახსაც მოსცდით, მგზავრობაშიც დაიხარჯეთ... ნუთუ ჩვენც ვერ მოვისაზრებთ იმდენს, რომ სიკეთეს სიკეთით ვუბახუხოთ?! ან სულაც ჩვენებური სტუმართმოყვარეობა ვერ გამოვაჩვენებთ?!

მომითათუნა მხარზე ხელი და ნავიდა. რაღა ბევრი იმასქენა – ეს საქმე კაკალივით ორიათასი დამიჯდა მაშინდელ ფულზე. ახლა ამას დაუმატეთ სამამანეთიანი სუფრა რესტორანში (კიდევ კაი, ღვინო მამაჩემისგან ჩამოვიტანე!). გავთავდი კაცი. რაიო? აილოო? აილო რომელია, ისე არხინად გამომართვა, თითქოს მამაჩემს მამამისისგან ესესხოს ახი წლის წინათ, მაგრამ შაქრად შეარგოს! შევლით კი მიშველა და... ვმუშაობ მის მერე ჩემთვის მშვიდად და ვარ. ისე, ამ ხლაფორთს რომ არ გადაყვროდი, ამ სახლსაც ადრე ავაშენებდი და ჩვენც კაი ხნის წინათ შემოვუსხდებოდით ამ ჩვენს პატარა, ღარიბულ, მაგრამ გულითად სუფრას.

ასე რომ, ჩემო უძვირფასესო სტუმრებო, არავითარი გმირობა მე არ ჩამიდენია, რადგან ამქვეყნად კაცის მოკვლაზე უფრო საზიზღრობა არაფერია. მთელი ნახევარი წელიწადი ჭკუაზე არ ვიყავი ნერვებისგან.

მოდი, მეგობრებო, და მშვიდობას გაუმარჯოს მთელ მსოფლიოში, რომ არავის აღარავინ გაემეტებინოს მოსაკლავად! შევლებს გაუმარჯოთ ჩვენსას! მილიციის მუშაკებსა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებას გაუმარჯოს, ჩემო სტუმრებო! ყველასთან ვარ ალავერდი!

რაც შეეხება საცხა-საცხეიდან ჩამოთრეულ არამზადებს, ჩაუნერლად რომ ცხოვრობენ ჩვენს ქალაქში, სათითაოდ მივაბრძანებთ თავთავიანთ საცხოვრებელ ადგილას, ხოლო ჩვენს დაუდევარ გამჭირავებლებს დავაჯარიმებთ. აი ასე!

თარგმნა

გიზო ზარნაძე



გიორგი ზარნაძე

● შენ ვერ მოირგე ერთი ნილაბიც, გიყვებს უშიშრად ზურგი აქციე, ბევრჯერ გიგინეს ჯიბი, ჯილაგი, ვერ დაგძლიეს და ვერ ნაგაქციეს.

ბევრი გვჯიჯგნეს და ბევრიც განამეს, ცხოვრების მონად კი ვერ გაქციეს, ვერ მიაღწიეს მაინც სანადელს, ვერ გაგხიზნეს და ვერ გაგაქციეს.

შენი გმირობაც ცუდად გაიგეს, შენს დასაფლეთად სცემდნენ სანქციებს, ფარულად მახე ყველგან დაგიგეს – მათ უწინებდა ეშმა საქციელს.

დიდ ხანს გებრძოდა უგნურთა ხროვა (ბნელი აზრები კი ვერ დანმინდეს), ახრჩობდათ ბეცებს დარდი და ბოლმა, ნამუსისაგან რომ ვერ გაგწმინდეს.

დარჩი ბოლომდე შეუდრეკელი, ბრბოსადმი ზიზღით გული აივსე, შენ ხარ მამულის ბედის მჭედელი და სჭედ მომავლის ნათელ აისებს.

● შევხარი უკეთეს მომავალს, შევხარი უკეთეს აისებს, ტანჯული მამულის მონა ვარ, მზაკვრებმა ტკივილით დამაჩირეს. შევყვრი – ცხოვრების ბინდი ხართ, სიმდიდრით სულელები აივსეთ, რას სჩადით, უფსკრულში მიდიხართ, არ მისმენს, არავინ არ მისმენს. ნეტავი, სანამდის ვიგვემო, დარდებმა გულგვამი დანისლეს, რას სჩადით, თქვენ ცოდვის შვილებო, რად მიკლავთ მომავლის მაისებს! გავყვები ქარიან მდელივებს, მინდა შორს, საფლავზე გავიქციე, მდიდრები სად აღარ ზეობენ, სად არვინ არ გერჩის საისრედ. სად მეფობს ზღაპრული სიჩუმე, სად დარდი სუროებს დაისევს, ვერ ნახავთ ბოროტულ სიურჩეს, ვერ ნახავთ მზაკვრებს და სადისტებს... შევხარი უკეთეს მომავალს, შევხარი უკეთეს აისებს, ტანჯული მამულის მონა ვარ, მართმევენ მომავლის მაისებს.

● რად გვიხარია ჩურჩული ნისლის ანდა რად გვიხიბლავს დილა მზიანი, ყაყაროები უმანკო სისხლის, ცელქი ნიავის გზად ხეტიალი... თავისუფლების თუ არ ვართ ღირსი, რად გვიხარია თავი ოხერტიალი.

ყველა ღირსება თუკი ამქვეყნად გაუფასურდა, უსახოდ გაცვდა, თუ ამ მინაზე არ იქართველა და არ იმრავლა ქართველმა კაცმა. თუკი დროებამ ფეხქვეშ გაგვთელა ან გადაგვექცა ცხოვრება ჯვარცმად,

მაშინ სასჯელად ჩავთვლით გაჩენას – არ სურს განგებას, ტანჯვა

გვაკმაროს – მძიმე უღელი თუ კვლავ დაგვრჩება ანდა მონებად უნდა დაგვეყარონ... თუ საქართველო არ გადარჩება, წყალმაც წალეკოს მთელი სამყარო.

ზენა

მზის ზღაპრულ ჩასვლას, ვარსკვლავთა კაშკაშს, მთვარესთან ლაციცს, ზეცისკენ ლტოლვას, აისის მოსვლას, ნარნარა ლაჟვარდს, კომეტის სრბოლას, მეტეორთ მსხვრევას, ჩანჩქერის ხტომას, კლდეების რღვევას, ნისლების სისინს, ქარების ბერვას, მთების სიდინჯეს, მხეცების ღრენას, ზღვათა სიანჩხლეს, ზვირთთა აღრევას, ლაჟვარდის ტევრში მზის დაუნჯებას, ბაყაყათა ორკესტრს, ტბის დამუნჯებას, წვიმის სიგიჟეს, ფიფქების კდემას, ხმაურის ღავლავს, სიჩუმის კვნესას, ბოროტის რბევას, კეთილის თესვას, მონის სიფხიზლეს, ბორკილის მსხვრევას, ანმყოსთან ჭიდილს, მომავლის რწმენას, ცის ლურჯად ლივილვს, ჰაერის ენას, შაშვის გალობას, ჩიტების სტვენას, ხეების როკვას, არწივთა ფრენას... ყველაფერს ერთად, ყველაფერს ერთად, ყველაფერს ერთად განაგებს ზენა.

¹ კუთხურად შეგნებულად ვთარგმნი ამ ზმნას. მთარგმ.

მკითხველთა საყურადღებოდ!

გაზეთის გამოწერა უკვე შესაძლებელია. ამისთვის საჭიროა დარეკოთ ან მიაკითხოთ პრესის გავრცელების სააგენტოებს: საქპრესა (გურამიშვილის გამზ. №64, ტელ: 2 51 85 18), მაცნე (საირმის ქ. კორპ. №4, ტელ: 2 14 74 22), პრესე-ქსპრესი (ი. ჯავახიშვილის ქ. №86, ტელ: 2 96 23 11), ჯეოშედა (გ. ჩუბინაშვილის №50, ტელ: 2 95 51 70), პილონი (წერეთლის გამზ. №113, ტელ: 2 34 77 43), პრესა 2012 (წერეთლის გამზ. №142, ტელ: 2 34 09 35).

გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ საბანკო ანგარიში: ქ. თბილისი სს „პროკრედიტბანკი“
კოდი: MIBGGE22
ანგ. № GE61PC0183600100029708

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.

რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მკირფასო ავტორებო!

რედაქციაში გამოსაქვეყნებლად მოტანილი ან გამოგზავნილი ტექსტი არ უნდა აღემატებოდეს A4 ზომის ოთხ კომპიუტერულ გვერდს!

დაბეჭდილია შპს "ასავალ დასავალის სტამბაში"
მისამართი: თბილისი, აგლაძის ქ. 39
ელ. ფოსტა: print@asavali.ge

მთავარი რედაქტორი და გამომცემელი
თამაზ ნივნივაძე

გაზეთი გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით

თავისუფლების მოედანი №4
E-mail: litsaartvelo@yahoo.com
ტელ.: 292 34 89

გამოდის
პარასკეობით